# ლელო

№259
(12 329)

2 ნოემბერი პარასკევი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი

ყაზბეგი
ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს ნაკრების ლიდერი მაია ჩიბურდანიძე ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე

## ქალთა გუნდი საჩემპიონო რბოლაში ჩაერთო

13



## ვიქტორ დიდებულიძე: ახალგაზრდებო, გაფრთხილდით პორტუგალიასთან!

13

# საქართველოს ნაკრების მეკარე ბეწვზე გადარჩა

### ნუკრი რევიშვილი ავტოავარიის შემდეგ: არაფერი მახსოვს, საავადმყოფოში მოვედი გონს



საქართველოს ნაკრებისა და ყაზანის "რუბინის" მეკარე ნუკრი რევიშვილისთვის სეზონი დამთავრებულია. წლეულს თითქოს ვიღაცამ დათარსა, ჯერ ტრავმა მიიღო წლის დასაწყისში, ძლივს მომჯობინდა, ზაფხულში ისევ დაშავდა და ამ უბედურების ფინალი, კიდევ უფრო საშინელი და გაცილებით მძიმე აღმოჩნდა, ის ავტოავარიაში მოყვა.

3

კრივი. მსოფლიო ჩემპიონატი

# ჯერჯერობით ულიცენზიოდ ვართ

ჩიკაგოში მიმდინარე მოკრივეთა მსოფლიო ჩემპიონატზე, ჩვენთვის ყველაფერი ნაადრევად, მეოთხედფინალებამდე დამთავრდა. შესაბამისად, საქართველოს ნაკრების ცხრა წევრიდან, ვერცერთმა მოახერხა არათუ მედლის, არამედ პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიის მოპოვებაც კი.

ჩვენი "უკანასკნელი მოჰიკანი" მსოფლიო ჩემპიონატზე იყო გუნდის ყველაზე გამოცდილი წევრი **დავით ნიკლაური** (81 კგ). მას მეოთხედფინალში გასასვლელად და პეკინის საგზურის დასაბევებლად, რუსი **არტურ ბეტარბიევის** დამარცხება სჭირდებოდა. სამწუხაროდ, ნიკლაურმა ვერ შეძლო მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი საკრივო ქვეყნის წარმომადგენლის დამარცხება და ქულებით წააგო – 9:23.

ამრიგად, ისღა დაგვრჩენია, რომ დაველოდოთ გაზაფხულს და ევროპისთვის განკუთვნილ პეკინის ოლიმპიადის ორ სალიცენზიო ტურნირს ათენსა და რომში. საერთოდ, ევროპისთვის პეკინში გამოყოფილია 96 ადგილი. შესაბამისად, რომისა და ათენის ტურნირებზე, ოლიმპიადის საგზურების მომპოვებელი ადგილების ზუსტი რაოდენობა მაშინ გვეცოდინება, როდესაც მსოფლიო ჩემპიონატზე ყველა ლიცენზიანტის ვინაობა გაირკვევა.

ისე, სამოყვარულო კრივი ყელამდე ჩაფლულია კორუფციის ჭაობში და აქ მსაჯების მოქრთამვა ჩვეული ამბავია. შესაბამისად, ათენისა და რომის ტურნირებზე, დარჩენილი ოლიმპიური საგზურების მოპოვება არანაკლებ რთული იქნება, ვიდრე მსოფლიო ჩემპიონატზე. მართალია, კრივის საერთაშორისო ფედერაციის ახალი ხელმძღვანელობა პირობას დებს, რომ კორუფციას ერთხელ და სამუდამოდ აღმოფხვრის, მაგრამ საკმაოდ საეჭვოა, რომ ერთი ხელის დაკვრით ამოაშრონ წლების განმავლობაში დამყაყებული ჭაობი. ვნახოთ, ყველაფერი გაისად გამოჩნდება...

**კობა ხატისაშვილი**

ყაზბეგი
გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს
ჯგუფური რაუნდი. IV ტური
დავით ყიფიანის სახელობის თასის ყაზბეგის გათამაშება
www.pfl.ge

# გორელები მეოთხედფინალს მიუახლოვდნენ

მეოთხე სათასო ტურში უფრო წარმატებულნი სტუმრები აღმოჩნდნენ, თუმცა გამონაკლისებიც იყო. "დილამ" და "სპარტაკმა" შინ საკმაოდ ძლიერ მეტოქეებს სძლიეს და მეოთხედფინალამდე თითო ნაბიჯილა აშორებთ. მეოთხედფინალი ოფიციალურად ჯერ არავის გაუნაღდებია, მაგრამ "დინამოსა" და "ზესტაფონის" წინსვლას წყალი უკვე აღარ გაუვა.



ამერმა ქუთაისში ადვილად მოიგო

## A ჯგუფი

01. 11 გორი. თ. ბურჯანაძე
100 მაყურებელი

**სპარტაკი – მესხეთი 1:0**

1:0 ჩირიკაშვილი (84)

სპარტაკი: ქვლითაია, ბახტურიძე, ქემოკლიძე, ხაჭიპერაძე, მამუკაშვილი, ხიდეშელი (76. კუპრეიშვილი), ჩირიკაშვილი, თარხნიშვილი (64. კეტაშვილი), ძარია (81. პარამონოვი), გოგოხია, ჯანელიძე

მესხეთი: ძამუნაშვილი, ძამსაშვილი, ნადირაშვილი, ლეკიშვილი, ქობესაშვილი, ზ. ჩხეტიანი, თაყაძე (46. აფრიამაშვილი), თურმანიძე, ინასარიძე (87. გ. სუდაძე), გვირჯიშვილი, ლონლაძე

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი

გამომდინარე სატურნირო ცხრილიდან საქართველოს თასზე ყველაზე რთული ვითარება ალბათ, ა ჯგუფშია, სადაც ამ მატჩამდე "ამერს", "სპარტაკსა" და "მესხეთს" ექვს-ექვსი ქულა ჰქონდათ. შესაბამისად "სპარტაკის" გამარჯვებაც კონკურენტთან უფრო მეტად ფასობს. **ჟორჟიკაშვილის** მიერ არაერთხელ გაკეთებული მინიშნება მისი გუნდისთვის უმთავრეს პრობლემად ქცეულ შეუთამაშებლობაზე, ჩანს თანდათან გვარდება. ვფიქრობთ „სპარტაკი" სულ უფრო უკეთესად გამოიყურება და ეს ამ შეხვედრაშიც გამოჩნდა. გუნდებს პირველ ყოვლისა ბრძოლის ჟინი არ დაენუნებოდათ, ისინი მოედნის ყოველი გოჯისთვის იბრძოდნენ, მაგრამ ამან, თავის მხრივ სახიფათო მომენტებისა და სანახაობის თვალსაზრისით გულნაკლული დატოვა მაყურებელი. პირველ ტაიმში ცხინვალელები მცირე ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდნენ, ოღონდ იერიშებისას სისწრაფე აკლდათ. საერთოდ მასპინძელთა შემტევებს შესვენებამდე საიმედოდ ეთამაშებოდნენ ახალციხელი მცველები.

„სპარტაკის" მთავარი მოიერიშე, ახალგაზრდა **დავით ჯანელიძე** მეორე ტაიმში გაცილებით გააქტიურდა და მოწინააღმდეგე რამდენჯერმე გვარიანად აანერვიულა. სტუმრები მეორე ნახევარშიც არ ჩამორჩებოდნენ მასპინძლებს. ისინი უმთავრესად გრძელი პასებით ცდილობდნენ მოედნის მეტოქის ნახევარზე გადასვლასა და საჯარიმოში შეღწევას. შორი მანძილიდან დარტყმებს „მესხეთის" ფეხბურთელები კი იშვიათად მიმართავდნენ. არადა, 65-ე წუთზე ამ გზით გატანაც შეეძლოთ, როცა **ძამსაშვილის** ძლიერად დარტყმული ხელიდან გადაუვარდა **ქვლითაიასა** და **მამუკა ლონლაძეს** რომ დროულად ემოქმედა გოლკიპერი ვერ დაასწრებდა ბურთის მოპოვებას. სამაგიეროდ შორეული დარტყმით „სპარტაკმა" იხეირა. 84-ე წუთზე, როდესაც მატჩის ფრედ დასრულებას ბევრი აღარ უკლდა, **ირაკლი ჩირიკაშვილმა** დაახლოებით 25 მეტრიდან უძლიერესი დარტყმით გამარჯვებისა გაიტანა.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

**ტორპედო – ამერი 0:3**

ქუთაისი. ცენტრალური.
500 მაყურებელი

0:1 ტატანაშვილი (6. ჯელაძის პასით), 0:2 ჯელაძე (8. დოლიძის პასით), 0:3 დიდავა (50)

ტორპედო: ოდიშარია, დარსაძე (71. გვარჯალაძე), ვაჩიბერაძე, მირცხულავა, ჭანკვეტაძე, მეტონიძე (40. დანელია), შავგულიძე, ნუცუბიძე, გოდერიძე, მდივნიშვილი

ამერი: ნადირაშვილი, კაკაშვილი, დავითნიძე, ჩიკვილაძე, ელბაქიძე, დოლიძე, დიდავა (59. დობროვოლსკი), ბოლქვაძე (59. დეკანოსიძე), ჯელაძე, გოცირიძე, ტატანაშვილი (53. ცხადაძე)

გაფრთხილება: გაბუნია (4), კაკაშვილი (32), ტატანაშვილი (52), დიდავა (55), დოლიძე (63)

არბიტრი: ვ. ელისაბედაშვილი

„ამერმა" პირველ მატჩში, საკუთარ მოედანზე „ტორპედო" 7:1 გაანადგურა და მეორე შეხვედრაშიც ზედმეტი ძალისხმევის გარეშე შეძლო ქუთაისელთა დამარცხება. დასუსტებულმა და პირველ ლიგაში დაქვეითებულმა ქუთათურებმა გლდანელებს ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს. „ამერმა" დებიუტშივე შეძლო უპირატესობის მოპოვება და საქმე ორი სწრაფი გოლით გაიადვილა. **დოლიძემ** და **ჯელაძემ** ფლანგებიდან მეტოქეს თავბრუ დაახვიეს, თავდასხმაში ნაყოფიერად გაისარჯა **დიმიტრი ტატანაშვილი**. სწორედ მათი ძალისხმევით გავიდა „ტოპედოს" კარში პირველი ორი გოლი. განსაკუთრებით ლამაზი ტატანაშვილის მიერ გატანილი ბუთი იყო, რომელმაც ჯელაძის პასის შემდეგ ლამაზი დატყმით მასპინძელთა ცხრიანი „გაარღვია". საქართველოს თასის მფლობელები ამის შემდეგაც უტევდნენ, მომენტებსაც ქმნიდნენ, მაგრამ დამაგვირგვინებელ ფაზაში ველარ ყოჩაღობდნენ, თორემ ანგარიში პირველ ტაიმშივე გამანადგურებელი იქნებოდა. პირველ ტაიმში ტორპედოელთა ერთადერთი ნათელი წერტილი „ზესტაფონის" ყოფილი კაპიტანი **ლევან შავგულიძე** იყო. იგი ბევრს ცდილობდა, თუმცა თანაგუნდელები მხარს ვერ უბამდნენ, მარტო კაცი კი იცით, რომ ჭამაშიც ცოდვაა... ერთხელ, შავგულიძის დატყმის შემდეგ გლდანელები ძელმა იხსნა.

მეორე ტაიმში „ამერმა" ტემპი დააგდო. „ტორპედო" კი ისე თამაშობდა, რის საშუალებასაც მეტოქე აძლევდა. **დიდავას** მიერ გატანილი მესამე გოლის შემდეგ ქუთათურები გააქტიურდნენ და რამდენიმე საგოლე მომენტიც შექმნეს, მაგრამ დამაგვირგვინებელ ფაზაში უზუსტო თამაშის გამო, პრესტიჟის გოლის გატანა ვერ მოახერხეს.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ამერი | 4 | 3 | 0 | 1 | 14-3 | 9 |
| 2. სპარტაკი | 4 | 3 | 0 | 1 | 5-2 | 9 |
| 3. მესხეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 5-5 | 6 |
| 4. ტორპედო | 4 | 0 | 0 | 4 | 1-15 | 0 |

**5 ნოემბერი**
მესხეთი-ამერი
სპარტაკი-ტორპედო

## B ჯგუფი

1 ნოემბერი. □იათურა. ცენტრალური.
800 მაყურებელი

**მაღაროელი-დინამო 0:0**

მაღაროელი: დოლაძე, მგელაძე, შუკაკიძე, ბრეგვაძე, ეგაძე, ქირია, ილურიძე, ზამბახიძე, გამცემლიძე, ტყებუჩავა, ხაჭაპურიძე

დინამო: ოვონო, შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, დობეში, ხმალაძე, დილმელაშვილი, გ. მერებაშვილი, ხუციშვილი (73. ოდიკაძე), სპასოევიჩი, აკირემი (86. ვაწაძე)

გაფრთხილება: ხმალაძე (45)

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი

**ლოკომოტივი – ვიტ ჯორჯია 0:4**

0:1 კლიმიაშვილი (12), 0:2 გელაშვილი (57), 0:3 სახოკია (86), 0:4 რაზმაძე (90 პენ.)

ლოკომოტივი: ცერცვაძე, ა. კობიაშვილი, ლ. ჩაგელიშვილი, გ. კვახაძე (46. ფოფხაძე), ქუხილავა, ბუდალაშვილი, ტიკურიშვილი, ბერიძე (დ. ჩაგელიშვილი 57), ალავერდაშვილი, ბარბაქაძე, მიქაძე (66. კირკიტაძე)

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, პ. დათუნაიშვილი (73. სახოკია), ა.კვახაძე, ლომაია, ჯაფარიძე, რაზმაძე, გ. დათუნაიშვილი (68. ინჯგია), მელქაძე, ბეჭვაია, კლიმიაშვილი, გელაშვილი (58. ბერიაშვილი)

გაფრთხილება: ქუხილავა (15), ბუდალაშვილი (23), ბარბაქაძე (31), ლომაია (69), პ. დათუნაიშვილი (71), სახოკია (75)

გაძევება: ლომაია (90)

არბიტრი: პ. დოგრაშვილი

"ლოკომოტივმა" გუშინ, შეიძლება ითქვას, ჯგუფიდან გასვლის ბოლო შანსი ვერ გამოიყენა. ოლიმპიკის სკოლაში გამართული მატჩი "ლოკომოტივსა" და "ვიტ ჯორჯიას" შორის ანგარიშის მიუხედავად, მეტად ულიმლამო სანახავი გამოდგა, რაც უხარისხო მოედანს შეიძლება დავაბრალოთ, რადგან ფეხბურთელებს ბურთის დაჭერა და გაგორება უჭირდათ.

თამაში "ლოკომოტივის" უპირატესობით წარიმართა და შეიძლება ითქვას, რომ ბურთის ფლობაში პირველ ტაიმში ჯაბნიდა სტუმარს. მოსუსტებული ჩანდა მცხეთელების შუა ხაზი, სტუმრებს უჭირდათ ნახევარ დაცვიდან თამაში და ბურთის მიწოდება თავდამსხმელებისათვის, ამიტომაც ვიტელთა მცველები ცდილობდნენ გრძელი გადაცემებით მიეწოდებინათ ბურთი თავდამსხმელებისთვის. მართალია, ლოკომოტიველები ნახევარდაცვაში უკეთ გამოიყურებოდნენ და ბურთიც ასე, თუ ისე მიჰქონდათ თავდამსხმელებამდე, მაგრამ აღსანიშნავია სტუმართა დაცვის კარგი თამაში განსაკუთრებით კი **ლექსო კვახაძის**. საპირისპიროს თქმა შეიძლება მასპინძელთა დაცვაზე. რამდენიმე გამოუყენებელი მომენტის შემდეგ, რკინიგზელებმა საკუთარ კარში მიიღეს ბურთი - **კლიმიაშვილმა ცერცვაძეს** თავზე გადაუგდო. ამის მერე სტუმრებმა გარკვეული უპირატესობა იგდეს ხელთ, მაგრამ ერთიმეორის მიყოლებით გააფუჭეს მომენტები - ჯერ მეკარესთან პირისპირ გასულმა **გელაშვილმა** ვერ გაიტანა, მერე კი იგივე **ბეჭვაიამ** მოიმოქმედა.

მეორე ნახევარი თორმეტი წუთის დაწყებული იყო როცა **პაატა დათუნაიშვილმა** გელაშვილი მეკარესთან პირისპირ გაიყვანა და მასაც მეორე ცდიდან აღარ გასჭირვებია გატანა. ამის მერე თამაში ძალიან მოსაწყენი გახდა. მატჩის მიწურულს მასპინძლები ოდნავ კი გააქტიურდნენ, მაგრამ იმის მაგივრად, რომ ბურთი გაეტანათ, პირიქით, საკუთარ კარში მიიღეს ცვლილებაზე შემოსული **სახოკიასგან გოლი**. ის ბეჭვაიამ გაიყვანა მეკარესთან პირისპირ. მატჩის მსვლელობისას მთავარმა არბიტრმა ექვსი ყვითელი და ერთი წითელი აჩვენა. თამაშის მიწურულს მეორე გაფრთხილების შემდეგ ლომაიას მოედნის დატოვება მოუწია. მსაჯის მიერ წარმატებული დრო იწურებოდა, როცა ახლა უკვე სახოკიამ გაიყვანა პირისპირ **ბერიშვილი**, რომელიც **ბარბაქაძემ** წესების დარღვევით შეაჩერა, რისთვისაც ყვითელი ბარათი მიიღო. დანიშნული პენალტის გატანა კი **რაზმაძეს** არ გაჭირვებია.

**ავთანდილ ცეცხლაძე**

"მაღაროელმა" "დინამოსთან" უაღრესად საჭირო ქულა მოიპოვა, რის წყალობითაც ჯგუფში მეორე პოზიცია შეინარჩუნა. შესაძლოა, სწორედ ეს ქულა გახდეს გადამწყვეტი და ჭიათურელებმა მეოთხედფინალს უწიონ. "მაღაროელისთვის" ეს სეზონი მეტად წარმატებულია. ზემოიმერლები პირველი ლიგის დასავლეთ ზონასაც დამაჯერებლად ლიდერობენ და თასზეც შედეგიანად გამოდიან. ამ ჯგუფში დარჩენილი მატჩები ძალიან ბევრს გადაწყვეტს. "ვიტ ჯორჯიას" მეოთხედფინალში გასასვლელად ორ გასვლით შეხვედრაში გამარჯვება სჭირდება - "დინამოსა" და "მაღაროელთან".

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 4 | 3 | 1 | 0 | 7-3 | 10 |
| 2. მაღაროელი | 4 | 2 | 1 | 1 | 4-2 | 7 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 4 | 2 | 0 | 2 | 9-4 | 6 |
| 4. ლოკომოტივი | 4 | 0 | 0 | 4 | 1-12 | 0 |

**5 ნოემბერი**
ვიტ ჯორჯია-დინამო
ლოკომოტივი-მაღაროელი

## C ჯგუფი

1 ნოემბერი. თბილისი. მერანი.
300 მაყურებელი

**მერანი-ოლიმპი 0:0**

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი

**ბათუმი–ბორჯომი გადაიდო**

ავტოავარიაში მოყოლილი "ბორჯომის" ამბვი გუშინდელ ნომერში ვრცლად გავაშუქეთ. საბედნიეროდ, ინციდენტი უმსხვერპლოდ დასრულდა. ჯერჯერობით, "ბათუმისა" და "ბორჯომის" გადადებული მატჩის ჩატარების თარილი უცნობია. ჯგუფის მეორე მატჩში კი გამარჯვება "მერანს" უფრო სჭირდებოდა. თბილისელებმა ეს ვერ შეძლეს, თუმცა სამეოთხედფინალო შანსი ჯერ არ დაუკარგავთ. "ოლიმპს" კი მომდევნო ეტაპამდე ერთი გამარჯვებალა აშორებს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 4 | 2 | 1 | 1 | 4-3 | 7 |
| 2. ბორჯომი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-3 | 6 |
| 3. მერანი | 4 | 1 | 1 | 2 | 2-2 | 4 |
| 4. ბათუმი | 3 | 1 | 0 | 2 | 1-3 | 3 |

**5 ნოემბერი**
ბორჯომი-ოლიმპი
ბათუმი-მერანი

## D ჯგუფი

31 ოქტომბერი. გორი. თ. ბურჯანაძე.
200 მაყურებელი

**დილა-მგლები 1:0**

1:0 სამადაშვილი (33)

გამოუყენებელი პენალტი: ნ. ნოზაძე (48)

დილა: კეჩხუაშვილი - ბალიაშვილი, მასურაშვილი, დ. ხანიშვილი, ბალაშვილი - ნ. ნოზაძე, შატაკიშვილი (77. ლაცაბიძე), ტლაშაძე, სადალაშვილი (87. ლომიძე), სულთანიშვილი - სამადაშვილი (84. იჩქითი)

მგლები: ივარდავა - კაკაბაძე, მაჭავარიანი, ვართაგავა, ქომეთიანი - ქირია (80. ლიპარტია), გაბედავა, ჯოჯუა, ხუბუა (70. ბაკარანძე), წურწუმია (73. ჭკადუა) - ჭედია

გაფრთხილება: ბალაშვილი (67), კეჩხუაშვილი (82)

არბიტრი: გ. ვადაჭკორია

1 ნოემბერი. თელავი. გ. ჩოხელი.
200 მაყურებელი

**კახეთი-ზესტაფონი 0:2**

0:1 ბ. გოცირიძე (40), 0:2 ფიფია (85)

კახეთი: ჯიქურიშვილი, ხიდაშელი, გ. გიგაური, იოსებაშვილი, ტარულაშვილი, ლ. გიგაური, აბდულაევი (75. გერგიშვილი), მელიქიშვილი (73. ჩუთლაშვილი), ტეტიაშვილი, ახალბედაშვილი (46. ნივილაშვილი), ბურნაძე

ზესტაფონი: რ. კვასხვაძე, ს. თოდუა, შ. ლონლაძე, ლობჟანიძე, კ. ჩხეტიანი, ჟონატასი (46. კესანი), ხიდეშელი, გ. ნუგ. ჭელიძე, იონანიძე, ბიტოო (70. ფიფია), ბ. გოცირიძე (60. გ. ნოდ. ჭელიძე)

გაფრთხილება: ბ. გოცირიძე (27), კესანი (56), გ. ნოდ. ჭელიძე (75)

არბიტრი: ლ. კვარაცხელია

ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ "ზესტაფონი" გუშინ კიდევ ერთ სათასო გამარჯვებას იზეიმებდა და ასეც მოხდა. ფეროელებმა არცთუ ოპტიმალური შემადგენლობით ითამაშეს, მაგრამ ამის მიუხედავად, პირველივე წუთებიდან იგდეს ხელთ შეხვედრის სადავეები. **თემურ მახარაძესა** და მის შეგირდებს შეუძლიათ, თავი მეოთხედფინალში დაიგულონ და დიდი ხნით აქცენტი მთლიანად ჩემპიონატზე გადაიტანონ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზესტაფონი | 4 | 3 | 1 | 0 | 13-4 | 10 |
| 2. დილა | 4 | 2 | 2 | 0 | 6-3 | 8 |
| 3. მგლები | 4 | 1 | 1 | 2 | 7-9 | 4 |
| 4. კახეთი | 4 | 0 | 0 | 4 | 2-12 | 0 |

**4 ნოემბერი**
დილა-კახეთი

**5 ნოემბერი**
მგლები-ზესტაფონი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს ნაკრების მეკარე ბეწვზე გადარჩა

## არაფერი მახსოვს, საავადმყოფოში მოვედი გონს

პირველი გვერდიდან

ნუკრის ახლობლები, ოჯახის წევრები დიდხანს უკავშირდებოდნენ უშედეგოდ. ჯერ ჩათვალეს, რომ მობილური დროებით გამორთო, მაგრამ მისი დუმილი დიდხანს გაგრძელდა. ფეხბურთელი ოჯახის წევრებს და უახლოეს მეგობრებს ყოველდღე უკავშირდებოდა და ამიტომ მისი დუმილი საეჭვოდ მოეჩვენათ. მათი ეჭვი მართალი აღმოჩნდა - ნუკრი უმძიმეს მდგომარეობაში ყაზანის ერთ-ერთ საავადმყოფოში აღმოაჩინეს. ის 29 ოქტომბერს ყაზანში საკუთარი მანქანით სახლში ბრუნდებოდა, როდესაც მოპირდაპირე მიმართულებიდან სწრაფად მომავალი "მაზდის" მარკის მანქანა დაეჯახა.

საბედნიეროდ, განსაკუთრებული ტრავმები ნუკრის არ მიუღია და უმძიმეს ავარიას მსუბუქად დააღწია თავი. როგორც შევიტყვეთ, 19 წლის მეკარე მანქანის საჰაერო ბალიშმა იხსნა.

გუშინ მას საავადმყოფოში დავუკავშირდით.

**- ნუკრი, თავს როგორ გრძნობ?**

- ახლა უკვე ნორმალურად. ექიმმა სიარულის ნება დამრთო. საბედნიეროდ, მძიმე დაზიანებების გარეშე გადავრჩი. მხოლოდ ტვინის შერყევა მივიღე, მაგრამ ასეთი ავარიის შემდეგ, ესეც არაფერია.

**- ავარია როგორ მოგივიდა?**

- მახსოვს, რომ "რუბინის" ბაზიდან გამოვედი, სახლში უნდა წავსულიყავი და მერე ვერაფერს ვიხსენებ. მეხსიერება თავიდან დავკარგე. ახლა რა მიშავს, ვწევარ პალატაში, მოძრაობა შემიძლია, მაგრამ ჯერ ვერიდები.

**- ანუ მალე ვარჯიშს განაახლებ?**

- ეს სეზონი ჩემთვის დამთავრებულია. ტვინის შერყევის გამო ორ კვირას გამოვტოვებ, მერე რუსეთში ჩემპიონატი ისედაც მთავრდება. სამწუხაროდ, წელი როგორ ცუდადაც დამეწყო, ასევე ცუდად დამიმთავრდა. საწყენია, დიდი იმედები კი მქონდა.

**მერაბ მამულაშვილი**

მოსალოდნელი ტრანსფერი

# მეკარეთა კვირეული

## გიორგი ბახტაძე ოლიმპიაკოსშია

ორიოდე დღის წინათ ეროვნული ნაკრების 17 წლის მეკარე **გიორგი მაკარიძემ** ორი კვირით "მიუნხენ 1860-ს" მიაშურა. გუშინ, გამთენიისას კი კიდევ ერთმა ახალგაზრდა ქართველმა მეკარე **გიორგი ბახტაძემ** მიაშურა უცხოეთს, კონკრეტულად კი საბერძნეთს. მართალია, მაკარიძის შემთხვევაში ტრანსფერთან არ გვაქვს საქმე (ამ ეტაპზე ყოველ შემთხვევაში), მაგრამ ელადაზე გადაბარგება ნამდვილად მოსალოდნელია. მასთან თანამშრომლობა პირეოსის "ოლიმპიაკოსს" აქვს გადაწყვეტილი.

მოლაპარაკება ამასთან დაკავშირებით შედეგიანად დასრულდა და კონტრაქტზე ხელმოწერა გიორგის მამის, **გივი ბახტაძისა** და მეკარის აგენტ **დავით ქარაულის** საბერძნეთში ჩასვლისას შედგება.

გივი ბახტაძე საფეხბურთო კლუბ "ამირანის" (ყოფილი "ავაზა") პრეზიდენტია და გიორგიც სწორედ ამ კლუბის საკუთრებაშია. აღსანიშნავია რომ, გიორგი ბახტაძე **ლევან ცქიტიშვილისა და ლევან კობიაშვილის** გამზრდელი მწვრთნელის, **როლანდ კიზირიას** აღზრდილია. ფიზიკურად კი ცნობილმა სპეციალისტმა **იური სტადუხინმა** მოამზადა.

გიორგი ბახტაძე, **ლევან მელიქიას** ფორმაციის 17-წლამდელთა ნაკრებში ასპარეზობდა. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე 195 სმ. სიმაღლის მეკარეს უკრაინასთან მატჩში მოუწია თამაში. ის შეხვედრა ჩვენმა ჭაბუკებმა 3:1 მოიგეს და ბახტაძე ერთ-ერთი საუკეთესო იყო. ბერძენმა და სხვა ქვეყნის კლუბების აგენტებმა სწორედ იქ შეამჩნიეს ახალგაზრდა ქართველი და მისადმი ინტერესი გაუჩნდათ. ბახტაძის გადაბირება, "ოლიმპიაკოსის" გარდა, "პარმას", "ბაზელსა" და "ციურიხს" სურდათ. მათში ყველაზე მეტად "პარმა" აქტიურობდა, მაგრამ მაინც ბერძნებმა იმარჯვეს.

*"რამდენიმე დღის წინათ ბერძენი აგენტი ლეფტერის კარაგიორგოსი (ვინც ლევან ქებაძისა და ლევან მაღრაძის ტრანსფერები გაჩარხა) და "ოლიმპიაკოსის" მენეჯერი გუნდის მეკარეთა მწვრთნელთან ერთად თბილისში იმყოფებოდნენ. ისინი გიორგის კიდევ ერთხელ დააკვირდნენ და მისი საკითხიც აქვე გადაწყდა. 2-წლიან კონტრაქტზე შეთანხმება მიღწეულია. მე და გივი ბახტაძე საბერძნეთის ვიზას ველოდებით. რამდენიმე დღეში ათენში ჩავფრინდებით და კონტრაქტიც იქ გაფორმდება. "ოლიმპიაკოსს" 6 ნოემბერს მადრიდის "რეალთან" აქვს ჩემპიონთა ლიგის მატჩი. ბერძნებს ძალიან უნდათ გიორგი ამ მატჩს დაესწროს, გარემოს გაეცნოს, შეეგუოს და ათენში მისი გამგზავრება ამიტომ დაჩქარდა. ჩვენ "რეალთან" მატჩის მერე ჩავალთ საბერძნეთში და კონტრაქტიც გაფორმდება"*, - "ლელოსთან" საუბარში აღნიშნა დავით ქარაულმა.

ბერძნებს 17-წლამდელთა ნაკრების კიდევ ერთ ყოფილ წევრის, "ვიტ ჯორჯიის" ნახევარმცველ **გიორგი წულაძის** მიმართაც აქვთ ინტერესი. უცხოური კლუბების სელექციონერებს ეს ახალგაზრდა ფეხბურთელიც ბელგიაში მოეწონათ და ქარაულს მასზეც დავეკითხეთ.

*"გიორგი წულაძის მიმართ ჯერჯერობით მხოლოდ ინტერესია. ალბათ მოლაპარაკებები ზამთრის პაუზისას დაიწყება. აქამდე მთლიანად გიორგი ბახტაძის საქმეზე ვიყავი გადართული და "ოლიმპიაკოსში" მისი ჩარიცხვის შემდეგ უკვე წულაძეზე დავილაპარაკებთ. წულაძე ძალიან ნიჭიერია, მაგრამ არ უნდა მოდუნდეს და საკუთარ თავზე მუშაობა გააგრძელოს".*

**დავით ცაბაძე**



დავით ქარაული და გიორგი ბახტაძე

# მენთეშაშვილი ჩემპიონია

გუშინ ლატვიის ვირსლიგაში ჩემპიონის ვინაობა გაირკვა - **ზურაბ მენთეშაშვილის** "ვენტსპილსმა" ტიტული ზედიზედ მეორედ მოიპოვა. ჩემპიონატის დასრულებამდე ერთი ტური დარჩა, თუმცა გუშინ გადადებულ მატჩში გამარჯვებით "ვენტსპილსმა" ჩემპიონობა გაინაღდა. მენთეშაშვილის გუნდი "სკონტოს" ესტუმრა და 27-ე წუთზე **იგორ სლესარჩუკის** გოლის წყალობით 1:0 მოიგო. "ვენტსპილსს" 58 ქულა აქვს და უახლოეს მდევარ "მეტალურგსს" უკვე 4 ქულით უსწრებს. გუშინდელი მატჩი ძალიან ბევრს წყვეტდა, "სკონტო" გამარჯვების შემთხვევაში თავადაც ინარჩუნებდა ჩემპიონობის შანსს. მასპინძელთა რიგებში 90 წუთი ითამაშა **დავით გამეზარდაშვილმა,** ხოლო **ზაალ ელიავა** ტრავმირებულია. "ვენტსპილსში" შეუცვლელად ითამაშა მენთეშაშვილმა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



გამეზარდაშვილი მენთეშაშვილის (18) შეჩერებას ცდილობს

# ნაკრების მეკარეს კურცი დააკვირდება

**კლაუს ტოპმიოლერის** რეკომენდაციით **გიორგი მაკარიძე** 2 კვირის განმავლობაში "მიუნხენ 1860-ში" რომ ივარჯიშებს, გეცოდინებათ. ქართველი მეკარე მიუნხენელთა გუნდში ვარჯიშს გუშინ შეუდგა. ეს ცნობა ფოტოსთან ერთად, გუშინვე გაავრცელა "მიუნხენ 1860-ის" ოფიციალურმა ვებგვერდმა ასეთი სათაურით: "ვარჯიშის სტუმარი საქართველოდან".

*"დღეს მწვრთნელმა მარკო კურცმა ახალი ფეხბურთელი წარმოგვიდგინა. ეს გახლავთ თბილისის "დინამოს" 17 წლის მეკარე გიორგი მაკარიძე. "ის ძალიან ახალგაზრდაა. რამდენიმე დღის განმავლობაში ჩვენს გუნდში ივარჯიშებს. ახალგაზრდა მეკარეს ამ პერიოდში დავაკვირდებით", - აღნიშნა კურცმა.*

*აღსანიშნავია, რომ მაკარიძეს ორი კვირის წინათ, 17 ოქტომბერს ეროვნულ ნაკრებში წარმატებული დებიუტი ჰქონდა. მწვრთნელებს ამ მეკარეზე დაკვირვება საქართველოს ნაკრების თავკაცმა კლაუს ტოპმიოლერმა ურჩია. მაკარიძე 12 ნოემბრამდე ივარჯიშებს "მიუნხენ 1860-ში", მერე კი სამშობლოში გაემგზავრება"*, - წერს მიუნხენური კლუბის ვებგვერდი.

აქვე ერთსაც გამცნობთ, ტოპმიოლერისა და "კაიზერლაუტერნის" თანამშრომლობის ფორმის შესახებ ამ კლუბის სამეთვალყურეო საბჭოში გუშინ უნდა ემსჯელათ. თუმცა გერმანული წყაროების მიერ გავრცელებულ ცნობათა თანახმად, ამ საკითხზე მსჯელობა სამშაბათისთვის, 6 ნოემბრისთვის გადაიდო.

**დავით ცაბაძე**



გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს XIX ჩემპიონატი

## უმაღლესი ლიგა. ოქტომბრის ნომინანტები

### მწვრთნელები — თემურ მახარაძე (ზესტაფონი). ნესტორ მუმლაძე (ვიტ ჯორჯია)


თემურ მახარაძე


ნესტორ მუმლაძე

ოქტომბერში ასპროცენტიანი მაჩვენებელი მხოლოდ ორ გუნდს - "ზესტაფონსა" და "ვიტ ჯორჯიას" ჰქონდა. აქედან გამომდინარე, სწორედ ამ გუნდების მთავარ მწვრთნელებს უნდა ჰქონოდათ "თვის ნომინანტობაზე" პრეტენზია. თანაც, წინა თვისა არ იყოს, ოქტომბერშიც გაგვიჭირდა მათგან საუკეთესოს არჩევა და ამჯერადაც ორი მწვრთნელი გამოვარჩიეთ - **თემურ მახარაძე** და **ნესტორ მუმლაძე**.

"ზესტაფონმა" პირველ ტურში ფრედ რომ ითამაშა, მას მერე თემურ მახარაძის გუნდი უდანაკარგოდ მიდის. ეგ კი არა, წელიწადზე მეტია თემურ მახარაძეს საქართველოს ჩემპიონატში თამაში არ წაუგია! ჰო, ეგრეა - წინა ჩემპიონატში მეხუთე ტურიდან დაბრუნდა მახარაძე "ზესტაფონში" და მას მერე მისმა გუნდმა 32 მატჩიანი წაუგებელი სერიაც გამოაცხო! ვნახოთ, როდემდე გაგრძელდება ეს, მართლაც, ჩინებული შედეგი... არადა, "ზესტაფონს" სხვა გუნდებთან შედარებით ყველაზე დაბალანსებული შემადგენლობა ჰყავს; უფრო ზუსტად, თემურ მახარაძის განკარგულებაში, ფაქტობრივად, ორი სრულფასოვანი შემადგენლობაა. თანაც, ჩინებულ ფორმაში არიან უაღრესად გამოცდილი ფეხბურთელებიც, მეტად პერსპექტიული ახალგაზრდებიც და გუნდის ლეგიონერებიც. საერთოდაც, ალბათ, დროა, რომ თემურ მახარაძემ სეზონი... ტიტულით დაასრულოს. ამას კი გამოცდილი მწვრთნელი ნამდვილად იმსახურებს...

..."ვიტ ჯორჯია" კვლავ გვაოცებს! ყოველი სეზონის დაწყების წინ გუნდს ერთდროულად რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი ტოვებს, მაგრამ "ვეტერინარების" თამაშზე ეს არანაირად მოქმედებს. თანაც, კლუბის პრეზიდენტს **გურამ რუხაძეს** აშკარად არ უღალატა ალღომ, როცა მთავარ მწვრთნელს ნესტორ მუმლაძეს სრული ნდობა გამოუცხადა. გაიხსენეთ, ადრე როგორ იყო - ფეხბურთელების მასიურ მიგრაციასთან ერთად "ვიტ ჯორჯიაში" მწვრთნელებიც პერმანენტულად იცვლებოდენ. მუმლაძემ კი გუნდთან უკვე მესამე სეზონი დაიწყო! და იმის მიუხედავად, რომ ექვს თვეში ერთხელ წამყვან ფეხბურთელებს კარგავდა, "ვიტ ჯორჯიას" მწვრთნელი ახერხებდა და დღესაც ახერხებს გუნდისთვის "საკუთარი ხელწერის" შენარჩუნებას. იგივე "ზესტაფონისგან" განსხვავებით "ვიტ ჯორჯიაში" არ არიან გამორჩეული ინდივიდუალისტები და არც გაბონელ-ბრაზილიელი ლეგიონერები თამაშობენ. სამაგიეროდ, უკვე წლებია, ეს გუნდი შევსებას თავის ფარმ-კლუბიდან იღებს და ახალგაზრდა ბიჭებიც ნელ-ნელა "ვიტ ჯორჯიას" ლიდერებად ყალიბდებიან. ამის ნათელ მაგალითად **ირაკლი კლიმიაშვილიც** გამოდგება - ახალგაზრდა ნახევარმცველმა ამ სეზონში უკვე არაერთი შთამბეჭდავი მატჩი ჩაატარა, ხოლო გუნდის კაპიტანი **ლექსო კვახაძე** კი საქართველოს ეროვნულ ნაკრებში მიიწვიეს.

და მთავარიც: "ვიტ ჯორჯია" იყო პირველი გუნდი, რომელმაც ამ ჩემპიონატში "დინამოს" ძლევამოსილი სვლა შეაჩერა. მეცხრე ტურამდე **დუშან უჰრინის** გუნდს ერთი ქულაც არ ჰქონდა დაკარგული, მაგრა ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე ვერაფერი გააწყო არნახული შემართებით მოასპარეზე "ვიტ ჯორჯიასთან". ჰოდა, ამ გამარჯვების შემოქმედი გუნდის მწვრთნელი თვის ნომინანტად რომ დავასახელეთ, ალბათ, ლოგიკურიც იყო...

### ოქტომბრის სიმბოლური ნაკრები




### ფეხბურთელები — კახა ჩხეტიანი (ზესტაფონი), რევაზ ჯიქია (ოლიმპი)


კახა ჩხეტიანი


რევაზ ჯიქია

ეს უკვე, მართლაც,... "მეტისმეტია" - ამ სეზონში ზედიზედ მესამედ "თვის ფეხბურთელად" ერთდროულად ორ მოთამაშეს ვასახელებთ! შეგახსენებთ, რომ აგვისტოში ეს პატივი **ალექსანდრე კაიდარაშვილს** ("მესხეთი") და **ლევან ყენიას** ("ლოკომოტივი") ერგოთ; სექტემბერში - **შოთა გრიგალაშვილსა** და **მიხეილ ხუციშვილს** ("დინამო"). ასეა ოქტომბერშიც, როცა არჩევანი "ზესტაფონის" მცველ კახა ჩხეტიანზე და "ოლიმპის" ფორვარდზე **რევაზ ჯიქიაზე** შევაჩერეთ (არადა, წინა სეზონში ანალოგიური შემთხვევა მხოლოდ ერთხელ იყო).

"ზესტაფონი" ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერია და, ერთი შეხედვით, არც უნდა გაგვიკვირდეს ამ გუნდის ფეხბურთელის ლაურეატობა. თუმცა უცნაურობა სხვა რამეშია - ვერ ვიხსენებთ შემთხვევას, როცა ნომინანტად მცველი ყოფილიყო. ჰოდა, კახა ჩხეტიანმა ეს "მითი" დაამსხვრია და თავისი სტაბილური თამაშით ალალად დაიმსახურა "თვის ფეხბურთელობა". ტური არ გავა, "ზესტაფონის" კაპიტანი და ამ გუნდის მარცხენა ფლანგის "ბატონ-პატრონი" სიმბოლურ ნაკრებში რომ არ მოხვდეს; ეგ კი არა, უკვე იმდენჯერ დავასახელეთ ტურისა თუ თვის სიმბოლურ ნაკრებში, ფაქტობრივად, განაღდებულიც აქვს პირველი წრისა და, ალბათ, სეზონის სიმბოლურ ნაკრებში მოხვედრაც. 29 წლის გამოცდილი ფეხბურთელი, მართლაც, გამორჩეულ სეზონს ატარებს და მისი დიდი დამსახურებაც არის, რომ "ზესტაფონი" საჩემპიონო რბოლაშია ჩართული. ჩხეტიანი უშუალო ფუნქციებსაც ჩინებულად ასრულებს და თავისი გუნდის შეტევებშიც მუდამ აქტიურად არის ჩართული. მოკლედ, ნამდვილი ლიდერია და უაღრესად სასარგებლო და, რაც მთავარია, სტაბილური თამაშით დაიმსახურა კიდეც "თვის ფეხბურთელობა". ისევე, როგორც რევაზ ჯიქიამ - "ოლიმპის" ეს მეტად და მეტად საინტერესო თავდამსხმელი ყველა მატჩში ამტკიცებს თავის ჩინებულ შესაძლებლობებს. არადა, ჯიქიას თავდაპირველად ძირითად შემადგენლობაში მოხვედრაზე პრობლემებიც ჰქონდა (სხვათა შორის, კახა ჩხეტიანსაც...); ამას გარდა, სხვადასხვა პოზიციებზეც (ნახევარდაცვის ფლანგებზე თუ "საყრდენად") უწევდა თამაში; მაგრამ "ოლიმპის" უკრაინელმა მწვრთნელმა **ანატოლი პისკოვეცმა** საბოლოოდ თავდასხმაში დააყენა და ჯიქიაც ათამაშდა. ადრეც ვწერდით, როცა "ტურის ფეხბურთელად" დავასახელეთ: ამ მოთამაშეს მოედანზე ერთობ არაორდინალური აზროვნებითა თუ მოქმედებით გამოარჩევთ. თანაც, რაც ყველაზე ფასეულია დღევანდელ ფეხბურთში, სწრაფად აზროვნებს! ჯიქიას ჩინებული დრიბლინგი აქვს, თავითაც კარგად თამაშობს და ეფექტური გოლების გატანაც უყვარს; მოკლედ, ისეთი ფეხბურთელია, მწვრთნელი 90 წუთი რომ უნდა ენდოს - არავინ იცის, კონკრეტულ ეპიზოდში რას და როგორ მოიმოქმედებს...

**გვერდი მოამზადა გია ტუხაშვილმა**

გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკლუბო რეიტინგი

# დინამო და ამერი

ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ორგანიზაციამ (IFFHS) ტრადიციული საკლუბო რეიტინგი გამოაქვეყნა. 350 გუნდიან ჩამონათვალში საქართველოს ორი წარმომადგენელია შეყვანილი. თბილისის "დინამო" 281-ე ადგილზეა და ამ პოზიციას პანამურ "ტაუროსთან", სომხურ "პიუნიკთან", ხორვატულ "სლავენთან", შვედურ "ჰამარბისთან", სლოვენიურ "კოპერსა" და სენეგალურ "დაკართან" იყოფს. ასევე დედაქალაქური "ამერი" კი მსოფლიო რეიტინგში 308-ეა. გლდანელთა "მეზობლები" ავსტრიული "რიდი", იტალიური "ტორინო", ესპანური "ატლეტიკი" და იტალიური "კიევო" არიან.

ცნობისათვის, ეს რეიტინგი არცთუ დიდი ხნის წინათ დაარსდა, ქართული კლუბებიდან იქ თავის დროზე "თბილისი", "ვიტ ჯორჯია", "ოლიმპი" და "ზესტაფონიც" მოხვედრილან.

**რეიტინგის ზედა ათეული ასე გამოიყურება:**

1. სევილია (ესპანეთი)
2. ჩელსი (ინგლისი)
3. მანჩესტერი (ინგლისი)
4. სანტოსი (ბრაზილია)
5. ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)
6. ინტერი (იტალია)
7. მილანი (იტალია)
8. რომა (იტალია)
9. კოლო კოლო (ჩილე)
10. ბარსელონა (ესპანეთი)

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ივანოვიჩმა ასათიანთან ჩხუბი დაივიწყა

მოსკოვის "ლოკომოტივის" სერბ მცველ **ბრანისლავ ივანოვიჩს** ცნობილი ევროპული კლუბები, "იუვენტუსი", "მანჩესტერი" და "ინტერი" იწვევენ.

ძნელი სათქმელია, ევროპაში გაუშვებენ თუ არა. სამშობლოში კი სეზონის დასრულების შემდეგ ქართველ თანაგუნდელთან შერიგებული დაბრუნდება.

მან "სპორტ-ექსპრესთან" ინტერვიუში გუნდში არსებულ ვითარებაზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ **მალხაზ ასათიანთან** შერიგდა.

სექტემბერში, მოსკოვის "დინამოსთან" შეხვედრის დროს მალხაზ ასათიანი მოულოდნელად ივანოვიჩისკენ გაიქაჩა. სიტყვიერი შეხლა-შემოხლა მოედნის მიღმაც გაგრძელდა, ქართველმა გვირაბში სერბ მცველს პლასტმასის ბოთლი ესროლა.

კონფლიქტზე ათასგარ ვერსიას ყვებიან. გარკვევით ჩხუბის მონაწილეებს არაფერი უთქვამთ. დუმილი ივანოვიჩმა დაარღვია.

*"პრესამ ამ ეპიზოდს ზედმეტი ყურადღება მიაქცია. ჟურნალისტებმა ჩვეულებრივი, ყოველდღიური ამბავი გააბუქეს. არადა, ასეთი რამ ყოველდღე და ნებისმიერ გუნდში ხდება. ბრძოლის მომენტში, როდესაც დაძაბულობა ზღვრამდეა მისული, უარესებიც ხდება. ეს მოთამაშეთა ურთიერთობაზე გავლენას არ ახდენს. ჩემი და ასათიანის შემთხვევა ჩემს სიტყვებს ადასტურებს. ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს და მომხდარს არც ვიხსენებთ".*

**მერაბ მამულაშვილი**

# შოტლანდიელებს 5 მილიონს ვაქარგვინებთ?

შოტლანდიის ნაკრების წევრებს ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციის ხელმძღვანელები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრის შემთხვევაში პრემიალურის სახით, 5 მილიონ გირვანქას შეპირდნენ. ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა, **გორდონ სმიტმა** ეს განცხადება უკრაინა-საქართველოსთან მატჩებამდე გააკეთა.

სქოთების მორალური და მატერიალური სიხარული ქართველებმა საეჭვო გახადეს.

U17. ქალთა ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი

# ტურნირი უგოლოდ დავასრულეთ

გუშინ 17-წლამდე გოგონათა შორის, ევროპის ჩემპიონატის პირველი შესარჩევი ციკლის ჯგუფური რაუნდის მატჩები დასრულდა. სამწუხაროდ, ჩვენი გოგონათა ნაკრები, ინგლისსა და რუსეთთან წაგებების შემდეგ, სლოვაკეთთანაც დამარცხდა 0:6 და ჯგუფური ეტაპი უგოლოდ დაასრულა.

გუშინვე რუსთავში, "ფოლადზე" ინგლისმა რუსეთი 1:0 დაამარცხა და ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინგლისი | 3 | 3 | 0 | 0 | 17:1 | 9 |
| 2. რუსეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:2 | 6 |
| 3. სლოვაკეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 8:6 | 3 |
| 4. საქართველო | 3 | 0 | 0 | 3 | 0:22 | 0 |

**დავით ცაბაძე**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!





# იქ, სადაც ფრონტის ხაზი არ გადის

## ტოტალური კონტროლი თუ ცვლილებები

ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში ვალერი ლობანოვსკიმ თქვა, ფეხბურთში რევოლუციები აღარ იქნება, აწი მხოლოდ ევოლუციურად განვითარდებაო.

ამ რამდენიმე დღის წინათ კი ოპოზიციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა განაცხადა, საქართველოში რევოლუციების დრო დასრულდა, ახლა ევოლუციების ჯერიაო.

არ არის გამორიცხული, რომ პატივცემული ოპოზიციონერი პლაგიატი სულაც არ იყოს, მაგრამ ევოლუციური კი არა, რალაც რევოლუციური სიმპტომები გამოჩნდა ქართულ პოლიტიკურ სპექტრში.

8 ახალი სტადიონი, ორ წელიწადში 11 მილიონი დოლარი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის, წელიწადში 500 000 ლარი ეროვნული ჩემპიონატისთვის და კიდევ თურმე რვა ფინანსურად მდგრადი გუნდი შეემატება ეროვნულ ჩემპიონატს. ასეთია საქართველოში ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამა, გრანდიოზული და ჯერ არნახული, თუმცა ჯერაც განსახორციელებელი.

სხვადასხვა ობიექტის პრივატიზებისგან მიღებული თანხები - ასეთი ფული უნდა დაიხარჯოს ამ პროგრამაში, თუმცა ბევრი დეტალი უცნობია, მაგალითად, როგორ შეემატება ეროვნულ ჩემპიონატს რვა ფინანსურად მდგრადი გუნდი? ან 500 000 ლარს როგორ მიიღებს ეროვნული ჩემპიონატი ათი წლის განმავლობაში.

არის ერთი ვერსია - რვა ახალ სტადიონს მფლობელობაში გადასცემენ მათ, ვინც ამ ქალაქის საფეხბურთო კლუბს შეიძენს - ქუთაისის, ბათუმის, ბოლნისის, ლანჩხუთის, ახალციხის, ფოთის, თელავისა და ბორჯომის. აქედან ბორჯომის გარდა ყველგან საფეხბურთო-სარაგბო სტადიონი აიგება, ბორჯომში კი მხოლოდ საფეხბურთო.

ეს ავტომატურად იმას უნდა ნიშნავდეს, რომ საქართველოში აღარ დარჩება ქვეყნის ბიუჯეტით დაფინანსებული საფეხბურთო კლუბები, მაგრამ რას უნდა აძლევდეს, მაგალითად, ქუთაისის "ტორპედოს" შემძენს ის, რომ სტადიონის იჯარაში ფულის გადახდა აღარ მოუწევს?! ამით რამდენიმე ათეულ ათასობით ლარი დაეზოგება სეზონში, მაგრამ მწვრთნელ-ფეხბურთელებისთვის საჭირო თანხებს ამით ვერ მოიძიებს.

მთავარი დეტალი კი სულ სხვა უნდა იყოს - რამდენ ხანს დარჩება ეს ხელისუფლება, რომელსაც ძალიან უყვარს ტოტალური კონტროლი, რისი ერთ-ერთი დასტური ფეხბურთის ფედერაციის წლევანდელი ყრილობის არჩევნებიცაა.

თუ საქართველოს უახლეს ისტორიას გადავხედავთ, დაგროვებულ უარყოფით ემოციებს ყოველთვის მოსდევს ხელისუფლების ცვლა. ასე არ მოხდა მხოლოდ მაშინ, როცა მიტინგებს ხვრეტდნენ.

ვერ იქნება კარგი საქმე, თუ საქართველოში ფეხბურთის განვითარების ძვირიანი პროგრამის განხორციელებას ხელს რამე შეუშლის.

ისე, თეორიულად არსებობს იმის შანსი, რომ ოპოზიციას ფეხბურთშიც ჰქონდეს საპაექრო ხელისუფლებასთან ან პირიქით.

ოპოზიციის დამფინანსებელი ბადრი პატარკაციშვილი მანამდე ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი და ოლიმპიური ფონდის დამფუძნებელი გახლდათ. მისმა მეცენატობამ ძალიან შეუწყო ხელი ქართველ ოლიმპიელებს.

უფრო ადრე, 2001 წელს კი პატარკაციშვილმა თბილისის "დინამო" იყიდა. დღემდე მისია ეს კლუბი და არაერთ მილიონი დაახარჯა, მაგრამ "დინამოსთვის" ახლა ყველაზე აქტუალურია "ზესტაფონს", ამერს" თუ "ვიტ ჯორჯიას" მოუგოს და არა ევროარენაზე ძველი პოზიციები დაიბრუნოს.

2002 წელს პატარკაციშვილის ფავორიტი დავით პეტრიაშვილი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებში მერაბ ჟორდანიას დაუპირისპირდა და დამარცხდა. მაშინ ფეხბურთის ფედერაციის არჩევნები არ იყო ისე პოლიტიზებული, როგორც წლეულს და შარშანწინ. მაშინდელ არჩევნებში ძალიან ბევრ რამეს წყვეტდა ფული, მაგრამ პატარკაციშვილის პროტეჟე მაინც დამარცხდა.

ჯერ არ ჩანს ხელისუფლების გამარჯვებული საფეხბურთო პროექტებიც, თუმცა ფაქტია, ამ დროისთვის პატარკაციშვილმა უფრო მეტი მილიონი დახარჯა ქართული ფეხბურთის და სპორტისთვის, ვიდრე ამ ხელისუფლებამ.

ახლა ფრონტის ხაზი ფეხბურთზე და სპორტზე არ გადის, თუმცა ფეხბურთისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი რამ ხდება ამ ფრონტზე - მიაღწევს თუ არა სახელმწიფოს მილიონები ფეხბურთამდე.

ამასობაში ტოპის შემწეობით 17 წლის დინამოელი მეკარე გიორგი მაკარიძე მიუნხენში ჩავიდა და იქნებ მოეწყოს კიდეც "1860-ში". მათე ღვინიანიძე, ლევან ყენია, დავით თარგამაძე - "დინამოს" შეეძლო ისინი თავისთან ჰყოლოდა, მაგრამ არ გამოვიდა, ახლა მაკარიძესაც წასვლისკენ უჭირავს თვალი.

ოვონო, კრშკო, ზელიჩი, დობეში, სპასოევიჩი - ბადრის ფულები მათი დინამოელობისთვის იხარჯება.

სხვა საქმეა, რა უფრო აწყობთ ქართული კლუბების მესვეურთ - ტოტალური კონტროლი თუ ცვლილებები.

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანიის თასი. 1/16 ფინალი. ოთხშაბათის მატჩები

# ტონი: ჯერ მსაჯთან ჩხუბი, მერე დუბლი

## შეხვედრა წარსულთან: კარლ ცაისმა ჰანს მაიერი დაამარცხა



ლუკა ტონი არბიტრს ეკამათება

**"ბაიერნს" გერმანიის თასის 1/16 ფინალში მიონხენგლადბახის "ბორუსიის" სახით ისტორიული მეტოქე ჰყავდა, მაგრამ ფაქტი იყო, რომ ბავარიული გრანდის ქომაგების ნერვიულობა უსაფუძვლო გახლდათ: "ბაიერნს" დღეს ტოლ-სწორად ბუნდესლიგელებიც კი ვერ ეთამაშებიან და რა უნდა ექნა გუნდს, რომელიც მეორე ბუნდესლიგაში ასპარეზობს და რომელსაც მხოლოდ ერთი ცნობილი მოთამაშე (ოლივერ ნოივილი) ჰყავს? ოტმარ ჰიტცფელდმა კვლავ ვერ დაიხმარა ფრანკ რიბერი, რომელიც ტრავმირებულია. არ იყო რიბერი, იფრინა ლუკა ტონიმ! მატჩის გმირი სწორედ იტალიელი გახდა, რომელიც ჯერ ლაინსმენს ეჩხუბა, მერე კი დუბლი შეასრულა.**

შესაბამისად, ჩვენი გერმანელი კოლეგები ასეთ კითხვას სვამენ: ჰქონდა კი 11 მილიონ ევროდ ნაყიდ იტალიელს მოედანზე ყოფნის უფლება იმ დროს, როცა მან გოლები გაიტანა? 22-ე წუთზე იტალიელი, რბილად რომ ვთქვათ, ცუდად მოიქცა და ლაინსმენ **კარსტენ კადახს** ჯერ ორივე ხელი ჰკრა, მერე კი ომახიანადაც დაუღრიალა. მთავარ არბიტრ **მანუელ გრეფეს** ტონისთვის წესით, წითელი ბარათი უნდა აეფრიალებინა, მაგრამ დაინდო. ტონისგან ასეთი საქციელი გასაკვირია, რადგან ლუკა არ არის ყვირილითა და ხელის კვრებით ცნობილი. მაშ რა მოხდა? ტონი განრისხებული იყო იმის გამო, რომ ამ სცენამდე ცოტა ხნით ადრე, მიონხენგლადბახელები მის თანაგუნდელ **მარტინ დემიკელისს** სასტიკად მოექცნენ. ტონიმ ჯერ გლადბახელ **ფრინდს** ჰკრა ხელი, მერე კი, როცა ფეხბურთელებს შორის ლაინსმენი ჩადგა, ამ უკანასკნელსაც დაუღრიალა და ისიც ხელისკვრით მოიშორა. გრეფე ამბობს, ტონის საქციელი თავდაცვის რეაქციად შევაფასე და გაფრთხილება ამიტომაც ვაკმარეო. მოკლედ, "ბაიერნსაც" გაუმართლა და იტალიელსაც, რადგან მსაჯს ტონი რომ გაეძევებინა, კაცმა არ იცის, მოახერხებდა თუ არა რეკორდმაისტერი ამ თამაშის მოგებას.

მიონხენგლადბახელები საკმაოდ კარგად თამაშობდნენ და გოლის გატანაც არაერთხელ შეეძლოთ (მაგალითად, ნოივილს), მაგრამ შესანიშნავი იყო **მიხაელ რენზინგი**, რომელმაც არაერთხელ იხსნა თავისიანები. **კანის** შემცვლელი ისევ საუკეთესო ბაიერნელი გახლდათ და სხვათა შორის, საკმაოდ კარგად ითამაშა **ლუკას პოდოლსკიმაც**, რომელსაც ჰიტცფელდმა თავის გამოჩენის შანსი მისცა და ძირითად შემადგენლობაში **მიროსლავ კლოზეს** ნაცვლად გაამწესა. მაგრამ პოლდის გოლი არ გაუტანია, ტონის დუბლის შემდეგ, მესამე გოლი, ისევ და ისევ, კლოზეს ანგარიშზეა, რომელიც მოედანზე მოგვიანებით შევიდა. აღსანიშნავია, რომ ტონის ორივე გოლი სწორედ პოდოლსკიმ გაატანინა.

სამშაბათისგან განსხვავებით, როცა გერმანიის თასს "ჰერტა" გამოეთიშა, ოთხშაბათს სერიოზული სენსაცია აღარ მომხდარა. მერვედფინალში გაალწია "ვერდერმაც", თანაც საკმაოდ იოლად: **თომას შააფის** ბიჭებმა "დუისბურგს" 4:0 გადაუგბინეს, მაგრამ კიდევ ერთი წამყვანი ფეხბურთელი დაკარგეს. **ტორსტენ ფრინგსის** შემდეგ, ტრავმა **ბუბაკარ სანოგომაც** მიიღო და დიდი შანსია, რომ ლაზარეთში ტორსტენზე არანაკლები დრო გაატაროს. "მუსიკოსებმა" ოთხივე გოლი მეორე ტაიმში გაიტანეს: **ბოროვსკი, ალმეიდა, როზენბერგი, მოსკერა**... დიახ, მოსკერა! გახსოვთ ეს გვარი? ეს ის ფეხბურთელია, რომელიც "ვერდერს" "კარლ ცაისში" ჰყავდა განათხოვრებული, სადაც ერთ-ერთ ვარჯიშზე მან კლინიკური სიკვდილი გადაიტანა...

"ჰამბურგმა" "ფრაიბურგი" დაიფრინა, მაგრამ ჩრდილოელებს მოგება საკმაოდ გაუჭირდათ, რადგან ანგარიში ბრაისგაუელებმა გახსნეს, თუმცა **პიოტრ ტროხოვსკიმ** წონასწორობა მალევე აღადგინა. მეორე ტაიმში კი ყველაფერი თავის ადგილზე დადგა: HSV **ივიცა ოლიჩმა** დააწინაურა, მესამე გოლი კი **რაფაელ ვან დერ ვაარტის** ანგარიშზეა (პენალტით), რომელიც ლაზარეთიდან დაბრუნდა, მაგრამ "ფრაიბურგთან" თავიდანვე არ უთამაშია - **სტევენსმა** რაფა მეორე ტაიმში შეიყვანა. **ოთარ ხიზანეიშვილი** "ფრაის" განაცხადში არ გამოჩენილა.

"შტუტგარტმა" მეორე ბუნდესლიგის აუტსაიდერ "პადერბორნთან" ძალიან ბევრი ინერვიულა. **დავით სირაძეს** გერმანიის ჩემპიონებთან არ უთამაშია, რადგან მიკრო-ტრავმა აქვს. პირველი ტაიმი შვაბებმა **თომას ჰიტცლშპერგერის** დუბლით 2:0 მოიგეს, მაგრამ მეორე ნახევარში "პადერბორნმა", ყველასთვის მოულოდნელად, წონასწორობა აღადგინა. "შტუტგარტი" **მარიო გომესმა** იხსნა, რომელმაც გამარჯვების გოლი 118-წუთზე გაიტანა და თავისიანებს პენალტების სერია აარიდა. დამატებულ დროში მოივო "არმინიამაც" (კობლენცთან 2:1).

დორტმუნდის "ბორუსიამ" "ვესტფალენშტადიონზე" მისული 46 000 მაყურებელი პირველ ტაიმში ანერვიულა - BVB "აინტრახტს" ხვდებოდა და პირველი ტაიმი 0:1 წააგო (გოლი: **ამანატიდისი**), მაგრამ მეორე ნახევარში **თომას დოლის** შეგირდებს ბოსების სიტყვები გაახსენდათ, რომლებმაც მატჩის წინ თქვეს, არ გვაინტერესებს, როგორ და რანაირად, წლეულს გერმანიის თასზე უნდა გამოვიზამთროთო და "აინტრახტს" ორი გოლი გაუტანეს: ანგარიში **მარკუს ბრჟენსკამ** გაათანაბრა - **ბაკლის** ჩაწოდების შემდეგ, საჰაერო ორთაბრძოლისას ბურთი ზურგზე მოხვდა (!) და პრიოლი კარში შევარდა. გამარჯვების გოლის ავტორი კი **მლადენ პეტრიჩია**: ხორვატმა ფრანკფურტელთა მეკარე 64-ე წუთზე, 18 მეტრიდან განხორციელებული უძლიერესი დარტყმით დაამწუხრა. ამრიგად, ბოლო სამი წლის განმავლობაში "დორტმუნდი" გერმანიის თასის მერვედფინალში პირველად გავიდა.

დაბოლოს: იენის "კარლ ცაისმა" გერმანიის თასის მოქმედი მფლობელი "ნიურნბერგი" დაამარცხა და რაც მთავარია: "ნიურნბერგს" ხომ **ჰანს მაიერი** წვრთნის - კაცი, რომელიც 1981 წელს სწორედ იმ "კარლ ცაისის" მწვრთნელი იყო, რომელიც თბილისის "დინამომ" თასების მფლობელთა თასის ფინალში დაამარცხა. იენელები "რკინის ჰანსს" ტაშით კი შეხვდნენ (მაიერი "კარლ ცაისს" 13 წლის განმავლობაში წვრთნიდა), მაგრამ იენიდან პირშიჩალაგამოვლებული გამოუშვეს: ძირითადი დრო 2:2 დასრულდა, პენალტების სერიაში კი მასპინძელბმა იმარჯვეს: 5:4. აღსანიშნავია, რომ "კარლ ცაისის" ამჟამინდელმა მწვრთნელმა **ვალდას ივანაუსკასმა** მატჩის 117-ე წუთზე თამაშში ქართველი მცველი **გიორგი ონიანი** ჩართო (**იან შიმაკის** ნაცვლად) და მერე მას თერთმეტმეტრიანის შესრულებაც დაავალა. ონიანმა მესამე პენალტი შეასრულა და რაც მთავარია, ზუსტად, რითაც იენელები წინ გაიყვანა (გიორგის დარტყმამდე ნიურნბერგელმა **დომინიკ რაინჰარდტმა** ვერ გაიტანა).

**გოტფრიდ ლენცი**




ადლერი და ნოიერი

კანის გზაზე

# ახალი თაობა: რენზინგი, ადლერი, ნოიერი

## გერმანიის სამეკარეო სკოლა კვლავაც ერთ-ერთი საუკეთესოა...

**გერმანელებს შესაძლოა არ ჰყავდეთ ბევრი უმაღლესი კლასის ფეხბურთელი და განსაკუთრებით ბოლო დროს ხშირად ჩივიან, რომ აღარ ჰყავთ იურგენ კლინსმანის, თომას ჰესლერის, შტეფან ეფენბერგისა და სხვების დარი ოსტატები, ისეთები, როგორებიც თანამედროვე გიგანტებს, ტიერი ანრის, კაკას ან რონალდინიოს გაუტოლდებიან, მაგრამ გერმანელებს ყოველთვის ჰყავთ უმაღლესი კლასის მეკარეები და უკვე ცხადია, რომ ამ მხრივ პრობლემები არც უახლოეს მომავალში შეექმნებათ.**

ცოტაც და ოლივერ კანი აქტიურ სპორტულ კარიერას დაასრულებს. გერმანიის ნაკრებიდან ის ჯერ კიდევ შარშან, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ წავიდა, საერთოდ ფეხბურთიდან წასვლას კი მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ გეგმავს. არაუგვიანეს ევროპის ჩემპიონატის დასრულებისა, ბუნდესგუნდიდან **იენს ლემანიც** აიბარგება და ცხადია, რომ გერმანიის ნაკრებს ახალი მეკარე დასჭირდება. ამ მხრივ საუკეთესო შანსი დღესდღეობით **ტიმო ჰილდებრანდს** აქვს, რადგან სწორედ ეს უკანასკნელი მიიჩნევა ლემანის შემცვლელად. არის **რობერტ ენკეს** (ჰანოვერი) ვარიანტიც, რომელიც ასევე გამოცდილი და სტაბილური გოლკიპერია, მაგრამ არ უნდა გაგვიკვირდეს, გაისად **იოახიმ ლიოვმა** ბუნდესგუნდის კარი სულ სხვა კიპერს რომ ანდოს.

გერმანული ფეხბურთის მომავალთან დღეს სამი ახალგაზრდა მეკარე ასოცირდება. ესენი არიან **რენე ადლერი** (ლევერკუზენი), **მანუელ ნოიერი** (შალკე) და **მიხაელ რენზინგი**. გერმანელები უკვე ძალიან ამაყობენ იმით, რომ ჰყავთ სამი ახალგაზრდა და უნიჭიერესი მეკარე, რომელთაგანაც აცერთის ასაკი არ აღემატება 23 წელს. და მიუხედავად ამისა, სამივე მათგანს უკვე ძალიან სერიოზული პასუხისმგებლობა აკისრია.

ბაიერნელმა რენზინგმა უკვე არაერთხელ დაამტკიცა როგორც ბუნდესლიგაში, ასევე ევროსარბელზეც, რომ კანს მისი სახით ღირსეული შემცვლელი ჰყავს. ცოტა ხნის წინათ რენზინგს "ბაიერნის" ხელმძღვანელებმაც აბსოლუტური ნდობა გამოუცხადეს: ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** თქვა, კანის შემცვლელის ყიდვას არ ვაპირებთ, რეკორდმაისტერის კარი სწორედ მიხაელმა უნდა დაიცვასო. *"ვფიქრობ, მიხაელი უკვე იმ დონეზეა, რომ ის თავისუფლად შეძლებს "ბაიერნის" კარის დაცვას. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი წასვლის შემდეგ, გუნდს უმაღლესი კლასის მეკარე ეყოლება, რენზინგმა არაერთხელ დაამტკიცა, რომ არავისზე ნაკლები არ არის,"* - ეს თვითონ კანის სიტყვები გახლავთ.

რეკორდმაისტერის გენერალურ მენეჯერ **ული ჰიონესს** რომ ჰკითხოთ, გერმანიის ნაკრებში ლემანი არა ჰილდებრანდმა ან ენკემ, არამედ სწორედ რენზინგმა უნდა შეცვალოს. მიხაელის სიძლიერეზე მეტყველებს სტატისტიკაც: მიმდინარე სეზონში მან 4 მატჩი ჩაატარა (კანის ტრავმის გამო). ამ ოთხი მატჩიდან, სამში კარი მშრალად შეინახა და მხოლოდ ერთი გოლი გაუშვა. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ რენზინგმა დარტყმების 95 პროცენტი მოიგერია.

რენე ადლერი "ლევერკუზენში" 2000 წლიდან ირიცხება და 22 წლისაა. გასულ სეზონში მან ყველასთვის მოულოდნელად, ძირითადი შემადგენლობიდან **ჰანს-იორგ ბუტი** ამოაგდო. ეს უკანასკნელი ტრავმირებული გახლდათ, როცა ადლერმა შესანიშნავი თამაშები ჩაატარა, რის შემდეგაც, "ფარმაცევტების" მთავარი მწვრთნელი **მიხაელ სკიბე** იძულებული გახდა, ბუტი გამოჯანმრთელების შემდეგ სკამზე დაეტოვებინა. მას მერე ადლერი "ბაიერის" პირველი მეკარეა და თამაშიდან თამაშამდე ამტკიცებს, რომ უდიდესი მომავალი აქვს. რამდენიმე კვირის წინათ მან "ლევერკუზენთან" ახალი კონტრაქტი გააფორმა, რომელსაც ვადა 2012 წლამდე აქვს.

გასულ სეზონში მან ბუნდესლიგაში 11 თამაში ჩაატარა, დარტყმების 74 პროცენტი მოიგერია და 4 მატჩში კარი მშრალად შეინახა. მიმდინარე სეზონში კი, შედეგები გააუმჯობესა და დღემდე დარტყმების 84 პროცენტი მოიგერია, რაც ბუნდესლიგის მეკარეებს შორის ჯერჯერობით, საუკეთესო მაჩვენებელია. საერთო ჯამში, გასულ და მიმდინარე სეზონებში 22 თამაში აქვს ჩატარებული და მხოლოდ 23 გოლი გაუშვა. ამას გარდა, მნიშვნელოვანია ისიც, რომ როცა ადლერს ბურთი თამაშში შეაქვს, დარტყმების 64 პროცენტი ადრესატამდე, ანუ, თანაგუნდელამდე აღწევს.

ნოიერი ამ სამეულიდან ყველაზე ახალგაზრდაა - 21 წლის. და მიუხედავად ასეთი ასაკისა, ის უკვე "შალკეს" ნომერ პირველი მეკარეა და ალბათ, შეხსენებას აღარ საჭიროებს ის ფაქტი, რომ ნოიერმა შარშან ძირითადი შემადგენლობიდან **ფრანკ როსტი** ამოაგდო. აღსანიშნავია ისიც, რომ ნოიერი ყოველთვის "შალკეს" ღირსებას იცავდა - 5 წლიდან გელზენკირხენული კლუბის ფორმა აცვია. "ხუმარების" რიგებში მას დებიუტი 2006 წლის 19 აგვისტოს ჰქონდა. ბუნდესლიგაში ჩატარებულ 31 თამაშიდან, 16 მატჩში მან კარი მშრალად შეინახა. მიმდინარე სეზონში მან დარტყმების 76 პროცენტი მოიგერია. და ისევე, როგორც ადლერი, ბურთის თამაშში შეყვანა ნოიერსაც თითქმის იდეალურად შეუძლია: დარტყმების 70 პროცენტი ზუსტია - 100-დან 70 შემთხვევაში, ის ზუსტ პასს აკეთებს.

**გოტფრიდ ლენცი**



მიხაელ რენზინგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარსკვლავი

# რაფაელის პორტრეტი

## ვან დერ ვაარტი გასაფრენად ემზადება

**რაფაელ ვან დერ ვაარტი ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ფეხბურთელია მათ შორის, ვინც "აიაქსის" საფეხბურთო აკადემია-ლაბორატორიას მსოფლიოსთვის უჩუქებია. თუკი მასზე ასაკით პატარა ექსთანაგუნდელები, მაგალითად სნეიდერი და ბაბელი, უკვე სუპერკლუბებში ირიცხებიან, თავად რაფაელი ჯერ კიდევ ასაფრენი ზოლის დასაწყისში დგას, ჰაერში აჭრის ნებართვას ელის და ძალიან მაღლა აფრენას აპირებს. "ჰამბურგი", მისი მდიდარი ისტორიის გათვალისწინებითაც კი, არაა ჰოლანდიელის შესაძლებლობების ზღვარი. შემთხვევითი სულაც არაა, რომ მისი სახელი უკვე ძალიან დიდი ხანია, რაც სატრანსფერო სპეკულაციების საგნად იქცა. "ვალენსია", "იუვენტუსი", "რეალი", "ბაიერნი" და კიდევ ვინ მოთვლის რამდენმა გრანდმა მოისურვა მისი გადაბირება. სულ ახლახან გაჩნდა ინფორმაცია, რომ ზამთარში "ჩელსი" მზად იქნება, რომ მასში 20 მილიონი გირვანქა გადაიხადოს.**

**კო ადრიაანსემ**, ვისი ხელმძღვანელობითაც, "აიაქსი" 21-ე საუკუნეს შეეგება, დიდი მცდელობების მიუხედავადაც კი, წელიწადნახევრის განმავლობაში ვერ მოახერხა რაიმე ტიტულის მოგება. "ამსტერდამ არენა" მას მაინც უნდა უმადლოდეს ერთ საჩუქარს. სწორედ მას დაებადა იდეა, რომ 17 წლის ტალანტი **რაფაელ ვან დერ ვაარტი** გუნდის ლიდერად ექცია. მისი დებიუტი შედგა 2000 წლის 19 აპრილს "დენ ბოშის" წინააღმდეგ, თუმცა ამ სეზონში ეს მისი პირველი და უკანასკნელი თამაში აღმოჩნდა. საბოლოოდ კი, რაფაელმა კოს იმედები ბოლომდე გაამართლა. ამ პერიოდში ჰოლანდიურ სუპერკლუბს არ უდგა საუკეთესო დროება. ბუნდოვანი ფინანსური მდგომარეობა და განვითარების საეჭვო პერსპექტივა... სწორედ ამ დროს გამოჩნდნენ ახალი თაობის ტალანტები, რომლებმაც, მართალია, ძველი დიდება ვერ დაიბრუნეს, მაგრამ პერსპექტივა ნამდვილად გააჩინეს. მათ შორის ყველაზე ნიჭიერი უდავოდ ვან დერ ვაარტი იყო. 2000/01 სეზონში პოზიციით ცენტრალურმა ნახევარმცველმა მოაჯადოვა ჯერ ამსტერდამი, მერე ჰოლანდია და ბოლოს მთელი სამყარო თავისი დახვეწილი თამაშით. ის არ იფარგლებოდა მხოლოდ იმ ფუნქციების შესრულებით, რასაც მას მწვრთნელი ავალებდა. სამუშაოს მოცულობა ყოვლისმომცველი იყო. ქაღალდზე გადატანილ სქემაზე ის საყრდენი ნახევარმცველის **ტომაშ გალაშეკისგან** ოდნავ მარცხნივ იყო, მაგრამ ეს მხოლოდ ქაღალდზე. რაფაელი იყო ყველგან სადაც ქარიშხალი მძვინვარებდა. თუკი ის ბურთით იყო, მეტოქე გარდაუვალი უბედურების მოლოდინში იყო. თინეიჯერი ნახევარმცველის კვალობაზე, პირველ სრულ სეზონში, 27 თამაშში 7 გატანილი გოლი ამის ნათელი დადასტურებაა.

ჰოლანდიური ფეხბურთის ბიბლია გვასწავლის, რომ სქემა 4-4-3 უნდა გამოვიყენოთ ყველგან და ყოველთვის, კლუბებსა თუ ნაკრებში. ასე რომ, ისეთი ფაქიზი შემოქმედებითი ნატურები, როგორიც ვან დერ ვაარტია, უნდათ თუ არა, ვალდებულნი არიან, დაემორჩილონ ამ ქრესტომათიულ რიცხვებს. ალბათ, ამის ბრალია, რომ მოცუცქნული ჰემსკერკის თავმდაბალ შვილს "აიაქსმა" არ მისცა საკუთარი შესაძლებლობების ბოლომდე გამოვლენის საშუალება. რაფაელს არც ნაკრებში უთამაშია ისე, მას რომ შეუძლია.

მშობლიურ კლუბში მას იყენებდნენ როგორც მარცხენა ნახევარმცველს. ასე იქცეოდა კო ადრიაანსე, ასევე თვლიდნენ საჭიროდ **რონალდ კუმანი** და **დანი ბლინდი**. ხოლო ნაკრებში **მარკო ვან ბასტენი** მას საწინააღმდეგო ფლანგზე იყენებს. სწორედ ასე ბოჭავდნენ ჩვენი გმირის უზღვავ ფანტაზიებს. ის ასეც ვერ გახდა ტიპური ჰოლანდიელი ნახევარმცველი... ალბათ, მასში საკმაოზე ჭარბადაა ესპანური სისხლი დედის მხრიდან. ვან დერ ვაარტს არ უყვარს, როცა მისი გემის საჭესთან სხვები იწყებენ მოძრაობას. მას მარტო უყვარს ამ საქმის კეთება - ყველა შეტევას ის უნდა იწყებდეს და სწორედ ეს არ ჯდება ნარინჯისფერი ფეხბურთის სულში.

სხვათა შორის, მარტო ჯანმრთელი ეგოიზმი (რაც, სიმართლე ითქვას და, ყველა ნიჭიერ შემოქმედში უხვად გვხვდება) არ იყო ის, რაც რაფაელს ფრთების გაშლაში ხელს უშლიდა. ტრავმები, დიახ, სწორედ ის, რამაც უამრავი უნიჭიერესი ფეხბურთელის ბედს ლახვარი ჩასცა. რაღა შორის მივდივართ და გავიხსენოთ სწორედ ჰოლანდიელთა ეროვნული ნაკრების დღევანდელი დამრიგებელი, რომელიც 29 წლისა წავიდა ფეხბურთიდან. პირველი სერიოზული დაზიანება ვან დერ ვაარტმა 2001-ში მუხლზე მიიღო. ის იყო მოედანს დაუბრუნდა, რომ ხელახლა დაიმტვრა, და რაც ყველაზე სამწუხარო იყო, იმავე ადგილას, თანაც კიდევ უფრო სერიოზულად. ამის მიუხედავადაც კი, ინტერესი მისი პერსონისადმი მეორე პლანზე არასოდეს გადასულა. იმ ელემენტარული მიზეზის გამო, რომ როცა ის მინდორზე იყო, რეგულარულად იტანდა გოლებს და აკეთებდა იუველირულ პასებს. საბოლოო ჯამში, "აიაქსში" მის ანგარიშზე 117 თამაშში 52 გოლი დაგროვდა.

პირველი მწვრთნელი, ვინც გუნდის ვან დერ ვაარტზე აწყობა გადაწყვიტა, ეს **დიკ ადვოკაატი** იყო. ევრო 2004-ის შესარჩევში ის 4-3-3 სქემის მისებურ ინტერპრეტაციას მიმართავდა. გუნდი თამაშობდა ორი საყრდენით, ორი გარემარბითა და ცენტრფორვარდით. სადღაც ამათ შორის მოქმედებდა გამოჯანმრთელებული რაფაელი, რომელმაც მოქმედების აბსოლუტური თავისუფლება მიიღო. თუმცა ფინალური ეტაპის დაწყებას ვარსკვლავი იმდენად ცუდ ფორმაში შეხვდა, იმდენად უნიათოდ ირჯებოდა, რომ მწვრთნელი იძულებული გახდა, ნაკრები ვანდერვაარტიზაციისგან ეხსნა. სასტარტო მატჩში გერმანიასთან 90 წუთის შემდეგ, მომდევნო 4 თამაშში ორჯერ შევიდა ცვლილებაზე და სულ რაღაც 39 წუთი ითამაშა.

ევრო 2004-ს ფეხბურთელის ცხოვრებაში არანაკლებ მძიმე პერიოდი მოჰყვა. შვედეთთან ამხანაგურ მატჩში ის აიაქსელმა თანაგუნდელმა **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა** დაამტვრია. უსაქმურობის პერიოდში მას ახალგაზრდული, დაუოკებელი სული დისკოთეკებზე, სნობურ შეკრებებსა და წვეულებებზე სიარულს "აიძულებდა". 21 წლის ბიჭი თავის მეგობარ გოგონასთან, მოდელ **სილვი მეისსთან** ერთად თავდავიწყებას მიეცა. ყოველივე ამას ჰოლანდიური პრესის უმძიმესი წნეხი მოჰყვა. ფეხბურთელი ვერ იგებდა, თუ არ უნდოდა, გაეგო, რატომ აკრიტიკებდნენ მას. "აიაქსის" მწვრთნელები კი ფეხბურთელს სულ უფრო ნაკლებად უგებდნენ. ერთ დღესაც მხარეები მიხვდნენ, რომ მათს ურთიერთობაში კრიზისი დადგა. ნიშნული სიცივის უმდაბლეს დასაშვებ ნერტილს მიუახლოვდა. როგორც ეს ცივილიზებულ ადამიანებს სჩვევიათ, მათ დაშორება გადაწყვიტეს. ამსტერდამელებმა თითმის პირველივე სატრანსფერო წინადადება მიიღეს და "ჰამბურგს" ფეხბურთელი 5,5 მილიონ ევროდ დაუთმეს. მონდომების შემთხვევაში, შეიძლებოდა გრანდებში მისი უფრო მაღალ ფასად გაყიდვა, მაგრამ იმ ეტაპზე მისი გადაბირება სხვებმა ვერ გარისკეს. "ბაიერნის" ენაჭარტალა მენეჯერმა **ული ჰიონესმა** ჰოლანდიელი ფეხბურთელის შესაძლებლობები საერთოდ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა,



რაფაელი, თანამედროვე ჰოლანდიური ფეხბურთის უპირველესი ვარსკვლავი

რამაც, ორი წლის თავზე, მაშინ, როცა მიუნხენში მადა გაეხსნათ და ქისას თავი მოხსნეს ვარსკვლავების შესაძენად, მას ცუდი სამსახური გაუწია. თავმოყვარე ფეხბურთელმა უარი თქვა ეთამაშა კლუბში, სადაც ის დაიწუნეს, მაგრამ ეჭვი არ შეპარვიათ **ალი ქარიმის** შესაძლებლობებში.

ფეხბურთელმა ახალი გამოწვევა მიიღო და წარმოუდგენლად მალე დაუმტკიცა ყველას, რომ უმაღლეს დონეზე თამაში შეეძლო. დაუმტკიცა თვით **იოჰან კრუიფსაც** კი, ვინც მის ნაბიჯს გაუთვლელი და უკანგადადგმული უწოდა. ამაში მას ხელი დიდად შეუწყო გარემომ. რაფაელი გაიხსნა, იგრძნო რა ნდობა არა მხოლოდ **თომას დოლის**, არამედ თანაგუნდელებისგანაც. 2005 წლის სექტემბერ-ოქტომბერში მსოფლიოში ალბათ არ იყო ფეხბურთელი, ვიზეც საუბრობდნენ იმდენს, რამდენსაც "აოლ არენის" ახალ გმირზე. "ბაიერნმა" მწარედ იწვნია მისი მარჯვენის ძალა. ფეხბურთელმა შური იძია - გაუტანა რა გოლი და მიიღო რა საკმაოდ მაღალი შეფასება -2,5. ხოლო ჰიოწესის ფავორიტი ქარიმი პირველივე ტაიმის შემდეგ შეცვალეს. თუმცა ყველაფერი ისე ულრუბლოდ არ წარმართულა, როგორც დაიწყო. ტრავმებმა ჰოლანდიელს თავი შეახსენა. ვან დერ ვაარტის ბრწყინვალე თამაშისა (სეზონში 14 გოლი დაუგროვდა) და მისი ტრავმის შემდეგ, დიდწილად ინერციის წყალობით, "ჰამბურგმა" შეძლო საჩემპიონო მარათონში ჩართვა და, საბოლოო ჯამში, ჩემპიონთა ლიგის ზონაში მოხვედრა. ულიდეროდ დარჩენილმა გუნდმა, უკანასკნელ ტურში, უშუალო კონკურენტ "ვერდერთან" შინ წააგო და იძულებული გახდა, საკვალიფიკაციო ეტაპზე ეთამაშა.

შემდეგი სეზონი, შეიძლება ითქვას, "ჰამბურგმა" ისეთი განწყობით ჩაატარა, როგორითაც ნაბახუსევი ადამიანი უდგება ხოლმე საქმეს. ამას დაემატა სამი წამყვანი ფეხბურთელის გაშვება, ლიდერის მორიგი მძიმე ტრავმა და... გუნდი კომაში ჩავარდა - პირველი მოგება მხოლოდ მე-8 ტურში მოიპოვა. მე-20 ტურის შემდეგაც კი ისევ კინკილა მოგება ჰქონდა. ამას, რა თქმა უნდა, ვან დერ ვაარტის მფარველის თომას დოლის გათავისუფლება მოჰყვა. მის ნაცვლად მრავალჭირნახული **ჰუუბ სტევენსი** დაინიშნა, ვინც სათამაშო სქემა კი შეცვალა, მაგრამ თანამემამულის ფუნქციებისთვის ერთი მისხალიც არ მოუკლია.

გასულ ზაფხულს ჭორები ფეხბურთელის თაობაზე ყოველდღე ვრცელდებოდა. მისი გადაბირება მოინდომეს "ბაიერნმა", " იუვენტუსმა ", "რეალმა" და "ვალენსიამ". "ჰამბურგის" შეფმა **ბერნდ ჰოფმანმა**, ვინც ერთი წლით ადრე თვალისდაუხამხამებლად გაყიდა ყველა ფეხბურთელი, ვიზეც კი მოთხოვნა იყო, უარი თქვა ძველ ტაქტიკაზე და გრანდების წარმომადგენლებთან ლაპარაკიც კი არ ისურვა, არათუ მოლაპარაკებათა მაგიდასთან დაჯდომა.

ვან დერ ვაარტმა არც კი ისურვა დაემალა, რომ ჰოფმანის გადაწყვეტილებით სასოწარკვეთილებაში ჩავარდა: *"ერთი წლის წინათ, მათ პირობა მომცეს, რომ ევროგრანდების მომხიბვლელ წინადადებებზე უარს არ იტყოდნენ. "ვალენსიამ" მზადყოფნა გამოთქვა, ჩემი ტრანსფერი 14 მილიონად გამოესყიდა, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობამ არც კი ისურვა მათთან დალაპარაკება. ვალენსია ხომ ჩემი ბავშვობის სიყვარულია, იქ ჩემი ბებია და ბაბუა ცხოვრობენ. ვოცნებობ, რომ ერთ დღეს მათს ქალაქში ვითამაშო."* იმედგაცრუებული შვილიშვილი მთელი თავით საქმეში ჩაეფლო და ეს მერამდენედ დაგვიმტკიცა, რომ უდიდესი პროფესიონალია. მიმდინარე სეზონის დასაწყისი მისთვის ალბათ საუკეთესო იყო კარიერაში. 7 თამაშში ზედიზედ გატანილი 7 გოლით, მან ლეგენდარული **უვე ზეელერის** რეკორდი გაიმეორა. გადადგა რა ამით კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი ოცნების ასრულებისკენ. ახლა რამდენადღა მოისურვებს ფეხბურთელი "ვალენსიაში" გადაბარგებას, ძნელი სათქმელია. ამ დღეებში იქ მისი ოდინდელი მწვრთნელი რონალდ კუმანი დაინიშნა, ვისთანაც, როგორც უკვე მოგახსენეთ, არცთუ საუკეთესო დამოკიდებულება აკავშირებს.

თუმცა ცხოვრება არ მთავრდება "ვალენსიით". მას წინ დიდი ცხოვრება და დიდი ფეხბურთი ელის. ძრავა მალე ჩაირთვება, ნელ-ნელა სიჩქარეს მოუმატებს, ზღვარს მიაღწევს და ვან დერ ვაარტი გასაფრენად მოემზადება.

## ბრიტანეთის მთავრობა ფეხბურთელებს აკრიტიკებს

ბრიტანეთის სპორტის მინისტრმა **გერი სატკლიფმა ჯონ ტერის** ხელფასს დაუჯერებელი და უსამართლო უწოდა. "ჩელსის" კაპიტანს კვირაში 135 ათას გირვანქას უხდიან. სატკლიფის აზრით, ცალკეული ფეხბურთელებისათვის ასტრონომიული ხელფასის გადახდა, ზრდის უფსკრულს მათ და დანარჩენ საფეხბურთო სამყაროს შორის: *"უბრალო გულშემატკივარს ამხელა ფული არცკი დაესიზმრება. წამყვანი ფეხბურთელები და ფანები სულ უფრო და უფრო შორდებიან ერთმანეთს."* მინისტრმა გააკრიტიკა "მანჩესტერ იუნაიტედი" სეზონური აბონემენტების გაძვირების გამო. მან არ მოიწონა ეშმაკების მიერ შემოღებული პრაქტიკა - თუკი ფანები ასოციაციისა და ლიგის თასების აბონემენტსაც შეიძენს, პრემიერლიგის სეზონურ ბილეთზე, შეუძლია, შეღავათით ისარგებლოს. სატკლიფისათვის სანიმუშოა ქვედადივიზიონელი "ბრედფორდის" მაგალითი. ბრედფორდის დირექტორებმა სეზონურ აბონემენტს 120 გირვანქა დაადეს და ყოველ საშუალო მატჩზე მინიმუმ 14 ათასი მაყურებელი ჰყავთ. საყოველთაო კრიტიკის მიუხედავად, სპორტის მინისტრის პრესსამსახურმა განაცხადა, რომ მთავრობა ინგლისური ფეხბურთის საქმეებში ჩარევას არ აპირებს.

ჯონ ტერისთან დაკავშირებით კიდევ ერთ ინფორმაციას მოგაწვდით. "ნაიკი", რახანია, ამაოდ ცდილობს ამ ფეხბურთელთან კონტრაქტის გაფორმებას. ტერი ბრიტანული "უმბროს" ერთგული კლიენტი და სარეკლამო სახეა. მაგრამ ახლა ირკვევა, რომ "ნაიკი" "უმბროს" ყიდვას აპირებს. ამერიკელები 285 მილიონ გირვანქას იხდიან. ესე იგი, ტერიც "ნაიკის" პარტნიორი გახდება. აღსანიშნავია, რომ "ჩელსის" ტექნიკური სპონსორია "ნაიკის" უმთავრესი პარტნიორი "ადიდასი". ადიდასამდე "არისტოკრატებიც" "უმბროსთან" თანამშრომლობდნენ.

## იოლს ეინდჰოვენში უხმეს

**მარტინ იოლი** "ეინდჰოვენში" ინიშნება. ამ ინფორმაციას ჰოლანდიური სააგენტოები ავრცელებენ. იოლი "ტოტენჰემმა" გასულ ხუთშაბათს დაითხოვა. ამ კვირის დასაწყისში კარისკენ მიუთითეს ვალენსიელთა თავკაც კიკე ფლორესსაც. ესპანელებმა "ეინდჰოვენის" თავკაცი **რონალდ კუმანი** გადაიბირეს. ჰოლანდიური გრანდი უმწვრთნელოდ დარჩა. ამ ეტაპზე იოლზე უკეთესი მწვრთნელის ნახვა შეუძლებელია. "მამლების" ყოფილმა ბოსმა არ უარყო, რომ პსვ-ში დანიშვნა სავსებით რეალურია. "ტოტენჰემამდე" ის "როდასა" და "ვაალვიკში" მუშაობდა.

## ლეჩეს მეხი დაეცა

"ლეჩეს" ბანაკში ტრაგედია დატრიალდა. გუნდის 41 წლის მენეჯერ **ანტონიო დე ჯორჯის** ვარჯიშის დასრულების შემდეგ მეხი დაეცა და გარდაიცვალა. საზარელმა შემთხვევამ მთავარი მწვრთნელი ჯუზეპე პაპადოპულო და სპორტული დირექტორი გვიდო ანჯელოციც მიწაზე დაანარცხა, მაგრამ ისინი მხოლოდ მსუბუქი შოკით გადარჩნენ. ლეჩელები მომხდარით იმდენად დათრგუნულები არიან, რომ იტალიის ფეხბურთის ფედერაციას სთხოვეს, შაბათისათვის "ჩეზენასთან" დაგეგმილი მატჩი გადადოს. "ჩეზენამ" მეტოქეს მიუსამძიმრა და განაცხადა, რომ თამაშის გადადების წინააღმდეგი არ არის.



რომაული დერბი. ლაციოს კარში მესამე გოლი პეროტამ გაიტანა

იტალია. სერია A. X ტური

# ჩვენთან ხომ დემოკრატიაა...

## სამპდორიის ფანებმა გუშინდელი ვარჯიში ჩაშალეს

საოცარია "მილანი" წლევანდელ სეზონში. შინ ჯერ არც ერთი თამაში არ მოუგია, სტუმრად კი, ბოლო ორ ტურში ერთად, ზღაპრული შედეგი - 10:1 (წინა გასვლაზე 5:1 "ლაციოსთან") აჩვენა. ორი კვირის წინათ, **კარლო ანჩელოტიმ** ასეთი დასკვნა გააკეთა - გასვლაზე მეტოქე მეტ სივრცეს გვითმობს და ამიტომაც არ გვიჭირსო. მაშინ, ჩვენ "ვურჩიეთ" მას, სახლშიც გასვლითი მოდელი დაენერგა, მაგრამ, ჯერჯერობით, ყური არ "გვათხოვა". მომავალ ტურში "მილანი" "ტორინოს" უმასპინძლებს და გამოჩნდება, რა დასკვნები გააკეთა მწვრთნელმა ძველი გაკვეთილებიდან. გენუა კი მას კარგად აქვს დაცდილი. სეზონის პირველ მატჩში "მილანმა" აქ "ჯენოას" 3:0 მოუგო...

რაც შეეხება "სამპდორიასთან" გამარჯვებას, კარლეტომ მას ასეთი შეფასება მისცა: *"ამ თამაშმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ თითოეული მატჩი პატარ-პატარა დეტალებისგან შედგება და თუ ამ დეტალებში გაგიმართლებს, საქმე კარგად წავა. საკუთარ მოედანზე დასაწყისშივე გოლის გატანას ვცდილობთ და როცა ეს არ გამოგვდის, მერე ყველაფერი რთულდება. მთავარიც ისაა, რომ როცა გოლი გაქვს, შემდეგ თამაშსაც კარნახობ"*.

პირველი ტაიმი უგოლოდ დასრულდა. თამაშის განახლებისთანავე, **კაკამ ჯილარდინოს** პასით გახსნა ანგარიში და მერე, როგორც ანჩელოტის უნდოდა, ყველაფერი წყალივით წავიდა. საინტერესო იყო ის ეპიზოდი გვერდით ხაზთან, როცა მწვრთნელი და კაკა რაღაცაზე ნაკამათდნენ. ანჩელოტიმ სიტუაცია ასე განმარტა: *"ჩვენ გავისაუბრეთ მოედანზე შექმნილ ვითარებაზე. მას ავუხსენი, თუ რაზე უნდა გაემახვილებინა ყურადღება. ის მთხოვდა, რომ უფრო ცენტრისკენ ეთამაშა, მაგრამ მკაცრად მივუთითე, ფლანგების გააქტიურებაა-მეთქი საჭირო. როგორც ხედავთ, მართალი აღმოვჩნდი"*.

ძალიან მნიშვნელოვანია ჯილარდინოს დუბლიც. გავიხსენოთ, რომ "ჯილას" ანალოგიური მიღწევა ჰქონდა "ლაციოსთან" ხსენებულ შეხვედრაშიც. ეტყობა, ისევე როგორც მთლიანად გუნდს, ჯერჯერობით, მასაც მხოლოდ სტუმრად გამოსდის თამაში. ანჩელოტი გახარებული იყო **დიდას** სანაქებო გარჯითაც. მას მიაჩნია, რომ მთელ რიგ ეპიზოდებში ბრაზილიელის დიდოსტატური თამაში კრიტიკოსებს დაადუმებს: *"მაშინ, როცა ანგარიში ჯერ კიდევ 0:0 იყო, მან რამდენჯერმე ფანტასტიკურად ითამაშა. დიდამ რთული დღეები გადაიტანა, მაგრამ როგორც ჩანს, ეს უკვე ჩავლილია და იმედია, მასთან პრეტენზიები აღარავის ექნება"*.

"სამპდორიის" ფანებმა კი მძიმე მარცხს გუშინ, საწვრთნელ ბაზაზე მოწყობილი აქციით უპასუხეს. გენუის ახლოს, ბოლიასკოში მდებარე "მუნიანის" ცენტრში 20-მდე ტიფოზი მიიჭრა და დებოში მოაწყო. **ვალტერ მაძარი** იძულებული გახდა, ვარჯიში დროებით შეეწყვიტა. ფანები დაემუქრნენ ფეხბურთელებსა და მწვრთნელს, რომ თუ კვირას "კალიარისაც" ვერ მოუგებენ, აქცია უფრო მასშტაბურ და მძაფრ ხასიათს მიიღებს.

დღის მთავარი მატჩი რომაული დერბი იყო. გუნდების სხვადასხვა სატურნირო მდგომარეობა ტრადიციულ დაძაბულობაზე გავლენას ვერ ახდენს. "დერბი დელა კაპიტალე" ყოველთვის ცხოველი ინტერესით გამოირჩევა. "რომამ" დამსახურებულად მოიგო და კიდევ ერთხელ აჩვენა თავისი ძალა, და კიდევ ერთხელ აჩვენა ისიც, რომ **ტოტის** გარეშეც გუნდია, ძალიან კარგი გუნდი. "ჯალოროსიმ" ზედიზედ მეორე დაპირისპირება მოიგო კაპიტნის გარეშე, რაც **ლუჩანო სპალეტის** განსაკუთრებულად უნდა ახარებდეს. "რომას" თავკაცი მოვლენებს დიპლომატიურად აფასებს:

*"დღეს გუნდებს შორის განსხვავება მხოლოდ გოლების რაოდენობაში დავინახეთ. მთლიანად მატჩი კი, დაბალანსებული იყო. მეტოქემ სერიოზული პრობლემები შეგვიქმნა. "ლაციომ" მართლაც კარგად ითამაშა, მაგრამ გაიმარჯვა იმან, ვინც მეტი გაიტანა. მინდა აღვნიშნო ისიც, რომ ორივე გუნდი კარგად ფლობდა ბურთს და იცოდა, რა უნდა ეკეთებინა"*.

ტოტის არყოფნაში ბრწყინვალედ წარმოჩნდა **ვუჩინიჩი**, რომელიც ბოლო სამი მატჩია ("სპორტინგის" ჩათვლით), მოედანს უგოლოდ არ ტოვებს. არადა, ჩერნოგორიელი ფორვარდი "რომაში" მეორე სეზონს ატარებს და აქამდე თავი ბევრი არაფრით გამოუჩენია. ეტყობა, ის უკვე შეეჩვია სიტუაციას. ისე, ადვილი არაა, პირველ ფორვარდად დამკვიდრდე გუნდში, სადაც მთავარი ტოტია. ახლა იმაზე მსჯელობენ, რა უნდა ქნას სპალეტიმ, როცა კაპიტანი ტრავმას მოიშუშებს და მოედანს დაუბრუნდება. თუმცა მწვრთნელი ამაში პრობლემას ვერ ხედავს:

*"მათ ერთად უკვე უთამაშიათ და ვფიქრობ, ამას მომავალშიც წარმატებით მოახერხებენ. შესაძლოა, ვუჩინიჩი ოდნავ ფლანგისკენ გადავწიოთ. მას არ უნდა ჰქონდეს ამის პრობლემა, რადგან დღევანდელ ცენტრფორვარდებს სულაც არ მოეთხოვებათ, რომ, მაინც და მაინც, კარის წინ იდგნენ. ვაკვირდებოდი "ლაციოს" თავდამსხმელებს, რომლებიც შეტევებს სიღრმიდან იწყებდნენ. არსებობს სხვადასხვა მეთოდები და ნამდვილად არ არის საჭირო, უკან დავწიოთ ტოტი იმისთვის, რათა წინ მხოლოდ ვუჩინიჩმა ითამაშოს"*.

"ლაციომ" ზედიზედ მეორე (ამის წინ "უდინეზესთან" შინ, 0:1) მატჩი წააგო და ვფიქრობთ, **დელიო როსის** საქმე ვერ უნდა იყოს კარგად. ლოგიკური იქნება, ჩავთვალოთ, რომ თუ "ბიანკოჩელესტე" "ფიორენტინასთან" შაბათის საშინაო შეხვედრაშიც დამარცხდება, როსის ჩემოდნების ჩალაგება მოუწევს.

"ინტერმა" ადვილად მოუგო "ჯენოას", რომელიც ბოლო ხანებში კარგად გამოიყურებოდა და ლიდერებსაც მიუახლოვდა. **სუასომ** პირველად ითამაშა ძირითადში და პირველი გოლიც შეაგდო. მცირე ტრავმის გამო არ უთამაშია **იბრაჰიმოვიჩს**. როგორც ჩანს, **რობერტო მანჩინიმ** არ გარისკა და ზლატანი "იუვენტუსისთვის" შემოინახა. **ადრიანოსთან** კი, მას ისევ პრობლემები აქვს. ბრაზილიელმა ფორვარდმა, როცა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მწვრთნელი სასტარტოში არ აყენებდა, მატჩის დაწყებამდე სტადიონი დატოვა. "ინტერის" პრეზიდენტ **მასიმო მორატის** თავი კვლავ მშვიდად უჭირავს, ვითომც აქ არაფერი ხდებაო, და იმედს გამოთქვამს, რომ ადრიანო მომდევნო შეხვედრაში ითამაშებს. მანჩინი კი უფრო პრინციპულია: *"ჩვენ დემოკრატიულ საზოგადოებაში ვცხოვრობთ და ადრიანოს შეუძლია გააკეთოს ის, რაც სურს. ახლა, იმას რომ მივაქციო ყურადღება, რამდენი ფეხბურთელი ბრაზდება და არ მელაპარაკება შეცვლის გამო, გუნდიდან ხუთი-ექვსი მოთამაშის გაშვება მომიწევს"*.

10 გოლი 10 მატჩში და მეორე ჰეტ-თრიკი ჩემპიონატში - ასეთია მონაგარი ტრეზეგესი, რომელიც ბომბარდირთა დავას ერთპიროვნულად ჩაუდგა სათავეში. ძნელია, გაიხსენო, როდის იყო ის ბოლოს ასეთ ფორმაში. მისთვის დამატებითი მოტივაციაა ისიც, დაუმტკიცოს საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელ **რაიმონ დომენეკს**, რომ ეროვნულ გუნდში თამაშის ღირსია. "ტრეზეგოლი" მადლობას უხდის თანაგუნდელებს და მოუწოდებს მათ, მთელი კონცენტრაცია "ინტერთან" საკვირაო მატჩზე გააკეთონ. სხვათა შორის, ეს მატჩი მისი და იბრაჰიმოვიჩის უშუალო დაპირისპირებაც იქნება.

უზომოდ კმაყოფილი იყო **კლაუდიო რანიერიც**. აი, რას ამბობს ის ტრეზეგეზე: *"დავიდი ამ მატჩის მთავარი გასაღები იყო და ბედნიერი ვარ, რომ ბრწყინვალე ფორმაშია. მას გაჰქონდა გოლები, იხევდა უკან და ეხმარებოდა დაცვას... მოკლედ, შესანიშნავად ითამაშა, ვიტყოდი, სრულყოფილადაც"*.

რაც შეეხება მთლიანად მატჩს, მწვრთნელმა ის ასე შეაჯამა:

*"ჩვენ კლასი საკმარისად გვაქვს. მაგრამ, ისეთი მეტოქის დასამარცხებლად, რომელსაც ტანკს შევადარებდი, დიდი მონდომებაცაა საჭირო. კარგია, რომ ესეც საკმარისად გვქონდა. "ემპოლის" კარგი დაცვა ჰყავს და თავიდანვე გამოჩნდა, რომ მის გასატეხად, უფრო მეტის გაკეთება გვმართებდა. პირველ ტაიმში რაღაც გვაკლდა, თუმცა მეორეში ფანტასტიკურად ავთამაშდით. ახლა "ინტერი" გველის. ეს დიდი გუნდია, მაგრამ ჩვენ ის უნდა დავამარცხოთ, და დავამარცხოთ არა მხოლოდ ჩვენთვისა და ჩვენი ფანებისთვის, არამედ იმისთვისაც, რომ სერია A-ს ინტრიგა და ხიბლი შევუნარჩუნოთ"*.

აღნიშვნის ღირსია **ტიაგოც**, რომელმაც ორი საგოლე გადაცემა გააკეთა. არადა, ეს ის ტიაგოა, რომელსაც "იუვედან" წასვლა სურს. მას მხოლოდ მაშინ ეძლევა ძირითადში თამაშის შანსი, როცა რანიერის ვინმე აკლია. ოთხშაბათს, პორტუგალიელმა ნახევარმცველმა დაამტკიცა თავისი პოტენციალი და არაა გამორიცხული, გეგმებსაც გადახედოს. კვლავ რანიერი: *"ტიაგომ კარგად ითამაშა. ის მოვლენათა ცენტრში იდგა და გუნდსაც უნარიანად ხელმძღვანელობდა. სწორედ ასე უნდა გააგრძელოს მომავალში. ჩვენ ის ძალიან გვჭირდება"*.

### ინტერი-ჯენოა 4:1

**ინტერი**: ორლანდონი-6, მაიკონი-6.5, კორდობა-6.5, კივუ-6, მაქსველი-6, ფიგუ-6.5 (85. სოლარი), ხ. ძანეტი-6.5, კამბიასო-6, სეზარი-6 (78. ბურდისო-6), კრესპო-5 (70. სუასო-6.5), კრუსი-5.

**ჯენოა**: რუბინიო-7, ლუკარელი-6 (81. მაზიელო-შ.გ), დე როზა-5, ბეგა-6, მ. როსი-6.5 (54. იურიჩი-6), მილანეტო-6, ფაბიანო-6, კონკო-6.5, ლეონი-6, დანილო-6, ბორიელო-5.5 (54. ფიგეროა-6).

**გოლები**: 1:0 კორდობა (8), 2:0 კამბიასო (49), 2:1 კონკო (72), 3:1 სუასო (73), 4:1 კრუსი (84-პენ)

**მაყურებელი**: 47 230

### რომა-ლაციო 3:2

**რომა**: ა. დონი-6, პანუჩი-6, მექსე-5.5, ჟუანი-6.5, კასეტი-5.5, ტონეტო-6, დე როსი-5.5, პისარო-5.5 (87. ბრიგი-შ.გ), პეროტა-7.5, მანსინი-7 (74. ჟიული-5.5), ვუჩინიჩი-7.5 (90. სისინიო-შ.გ).

**ლაციო**: ბალოტა-6.5, დე სილვესტრი-6, სტენდარდო-5 (84. მაკინვა-შ.გ), კრიბარი-5, ძაური-5.5, მუდინგაი-6 (68. ფირმანი-6), ლედესმა-7.5, მუტარელი-6.5, კ. მანფრედინი-6 (46. მეგნი-5), როკი-6, პანდევი-5.

**გოლები**: 0:1 როკი (12), 1:1 ვუჩინიჩი (19), 2:1 მანსინი (42), 3:1 პეროტა (56), 3:2 ლედესმა (69)

**მაყურებელი**: 65 000

### ფიორენტინა-ნაპოლი 1:0

**ფიორენტინა**: ფრეი-8, პოტენცა-6, დაინელი-5.5, გამბერინი-5.5, პასკუალი-6, კუჟმანოვიჩი-6.5, ლივერანი-5.5, მონტოლივო-5.5 (62. პაციენცა-6), იორგენსენი-6.5 (65. სემიოლი-შ.გ), ვიერი-7 (74. პაცინი-შ.გ), მუტუ-7.

**ნაპოლი**: იეცო-6.5, კუპი-6, კანავარო-5.5, დომიცი-5, დარიში-6 (72. დე ძერბი-6), ჰამსიკი-5.5 (57. მონტერვინო-5.5), გარგანო-6.5, ბოლიაჩინო-5.5, სავინი-5, ლავეცი-6.5 (80. კალაიო-შ.გ), სოსა-6.5.

**გოლი**: 1:0 ვიერი (61)

**მაყურებელი**: 33 000

### იუვენტუსი-ემპოლი 3:0

**იუვენტუსი**: ბუფონი-6, ბირინდელი-6, გრიგერა-6.5, კრიშიტო-6, მოლინარო-6.5, კ. ძანეტი-6.5, ტიაგო-6.5, სალიჰამიჯიჩი-6 (85. მარკიონი-შ.გ), პალადინო-6.5 (73. კამორანეზი-შ.გ), იაკუინტა-5.5 (60. დელ პიერო-5.5), ტრეზეგე-9.

**ემპოლი**: ბალი-6, რაჯი-5, მარძორატი-5.5, პიკოლო-5.5, ანტონინი-5.5 (63. აბატე-შ.გ), მარიანინი-6 (55. ჯოვინკო-6.5), მარკიზიო-6, მორო-5, ტოსტო-5.5, ვანუკი-5 (65. ვოლპატო-შ.გ), საუდატი-5.

**გოლები**: 1:0 ტრეზეგე (51-პენ), 2:0 ტრეზეგე (62), 3:0 ტრეზეგე (71)

**მაყურებელი**: 15 000

### სამპდორია-მილანი 0:5

**სამპდორია**: კასტელაცი-4.5, ლუკინი-შ.გ (15. ბასტრინი-5), სალა-6, გასტალდელო-5, მაჯო-5, პალომბო-5, ვოლპი-5, ციგლერი-5.5 (74. ბონაცოლი-5), სამარკო-4.5, ბელუჩი-5 (66. კარაჩოლო-5), მონტელა-4.5.

**მილანი**: დიდა-6, ბონერა-6, ნესტა-6, კალაძე-6, სერჟინიო-6.5 (75. შიმიჩი-6), გატუზო-6 (68. გურკუფი-6.5), პირლო-6.5, ბროკი-6.5, ზეედორფი-7, კაკა-6.5 (81. კაფუ-შ.გ), ჯილარდინო-8.

**გოლები**: 0:1 კაკა (46), 0:2 ჯილარდინო (52), 0:1 ჯილარდინო (61), 0:4 გურკუფი (76), 0:5 ზეედორფი (79)

**მაყურებელი**: 20 000

### უდინეზე-ტორინო 2:1

**უდინეზე**: ჰანდაროვიჩი-6.5, ზაპოტოჩნი-შ.გ (10. კოდა-6), ფელიპე-6, ლუკოვიჩი-6, მესტო-7, გ. დ'აგოსტინო-6.5, ინლერი-7, დოსენა-6, დი ნატალე-7, ფლორო ფლორესი-7 (78. ასამოა-შ.გ), კვალიარელა-6 (64. სიკეირა-6).

**ტორინო**: სერენი-6.5, კომოტო-7, დი ლორეტო-5.5, დელაფიორე-6.5, ლანა-5 (59. მალონგა-6), მოტა-5.5, კორინი-5.5, ბოტონე-5.5 (84. სტელონე-შ.გ), ვაილატი-4, როზინა-5.5, ვენტოლა-6.5.

**გოლები**: 1:0 ფლორო ფლორესი (25), 2:0 ინლერი (53), 2:1 ვენტოლა (63)

**გაძევება**: ვაილატი (43. ტორინო), დოსენა (57. უდინეზე)

**მაყურებელი**: 14 788

### პალერმო-პარმა 1:1

**პალერმო**: ა. ფონტანა-6.5, კასანი-6, [illegible]დო-6, ბარძალი-6, მ. პიზანი-6, [illegible]-5.5 (46. კავანი-5.5), გუანა-6, ჯაკ. ტედესკო-5.5, ჯანკოვიჩი-5 (63. დიანა-5.5), ამაური-6.5, მიკოლი-5.5 (49. ბრიენცა-5).

**პარმა**: პავარინი-6, კოლი-6.5, მ. როსი-6.5, პაჩი-6.5, კასტელინი-6, დესენა-6.5 (82. დ. ძენონი-შ.გ), ჩიგარინი-6, მორონე-6.5, პიზანუ-6 (90. მარიგა-შ.გ), გასბარონი-6.5 (57. მორფეო-6), კორადი-6.

**გოლები**: 0:1 მორონე (3), 1:1 ამაური (87-პენ)

**მაყურებელი**: 30 000

### ატალანტა-კალიარი 2:2

**ატალანტა**: ფ. კოპოლა-5, რივალტა-6, კაპელი-6.5, პელეგრინო-6, პადოინი-6, პინტუ-6 (78. დეფენდი-შ.გ), დე აშენტისი-4.5, ტისონე-6, ლანჯელა-5 (67. ს. ინძაგი-5.5), კ. დონი-7, ძამპანია-5.

**კალიარი**: ფორტინი-5, ფერი-6, ბისერა-6, ბიანკო-6, დელ გროსო-6, ა. დ'აგოსტინო-5 (70. ლარივეი-5.5), კონტი-6, ბუდელი-6 (51. ბიონდინი-6), პაროლა-6.5, ფინი-6.5, აკვაფრესკა-5.5 (59. მატრი-6.5).

**გოლები**: 0:1 ფინი (39-პენ), 1:1 კაპელი (55), 1:2 მატრი (71), 2:2 კ. დონი (79)

**გაძევება**: ძამპანია (90. ატალანტა)

**მაყურებელი**: 10 000

### სიენა-კატანია 1:1

**სიენა**: ელეფთეროპულოსი-6, ბერტოტო-6 (73. ალბერტო-6), პორტანოვა-6, ლორია-6, გრიმი-6.5, კორვია-5.5 (63. ბუკი-6), კოდრეა-6 (78. დე ჩელიე-7.5), ვერგასოლა-6, გალოპა-6.5, ლოკატელი-7, მაკარონე-6.5.

**კატანია**: პოლიტო-7, საბატო-5 (53. ჯაკ. ტედესკო-6), სილვესტრი-6, სოტილი-6, სტოვინი-5.5, ხ. ვარგასი-7, იცკო-5.5 (52. ედუსეი-5.5), ბაიოკო-6, ბიაჯანტი-5 (46. მორიმოტო-5), მარტინესი-6, სპინეზი-5.

**გოლები**: 1:0 დე ჩელიე (79), 1:1 ხ. ვარგასი (88)

*38-ე წუთზე მაკარონემ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

**მაყურებელი**: 8 000

### რეჯინა-ლივორნო 1:3

**რეჯინა**: კამპანიოლო-4.5, ვალდესი-5, არონიკა-5, კერუბინი-5, პ. ალვარესი-6.5, ვიჯანი-5 (49. მოდესტო-5), ბარეტო-6.5, კაშონე-6, ჰალფრედსონი-5.5 (57. კოცა-5.5), ჩერავოლო-6 (76. ჟოელსონი-5), ამორუზო-6.5.

**ლივორნო**: ამელია-5.5, გრანდონი-6, გალანტე-7, კნეჟევიჩი-6, ბალერი-6, ე. ფილიპინი-[illegible], ლოვიზო-6.5 (72. პავანი-6), პულცეტი-6 (47. ა. ფილიპინი-6), ბერგვოლდი-5.5, ტავანო-6.5, ბოგდანი-6.5 (84. როსინი-6.5).

**გოლები**: 0:1 პულცეტი (33), 1:1 ამორუზო (36), 1:2 ვალდესი (76-საკ. კარში), 1:3 როსინი (85)

**მაყურებელი**: 11 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 10 | 7 | 3 | 0 | 21-6 | 24 |
| 2. რომა | 10 | 6 | 3 | 1 | 23-14 | 21 |
| 3. იუვენტუსი | 10 | 6 | 2 | 2 | 21-10 | 20 |
| 4. ფიორენტინა | 10 | 5 | 5 | 0 | 17-7 | 20 |
| 5. უდინეზე | 10 | 5 | 3 | 2 | 12-12 | 18 |
| 6. ატალანტა | 10 | 3 | 6 | 1 | 13-12 | 15 |
| 7. ნაპოლი | 10 | 4 | 2 | 4 | 17-12 | 14 |
| 8. კატანია | 10 | 3 | 5 | 2 | 9-8 | 14 |
| 9. პალერმო | 10 | 3 | 5 | 2 | 12-12 | 14 |
| 10. მილანი | 10 | 3 | 4 | 3 | 18-9 | 13 |
| 11. ჯენოა | 10 | 3 | 4 | 3 | 9-12 | 13 |
| 12. ტორინო | 10 | 2 | 5 | 3 | 12-13 | 11 |
| 13. სამპდორია | 10 | 3 | 2 | 5 | 8-14 | 11 |
| 14. ლაციო | 10 | 2 | 4 | 4 | 11-15 | 10 |
| 15. პარმა | 10 | 2 | 4 | 4 | 11-17 | 10 |
| 16. კალიარი | 10 | 2 | 3 | 5 | 10-15 | 9 |
| 17. სიენა | 10 | 1 | 5 | 4 | 8-13 | 8 |
| 18. ემპოლი | 10 | 2 | 2 | 6 | 5-14 | 8 |
| 19. ლივორნო | 10 | 1 | 2 | 7 | 11-22 | 5 |
| 20. რეჯინა | 10 | 0 | 5 | 5 | 6-17 | 5 |

**ბომბარდირები**: 10 - ტრეზეგე (იუვენტუსი); 7 - კაკა (მილანი), იბრაჰიმოვიჩი (ინტერი), ტოტი (რომა); 6 - კ. დონი (ატალანტა), მუტუ (ფიორენტინა); 5 - ბორიელო (ჯენოა); 4 - ამაური (პალერმო), ამორუზო (რეჯინა), ბელუჩი (სამპდორია), კრუსი (ინტერი), დომიცი (ნაპოლი), ფოჯა (კალიარი), ჯილარდინო (მილანი), იაკუინტა (იუვენტუსი), მატრი (კალიარი), როკი (ლაციო), სალაიეტა (ნაპოლი).

## ახალი მწვრთნელი რეჯინაში

სერია A-ში მეორე მწვრთნელი შეიცვალა. ამჯერად, ეს მოხდა "რეჯინაში", რომლის თავკაცი **მასიმო ფიკადენტი** "ლივორნოსთან" საშინაო მარცხს (1:3) გადაჰყვა. რეჯოკალაბრიული კლუბი ახლა ერთადერთია მიმდინარე გათამაშებაში, რომელსაც გამარჯვება არ ღირსებია. კლუბის პრეზიდენტმა **ლილიო ფოტიმ** ჯერ კიდევ მატჩის წინ მიანიშნა მწვრთნელს, რომ ნიჩაბზე ჰყავდა შემოდებული, თუმცა ფიკადენტიმ ვერც თავს უშველა და გუნდიც სერია A-ს ფსკერზე დაძირა. ფოტის ბევრი არ უფიქრია და გუშინვე ახალი მწვრთნელი მონახა. ეს გახლავთ გამოცდილი **რენცო ულივიერი**, რომელიც "რეჯინაში" 1998/99 წლებში (სერია B) მუშაობდა. ულივიერი დღესვე პირველ ვარჯიშს ჩაატარებს, დებიუტი კი კვირას, "ნაპოლისთან" გასვლით მატჩში ექნება.

### მომავალი ტური

3 ნოემბერი. ლაციო-ფიორენტინა, მილანი-ტორინო. 4 ნოემბერი. კალიარი-სამპდორია, კატანია-ატალანტა, ემპოლი-რომა, ჯენოა-პალერმო, ლივორნო-უდინეზე, ნაპოლი-რეჯინა, პარმა-სიენა, იუვენტუსი-ინტერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბარი ნევილი ბრუნდება

გუშინ გარი ნევილს უნდა ეთამაშა. "მანჩესტერ იუნაიტედის" სარეზერვო გუნდი "სტოკპორტს" შეხვდა. ვეტერან მცველს ბოლო შვიდი თვის განმავლობაში პირველი მატჩი უნდა გაემართა. მან უკანასკნელად მარტში, "ბოლტონის" წინააღმდეგ იასპარეზა. შემდეგ კი ბარძაყისა და კოჭის ტრავმების გამო ხანგრძლივ შვებულებაში იმყოფებოდა. ნევილის დაბრუნება "მენიუს" ქომაგებისათვის ჩინებული ამბავია, მაგრამ საეჭვოა, მან "არსენალთან" შაბათის მატჩში ითამაშოს. იმ კვირაში "ეშმაკებს" კიევის "დინამოსთან" ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაც ელით. მომდევნო ტურში კი "ბლექბერნს" შეხვდება. ნევილს ერთ ან მეორე მატჩში ვიხილავთ.

## ფრაის ოპერაცია სჭირდება

ორიოდ დღის წინათ ვწერდით, რომ დორტმუნდის "ბორუსიის" თავდამსხმელი **ალექსანდერ ფრაი** ახალ წლამდე ვერ გამოჯანმრთელდებოდა და იქვე გაცნობეთ, რომ შესაძლო იყო, შვეიცარიელს მეორე ოპერაციის გაკეთება დასჭირვებოდა. BVB-ს ქომაგები იმედოვნებდნენ, რომ ფრაის ქირურგიული ჩარევა აღარ დასჭირდებოდა, მაგრამ მათი იმედი არ გამართლდა: გუშინ ვესტფალიური კლუბის სამედიცინო შტაბმა გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, ფრაის ხელმეორე ოპერაცია სჭირდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ალექსი მოსალოდნელზე დიდხანს დაისვენებს. "ბორუსიის" სპორტული დირექტორი **მიხაელ ცორკი** იმედოვნებს, რომ ფრაი "დორტმუნდს" ბუნდესლიგის მეორე წრის საწყის ტურებში დაუბრუნდება.

## ფრინგსისთვის 2007 წელი დასრულდა

**ტორსტენ ფრინგსის** ტრავმა მოსალოდნელზე მძიმე აღმოჩნდა. გერმანიის ნაკრებისა და "ვერდერის" საყრდენი ნახევარმცველისთვის მიმდინარე სეზონის პირველი წრე დასრულებულია და 30 წლის ფრინგსი თებერვლამდე ველარ ითამაშებს. *"ეს ჩვენთვის უდიდესი დანაკლისია. ფრინგსი მსუბუქი დატვირთვით ვარჯიშს მხოლოდ იანვარში განაახლებს და სავარაუდოდ, თამაშს მხოლოდ თებერვლიდან შეძლებს,"* - აცხადებს "ვერდერის" მთავარი მწვრთნელი **თომას შააფი**.

## ბრაზილიელი მცველი ბაიერნში?

"ბაიერნი" დაცვის გაძლიერებას აპირებს. მიუნხენელებმა მიზანში ამოიღეს "სან პაულუსა" და ბრაზილიის ნაკრების უკანახაზელი **ბრენო**. ამ ინფორმაციას გერმანური სააგენტოები ავცელებენ. მიმომხილველების ცნობით, 18 წლის ყმაწვილმა "რეალისა" და "ფიორენტინის" ყურადღება მიიპყრო. ის 15 მილიონი ევრო ღირს. "სან პაულუს" ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ბრენო ბრაზილიის საუკეთესო ახალგაზრდა მცველია. ამიტომ 15 მილიონი გაზვიადებული ფასი არ არის. მოსალოდნელ ტრანსფერთან დაკავშირებით კომენტარები არ გაკეთებულა.

## მაკედონიელი აზერბაიჯანში

აზერბაიჯანის ნაკრები მაკედონიელ სპეციალისტ **გიოკო ჰაჯიევსკის** ჩააბარეს. მან ამ პოსტზე შახინ დინიევი შეცვალა. დინიევმა საკუთარი ნებით დაწერა განცხადება გადადგომის შესახებ. 17 ოქტომბრის შესარჩევ მატჩში სერბეთმა მისი შეგირდები 6:1 გაანადგურა. 10 მატჩის შემდეგ აზერბაიჯანელებს ერთი მოგება აქვთ. რა გასაკვირია, რომ მათ A ჯგუფში ბოლო საფეხური უკავიათ.

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. X ტური

# ისტორიული გამარჯვება მესტალიაზე

## რონალდ კუმანს უმძიმესი სიტუაცია ხვდება

"ვალენსიასთან" შეხვედრამდე ერთი დღით ადრე **ბერნდ შუსტერმა** "რეალი" **როჯერ ფედერერს** შეადარა. ძნელი მისახვედრი არ არის, გერმანელმა სპეციალისტმა საკუთარი გუნდი გენიალური შვეიცარიელი ჩოგბურთელის კონტექსტში რატომ ახსენა.ის დარწმუნებულია, რომ სამეფო კლუბი და ფედერერი თანაბრად ძლიერები არიან. ოთხშაბათს, "მესტალიაზე" მოპოვებულმა ფანტასტიკურმა გამარჯვებამ დედაქალაქელთა თავკაცს კიდევ უფრო დიდი კმაყოფილება მოუტანა. მისმა ბიჭებმა ულამაზესად ითამაშეს და შთამბეჭდავ გამარჯვებას მიაღწიეს. სწორედ ისეთ სტილში, როგორითაც ფედერერი უძლიერეს კონკურენტებს კისერს უგრეხს ხოლმე. ესპანელი სპეციალისტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ "რეალმა" სეზონის საუკეთესო დაპირისპირება ჩაატარა. სხვათა შორის, სამეფო კლუბს "მესტალიაზე" ამხელა ანგარიშით მანამდე არასოდეს ჰქონდა მოგებული. ფაქტობრივად, ყველა ფეხბურთელი მოწოდების სიმაღლეზე იდგა, მაგრამ განსაკუთრებით შთამბეჭდავად **რაული, ვან ნისტელროი, რობინიო** და **გუტი** გამოიყურებოდნენ. ვარსკვლავთა ძლევამოსილმა ჯგუფმა **კიკე სანჩეს ფლორესის** გარეშე დარჩენილი გუნდი მიწასთან გაასწორა. უდავოა, **რონალდ კუმანს** პირველივე სამუშაო დღეს ნირწამხდარ და სასოწარკვეთილებაში მყოფ შეგირდებთან მუშაობა მოუწევს.

მადრიდის "რეალის" მიერ ჩატარებული პირველი ტაიმი ხელოვნების ნიმუში გახლდათ. შუსტერმა **ვესლი სნაიდერის** ძირითადი შემადგენლობიდან კიდევ ერთხელ ამოგდებით, ყველა გააოცა, თუმცა მისმა ტაქტიკამ საოცარი შედეგი გამოიღო. გერმანელმა საყრდენი ნახევარმცველების ამპლუა **გახოსა** და **დიარას** შეუთავსა. აფრიკულ-სამხრეთამერიკულმა დუეტმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ფერნანდო და მაჰამადუ დაცვასა და შეტევაში თანაბრად პროდუქტიულად მოქმედებდნენ. დიდ ძალისხმევას უშედეგოდ არ ჩაუვლია. სტუმრებმა პირველივე ნახევარში იმდენად სერიოზული უპირატესობა მოიპოვეს, კითხვები, ფაქტობრივად, არავის გასჩენია. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ დედაქალაქელებს სწრაფმა გოლმა უდიდესი სამსახური გაუწია. რაულმა პირველივე წუთზე შეაგდო. რა თქმა უნდა, ამით "ვალენსიას" ყველა გეგმა აერია და ფორსმაჟორულ რეჟიმში გააგრძელა თამაში. კაცმა რომ თქვას, ერთხელ სამეფო კლუბსაც ხომ უნდა გამართლებოდა. საქმე ის არის, რომ პრიმერა დივიზიონსა და ჩემპიონთა ლიგაში გამართულ ბოლო სამ შეხვედრაში "რეალს" მეტოქეებმა პირველივე წუთზე გაუტანეს. მადრიდელებმა ამჯერად თავად იჩქარეს და უპირატესობას თავიდანვე დაეუფლნენ. თამაში მეტისმეტად ლაღი, სანახაობრივი და საინტერესო გამოდგა. დიდი ხანია, სამეფო კლუბის ფეხბურთელებს ბურთი ასე თავისუფლად არ გაუგორებიათ. თუ ადრე მათ ზედიზედ სამი ზუსტი პასის გაკეთება უჭირდათ, ოთხშაბათს ერთმანეთს ზედიზედ რვა გადაცემასაც აწვდიდნენ. ვალენსიელები ხშირ შემთხვევაში მხოლოდ და მხოლოდ სტატისტების როლით კმაყოფილდებოდნენ. როგორც მოგახსენეთ, ანგარიში რაულმა გახსნა, თუმცა კაპიტანმა არც ეს იკმარა და მოგვიანებით **რუუდ ვან ნისტელროისაც** გაატანინა. ჰოლანდიელის გოლი ულამაზესი გამოდგა. ზუსტად ხუთ წუთში **სერხიო რამოსმაც** იყოჩაღა. პასი მას გუტიმ მიაწოდა. 36-ე წუთზე ვან ნისტელროიმ რობინიოს დახმარებით დუბლი შეასრულა. მეოთხე გოლმა საბოლოოდ ცხადყო, რომ მასპინძლებს თუნდაც ერთი ქულის მოპოვების შანსიც აღარ გააჩნდათ. მათ მხოლოდ სხვაობის შემცირება შეძლეს. **მიგელ ანხელ ანგულომ ხოაკინის** მიერ წამოწყებული იერიში დააგვირგვინა. "ღამურები" მალე ისევ განზილდნენ. საოცრად აქტიურმა რობინიომ ინდივიდუალური ოსტატობის წყალობით მასპინძლებს გულში ბოლო ლახვარი ჩასცა.

შუსტერი გამარჯვებით ძალიან კმაყოფილი დარჩა. მან ნიშნისმოგებით აღნიშნა, ჩემი გუნდი და როჯერ ფედერერი ერთმანეთისთვის ტყუილად არ შემიდარებიაო. სტუმართა დამრიგებელი იმ საღამოს შეგირდებს მართლაც ვერაფერს დაუწუნებდა.

ოთხშაბათის შეხვედრებიდან ყველაზე უხვგოლიანი "ატლეტიკოსა" და "სევილიის" დაპირისპირება გამოდგა. დაგვეთანხმებით, ასეთი თავბრუდამხვევი შეხვედრები ხშირად არ იმართება. მასპინძლები ბევრად უფრო მოტივირებულები იყვნენ და შესაბამისად, უფრო დიდი ძალებითაც უტევდნენ. მიუხედავად ამისა, თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. "როხიბლანკოს" საუკეთესო მოთამაშედ სპეციალისტებმა **სერხიო აგუერო** აღიარეს. თინეიჯერმა ფორვარდმა **ფასიოსა** და **ბულარუზს** ტყავი გააძრო. მოკლედ, მან **ხავიერ აგირეს** გუნდის გამარჯვებაში უდიდესი წვლილი შეიტანა. გვერწმუნეთ, ეს წვლილი მხოლოდ გოლის გატანით არ შემოიფარგლება. სერხიო მთელი თამაშის განმავლობაში მეტისმეტად აქტიური გახლდათ.

მცირე კრიზისში მყოფმა "სარაგოსამ", როგორც ჩანს, პრობლემები დაძლია. ყოველ შემთხვევაში, არაგონელებმა ზედიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვეს. აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრაში "ალმერია" სერიოზულ უპირატესობას ფლობდა. მასპინძლები საგოლე მომენტებსაც ქმნიდნენ, მაგრამ გატანას ვერა და ვერ ახერხებდნენ. სამაგიეროდ, **დიეგო მილიტომ** შანსი ხელიდან არ გაუშვა და **ოსკარის** წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გამოიყენა. **ვიქტორ ფერნანდესმა** გასვლაზე მოპოვებული სამი ქულით დიდად გაიხრა: *"ბედნიერი ვარ, რომ მოვიგეთ. ჩემი კოლეგა მიიჩნევს, რომ უსამართლოდ გავიმარჯვეთ. ვფიქრობ, ეს არ არის სწორი შეფასება. ჩვენ სრულიად დამსახურებულად მოვიგეთ, მჯერა, მომავალში კიდევ უფრო კარგად ვითამაშებთ."*

"ხეტაფემ" ზედიზედ მეორე საშინაო გამარჯვება იზეიმა. აღსანიშნავია, რომ მადრიდულ კოლექტივს რვავე ქულა მხოლოდ საკუთარ სტადიონზე აქვს მოპოვებული, რაც იმას ნიშნავს, რომ **მიქაელ ლაუდრუპის** შეგირდებს გასვლაზე თამაში ძალიან უჭირთ. რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, "ხეტაფემ" ოთხშაბათს ერთ-ერთი ყველაზე უსახური მატჩი ჩაატარა, მაგრამ წინა დღეებისგან განსხვავებით, გაუმართლა და ჰაერივით საჭირო გამარჯვება მოიპოვა. აქვე გეტყვით, რომ **უჩემ** 20 მაისი შემდეგ პირველად შეაგდო. მასპინძელთა ფეხბურთელი იმედოვნებს, რომ მორიგი ბურთის შესაგდებად ამდენი დრო აღარ დასჭირდება.

"ლევანტეს" მოუგებელი სერია უკვე 10 შეხვედრას მოიცავს. გამარჯვებას ვინ ჩივის, ვალენსიელებს აგერ უკვე თვეზე მეტია გოლიც კი არ გაუტანიათ. ბოლოს ეს მათ "ბარსელონასთან" დიდი ანგარიშით წაგებულ მატჩში შეძლეს, ისიც 11-მეტრიანი ნიშნულიდან. ყველაზე დიდი უბედურება კი მაინც ის არის, რომ **დე ბიაზის** ბიჭები საგოლე მომენტების შექმნასაც კი ვერ ახერხებენ. ხოლო დაცვაში იმდენად უსუსურად ასპარეზობენ, რომ მათი კარის დალაშქვრა არც ერთი გუნდისთვის არ უნდა იყოს რთული. ამის გათვალისწინებით, "ვილიარეალის" დიდი ანგარიშით გამარჯვება გასაკვირი სულაც არ არის. უცნაური მხოლოდ ის გახლავთ, რომ დე ბიაზიმ წაგება მსაჯებს გადააბრალა. იტალიელმა მწვრთნელმა განაცხადა, ასეთი დაბალი დონის მსაჯობას მიუჩვეველი ვარ და არ მესმის, პატარა გუნდებს რატომ ჩაგრავენო.

### ვილიარეალი-ლევანტე 3:0

**ვილიარეალი:** ვიერა, ფუენტესი, სიგანი, კაპდევილა, ანხელი, ბრუნო, სენა (71. მავუბა), კასორლა (83. ხავი ვენტა), მატი ფერნანდესი, როსი, ფრანკო (61. ნიჰათი).

**ლევანტე:** სტორარი, დესკარგა, ბრუნო, ალვარო, მანოლო გასპარი (48. რუბიალესი), მიგელ ანხელი, ტომაზი, ხუანმა (72. საული), კურტუა (72. ხავი ფუეგო), რიგა, გეიხო.

**გოლები:** 1:0 ფრანკო (2), 2:0 როსი (14-პენ), 3:0 სიგანი (37)

**მაყურებელი:** 30 000

### ალმერია-სარაგოსა 0:1

**ალმერია:** კობენიო, კარლოს გარსია, აკასიეტე (58. პულიდო), ბრუნო, მანე, ხუანიტო, ფელიპე მელო, ნეგრედო, კრუსატი, კორონა (72. სორიანო), ორტისი (66. ხუანმა ორტისი).

**სარაგოსა:** სესარი, პარედესი, დიოგო, სერხიო (4. ჩუს ერერო), გონი, ლუქსენი, საპატერი, ოსკარი, დიეგო მილიტო, სერხიო გარსია (82. გაბი), რიკარდო ოლივეირა (75. დ'ალესანდრო).

**გოლი:** 0:1 დიეგო მილიტო (77-პენ)

**მაყურებელი:** 19 000

### ბეტისი-ოსასუნა 0:3

**ბეტისი:** რიკარდო, მელი, ლიმა, ფერნანდო ვეგა, დამია, ხუანდე, მარკ გონსალესი, ედუ, კაპი (61. სომოსა), ჩისკო (47. ოდონკორი), სობისი (46. პავონე).

**ოსასუნა:** რიკარდო, ხავიერ ფლანიო, მიგელ ფლანიო, კრუჩაგა, მონრეალი, ექტორ ფონტი, პუნიალი, ასპილიკუეტა, მარგაირასი (77. უგო ვიანა), დადი (68. სოლა), ველა (83. ერისე).

**გოლები:** 0:1 კრუჩაგა (41), 0:2 დადი (51), 0:3 ველა (54)

**გაძევება:** დამია (80. ბეტისი)

**მაყურებელი:** 25 000

### ხეტაფე-ბილბაო 2:0

**ხეტაფე:** აბონდანსიერი, მარიო, კატა დიასი, პალარდო, ლიხტი, კასკერო, პაბლო (82. გრანერო), დე ლა რედი, სოუზა, კეპა (75. დელ მორალი), უჩე (87. ალბერტო).

**ბილბაო:** ირაისოსი, სუბიაური, აიტორ ოსიო, კოიკოლი, ამორებიეტა, ირაოლა, სუსაეტა, ორბაისი (81. მუნიოსი), გაბილონდო (46. დავიდ ლოპესი), ეჩებერია (46. ლორენტე).

**გოლები:** 1:0 კასკერო (8), 2:0 უჩე (28)

**გაძევება:** ამორებიეტა (73. ბილბაო)

**მაყურებელი:** 22 000

### რეკრეატივო-რასინგი 0:0

**რეკრეატივო:** სორენტინო, ბეტო, მარტინ კასერესი, პოლი, პამპა კალვო, ხესუს ვასკესი, კარლოს მარტინსი (70. ვარელა), აიტორი (75. როსუ), ხავი გერერო, სინამა პონგოლე, კამუნასი (69. ხერარდი).

**რასინგი:** ტონიო, პინილიოსი, გარაი, ორიოლი (70. ორიოლი), კოლსა, ხორდი, ხორხე ლოპესი, ჩიტე, მუნიტისი (69. ლუის ფერნანდესი), აიოსე (86. კრისტიან ფერნანდესი), სმოლიარეკი.

**მაყურებელი:** 17 000

### დეპორტივო-მალიორკა 1:1

**დეპორტივო:** ავატე, მანუელ პაბლო, კოლოჩინი, ადრიან ლოპესი, ფილიპე ლუისი, გუარდადო, ვერდუ, დე გუსმანი, ხუან როდრიგესი (58. ტაბორდა), კრისტიანი (72. რიკი), ბოდიპო (82. რუბენ კასტრო).

**მალიორკა:** მოია, დავიდ ნავარო, ნუნიესი, ფერნანდო ნავარო, ვარელა, მოლინერო (41. ლუქსი), პერეირა, არანგო, გუისა, ბორხა ვალერო (75. ბასინასი), ტუნი (63. იონას გუტიერესი).

**გოლები:** 0:1 გუისა (11), 1:1 გუარდადო (41-პენ)

**გაძევება:** მოია (41. მალიორკა)

**მაყურებელი:** 28 000

### ვალენსია-რეალი 1:5

**ვალენსია:** ჰილდებრანდი, მიგელი, ივან ელგერა, ალბიოლი, მორეტი, ალბელდა, ხოაკინი, ანგულო (77. მატა), გავილანი (60. ვისენტე), სილვა (82. მონტორო), მორიენტესი.

**რეალი:** კასილიასი, კანავარო, მეწელ[illegible]დერი, სერხიო რამოსი [illegible] ლო (57. ჰაინცე), დიარა, გახო, გუტი, რობინიო, რაული, ვან ნისტელროი (66. ჟულიო ბაპტიშტა).

**გოლები:** 0:1 რაული (1), 0:2 ვან ნისტელროი (24), 0:3 სერხიო რამოსი (29), 0:4 ვან ნისტელროი (36), 1:4 ანგულო (58), 1:5 რობინიო (65)

**გაძევება:** ალბიოლი (84. გაძევება)

**მაყურებელი:** 45 000

### ატლეტიკო-სევილია 4:3

**ატლეტიკო:** ლეო ფრანკო, სეიტარიდისი, პერეა, პერნია, ზე კასტრო, მანიშე, რაულ გარსია, მაქსი როდრიგესი (89. ხურადო), ლუის გარსია (59. სიმაო საბროსა), აგუერო, ფორლანი (24. რეიესი).

**სევილია:** პალოპი, დანიელ ალვეში, ფასიო, ბულარუზი, კრესპო, მარტი, კეიტა, ხესუს ნავასი (78. კაპელი), ადრიანო კორეია (61. დუდა), ლუიშ ფაბიანო, კონე (68. კერჟაკოვი).

**გოლები:** 1:0 მანიშე (1), 1:1 ლუიშ ფაბიანო (14), 2:1 აგუერო (16), 2:2 ზე კასტრო (44), 3:2 მაქსი როდრიგესი (69), 4:2 ხურადო (90), 4:3 ლუიშ ფაბიანო (92)

**მაყურებელი:** 46 000

### ესპანიოლი-მურსია 0:0

**ესპანიოლი:** კამენი, ჩიკა, ხარკი, ტორეხონი, დე ლა პენია (83. სმილიანიჩი), ურტადო, რიერა (86. რიერა), ვალდო (74. ჯონათანი), საბალეტა, ლუის გარსია, ტამუდო.

**მურსია:** ნოტარიო, სესარ არსო, მეხია, ოჩოა, პენია, დე ლუკასი, მოვილია (57. რიკი), პაბლო გარსია, რეგეირო, ალონსო ვალიეხო (78. ბაიანო), გოიტომი (72. ველესი).

**გაფრთხილება:** 0-0; **დარტყმა:** 9(3)-4(4); **ჯარიმა:** 22-20; **კუთხური:** 0-0;

**მაყურებელი:** 38 000

### ვალიადოლიდი-ბარსელონა 1:1

**ვალიადოლიდი:** ლოპეს ალბერტო, გარსია კალვო, მარკოსი, მუნიოი, რუბიო, გონსალეს მარტინესი (72. ფერნანდეს გუტიერესი), კომე (81. სანჩეს ფუენტესი), რაფა ლოპესი, სესმა გონსალესი, ვივარ დორადო, ლორენტე (64. ოგბეჩე).

**ბარსელონა:** ვალდესი, მარკესი (61. ძამბროტა), გაბრიელ მილიტო, პუიოლი, სილვინიო, ინიესტა, იაია ტურე (70. გუდიონსენი), ჩაბი ერნანდესი, რონალდინიო, კრკიჩი (74. დოს სანტოსი), მესი.

**გოლები:** 1:0 ლორენტე (16), 1:1 რონალდინიო (42).

**გაფრთხილება:** 1-0; **დარტყმა:** 13(8)-12(2); **ჯარიმა:** 22-12; **კუთხური:** 4-11;

**მაყურებელი:** 25 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 10 | 8 | 1 | 1 | 25-7 | 25 |
| 2. ბარსელონა | 10 | 6 | 3 | 1 | 20-8 | 21 |
| 3. ვილიარეალი | 10 | 7 | 0 | 3 | 18-13 | 21 |
| 4. ატლეტიკო | 10 | 6 | 2 | 2 | 20-10 | 20 |
| 5. ვალენსია | 10 | 6 | 0 | 4 | 15-19 | 18 |
| 6. ესპანიოლი | 10 | 5 | 3 | 2 | 14-11 | 18 |
| 7. სარაგოსა | 10 | 5 | 2 | 3 | 16-14 | 17 |
| 8. მალიორკა | 10 | 4 | 4 | 2 | 18-13 | 16 |
| 9. რასინგი | 10 | 4 | 4 | 2 | 8-8 | 16 |
| 10. მურსია | 10 | 3 | 4 | 3 | 8-8 | 13 |
| 11. სევილია | 9 | 4 | 0 | 5 | 19-14 | 12 |
| 12. ოსასუნა | 9 | 3 | 3 | 3 | 13-11 | 12 |
| 13. ალმერია | 10 | 3 | 2 | 5 | 10-11 | 11 |
| 14. ბილბაო | 10 | 2 | 4 | 4 | 7-12 | 10 |
| 15. რეკრეატივო | 10 | 2 | 3 | 5 | 7-13 | 9 |
| 16. დეპორტივო | 10 | 2 | 3 | 5 | 8-16 | 9 |
| 17. ბეტისი | 10 | 1 | 5 | 4 | 8-12 | 8 |
| 18. ხეტაფე | 10 | 2 | 2 | 6 | 9-15 | 8 |
| 19. ვალიადოლიდი | 10 | 1 | 4 | 5 | 12-20 | 6 |
| 20. ლევანტე | 10 | 0 | 1 | 9 | 3-23 | 1 |

**ბომბარდირები:** 7 - მესი (ბარსელონა); 6 - ლუიშ ფაბიანო (სევილია), აგუერო (ატლეტიკო), გუისა (მალიორკა), როსი (ვილიარეალი); 5 - რაული (რეალი), ვან ნისტელროი (რეალი), კანუტე (სევილია), არანგო (მალიორკა), რიკარდო ოლივეირა (სარაგოსა); 4 - სნეიდერი (რეალი), ლუის გარსია (ესპანიოლი), ადურისი (ბილბაო), მორიენტესი (ვალენსია), ტამუდო (ესპანიოლი), ფორლანი (ატლეტიკო), ანრი (ბარსელონა), დადი (ოსასუნა), დიეგო მილიტო (სარაგოსა).




მადრიდელები ვალენსიის განადგურებას ზეიმობენ

ეროვნული ბიბლიოთეკა



ალბერტო აკვილანი



ჯორჯო კიელინი



ალესანდრო როზინა



ჯუზეპე როსი

სერია A

# პატარა პრინცები

## იტალიელი მიმომხილველების ახალგაზრდა ფავორიტები: აკვილანი, კიელინი, პაცინი, როზინა, როსი და მონტოლივო...

**ყველაზე პრეტენზიული გულშემატკივრებიც კი, წლეულს, იტალიის სერია A-ს ვერაფერს დაუწუნებენ. საკმაოზე მაღალია შედეგიანობა, თვალშისაცემია საინტერესო თამაშების სიმრავლე, გამოჩნდნენ საინტერესო გუნდები და შემსრულებლები. მოდით, ვიმსჯელოთ იმ ფეხბურთელებზე, რომლებსაც აპენინებზე დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ და "აძურის" მომავალს უწოდებენ.**

### ალბერტო აკვილანი

*დაიბადა: 1984 წლის 7 ივლისს, რომში. პოზიცია: ნახევარმცველი. კლუბი: რომა*

საოცრად ნიჭიერი და გამაოგნებლად ტექნიკური ფეხბურთელი. ის "რომას" აღზრდილია. იტალიის ფარგლებს გარეთ ალბერტო ჯერ კიდევ თინეიჯერობისას შეამჩნიეს. "არსენალი" და "ჩელსი" მარადიული ქალაქის ლონდონზე გაცვლას სთავაზობდნენ, მაგრამ ეს ტრანსფერი არ შედგა **ბრუნო კონტის** აქტიური ჩარევის შემდეგ. 80-იანი წლების "რომას" სიმბოლომ დაარწმუნა ოჯახი და თავად ფეხბურთელიც, რომ გარემოს შეცვლას კარგი არაფერი მოჰყვებოდა. სიმართლე ითქვას, თავად ალბერტოც უნდილად ეკიდებოდა წვიმიან ლონდონში ცხოვრების პერსპექტივას. მით უფრო, რომ ბავშვობიდან ოცნებად ჰქონდა გადაქცეული "ჯალოროსის" მაისურის მორგება. აკვილანიმ იტალიის ყველა ასაკობრივ ნაკრებში მოასწრო თამაში და თავად დიდ "აძურიში" უკვე სამი მატჩი აქვს გამართული. შარშან, ტრავმამ, ამისგან გამოწვეულმა იძულებითმა პაუზამ და სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობამ, ის ძალიან დახია უკან. წლეულს, მან და **დანიელე დე როსიმ** დიდებული ტანდემი შექმნეს. **რობერტო დონადონი** ალბათ უკვე აწყობდა გეგმებს, თუ როგორ შეიძლებოდა ორი დიდებული კრეატიული ნახევარმცველის ერთად გამოყენება ნაკრების ინტერესებისთვის. თუმცა ჩემპიონთა ლიგის მატჩში, მანჩესტერში "ოლდ ტრეფორდზე", ფეხბურთელმა ტრავმა მიიღო. მათს ტანდემს ნაკრებში ალბათ მალე ვიხილავთ.

### ჯორჯო კიელინი

*დაიბადა: 1984 წლის 14 აგვისტოს, პიზაში. პოზიცია: მცველი. კლუბი: იუვენტუსი*

ასაკის მიუხედავად, ჯორჯომ უკვე ბევრს მიაღწია. 18 წლისა ის ევროპის U 19 ჩემპიონატის გამარჯვებული გახდა, 20-ისამ ათენის ოლიმპიადაზე ბრინჯაოს მედლები მოიპოვა. ამავე წელს, ჯერ კიდევ 20 წლის მცველს ყურადღება **მარჩელო ლიპიმ** მიაქცია და უმალ ძირითადში ანდო ადგილი ფინეთთან მატჩში. თუმცა მან ვერაფრით მოახერხა ნაკრებში დამკვიდრება, ჩაატარა რა 3 წლის განმავლობაში სულ რალაც 6 მატჩი.

ჯორჯო იტალიის ერთ-ერთ ტურისტულ ცენტრ პიზაში დაიბადა. განათლება კი მეზობელ ლივორნოში მიილო. ამავე ქალაქის გუნდში ის 16 წლისა ჩაირიცხა და იქ 4 წელიწადი გაატარა. მან კლუბთან ერთად სერია ა-ში აღზევება მოახერხა. ამ წლებში მას რეგულარულად იწვევდნენ ასაკობრივ ნაკრებებში. კიელინი ყოველთვის იყო სკაუტების ყურადღების ცენტრში და "ბებერ ქალბატონში" გადასვლით არავინ გაუკვირვებია. თუმცა ადაპტაცია გაუჭირდა და უმაღლეს დონესთან შესაგუებლად იჯარით "ფიორენტინაში" წავიდა. აი, 2005\06 წლებიდან დაწყებული კიელინი "იუვეს" ძირითადის შეუცვლელი წევრია.

### ჯამპაოლო პაცინი

*დაიბადა: 1984 წლის 2 აგვისტოს, პესკიაში. პოზიცია: თავდამსხმელი. კლუბი: ფიორენტინა.*

იტალაში ჯამპაოლო სამართლიანად ითვლება ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ ახალგაზრდა ფეხბურთელად. 2005 წელს ის ყველაზე იმედისმომცემი ფეხბურთელის პრიზით დააჯილდოვეს. მან უკან ჩამოიტოვა ისეთი აღიარებული ტალანტები, როგორებიც არიან **ობაფემი მარტინსი** და **მირკო ვუჩინიჩი**. აღსანიშნავია, რომ მანამდე (2004 წ.) ამ ჯილდოს ლაურეატი გახდა **ალბერტო ჯილარდინო**, ხოლო 2006-ში **დანიელე დე როსი**. ისინი იტალიური ფეხბურთის ისტორიაში შევიდნენ როგორც მსოფლიოს ჩემპიონები, ხოლო პაცინიმ სხვა გზა გამონახა ამისთვის: ახლადგახსნილ "უემბლიზე" პირველი გოლი 28-ე წამზე გაიტანა. ეს მოხდა ინგლისისა და იტალიის ახალგაზრდული ნაკრებების თამაშზე. კინაღამ დაგვავიწყდა გვეთქვა, რომ არა მხოლოდ პირველი გოლი, პირველი ჰეთთრიკიც მის ანგარიშზეა. ის თამაში 3:3 დასრულდა.

პაცინი ძალიან მოძრავია, ძლიერია თავით თამაშშიც. კარიერა მან "ატალანტაში" დაიწყო და 2005-ში ფლორენციაში გადაბარგდა. ნახევარი წლის შემდეგ კლუბში, არც მეტი, არც ნაკლები, **ლუკა ტონი** მივიდა და, ლოგიკურად, ახალგაზრდა ფეხბურთელმა სკამზე გადაინაცვლა. სწორედ ეს მიზეზია, რომ მას სრულ 3 სეზონში სულ რაღაც 18 გოლი აქვს გატანილი. ახლა, როცა ტონი "ბაიერნში" გადავიდა, დროა, რომ ჯამპაოლომ საქმეს ხელი მოჰკიდოს. ამ ეტაპზე, სამწუხაროდ, მისი საქმეები ისე არ მიდის, როგორც მისი გულშემატკივარი ისურვებდა.

### ალესანდრო როზინა

*დაიბადა: 1984 წლის 31 იანვარს, ბელვედერე მარიტიმოში (კოზენცასთან ახლოს). პოზიცია: ნახევარმცველი. კლუბი: ტორინო.*

მეტსახელი "რეზინალდო" ზუსტად ახასიათებს თამაშის იმ სტილს, რასაც ეს მინიატურული "ტრექვარტისტა" (გამთამაშებელი) თამაშობს. 168 სმ-ის სიმაღლისა და 65 კგ-ის წონის ფეხბურთელი ჯადოქარივით ეპყრობა ბურთს. ფილიგრანული ტექნიკა, შერწყმული მაღალ სისწრაფესთან, ხშირად გამოუვალ სიტუაციაში აგდებს მოწინააღმდეგეს. "ტორინოს" გულშემატკივრებმა უკვე დაიწყეს მისი შედარება 70-იანი წლების ვარსკვლავ **პაოლინი პულიჩისთან**. სწორედ ტურინში ნახა მან თავისი გუნდი. არადა, ფეხბურთს პარმაში სწავლობდა და, მთელ ქალაქთან ერთად, განიცდიდა კლუბის ალმავლობასა თუ დაცემას. ოცნებობდა, დაეცვა "ჯალობლუს" ღირსება. კლუბში ჩაირიცხა კიდეც, მაგრამ თამაშს თითქმის ვერ ეღირსა. მხოლოდ ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშებით იოხებდა გულს, სადაც ის გუნდის ლიდერად ითვლებოდა. 2004 წელს, მან ევროპული ოქრო მოიგო თანატოლებთან ერთად.

### ჯუზეპე როსი

*დაიბადა: 1987 წლის 1 თებერვალს, ტინეკში (ნიუ ჯერსი, აშშ). პოზიცია: თავდამსხმელი. კლუბი: ვილიარეალი.*

აშკარად არატიპური იტალიელი. დაიბადა შეერთებულ შტატებში, აღიზარდა "პარმის" საფეხბურთო სკოლაში, უკვე სამი წელიწადია, რაც ის უცხოეთში გამოდის. თავის დროზე მისით თვით სერ **ალექს ფერგიუსონი** მოიხიბლა, მაგრამ თინეიჯერმა ფორვარდმა ვერ შეძლო "მანჩესტერის" ძირითადში ფეხის მოკიდება. გასული სეზონის მეორე ნახევარში ინგლისელებმა ფორვარდი მის მშობლიურ "პარმას" დაუთმეს იჯარის წესით. გადარჩენისთვის ბრძოლაში ჯუზეპემ დიდი როლი ითამაშა. გაიტანა რა 19 თამაშში 9 გოლი და გააკეთა რა 6 პასი. ხოლო სეზონის დასრულების შემდეგ ესპანურმა "ვილიარეალმა" "წითელ ეშმაკებს" ისეთი წინადადებით მიმართა, რომელზეც უარს არცერთი ჭკუადმყოფელი მენეჯერი უარს არ იტყოდა. სატრანსფერო თანხამ 9 მილიონ 950 ათასი ევრო შეადგინა. ესპანელებმა კარგად გათვალეს: ჯუზეპე დიდებულად ათამაშდა და დღეისთვის ბომბარდირთა დავაში, რამდენიმე სხვა ფეხბურთელთან ერთად, მე-2 ადგილზე იმყოფება.

### რიკარდო მონტოლივო

*დაიბადა: 1985 წლის 18 იანვარს, კარავაჯოში (ბერგამოსთან). პოზიცია: ნახევარმცველი. კლუბი: ფიორენტინა.*

მონტოლივო გაიზარდა "ატალანტაში". მშობლიური კლუბის ძირითადში დებიუტი 18 წლისას ჰქონდა. 2003\04-ის სეზონში ბერგამოელები სერია ბ-ში ასპარეზობდნენ. პირველივე სეზონი ზენარმატებული გამოდგა. 41 თამაში, 4 გოლი და სერია ა-ს საგზური. ისევე როგორც მისი კბილა აკვილანი, მანაც ყველა ასაკობრივ ნაკრებში თამაში მოასწრო, მაგრამ, ამის მიუხედავად, "აძურიში" თამაში ჯერ არ ღირსებია. **მარჩელო ლიპი** მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებს და ამბობს, რომ ასეთი ფეხბურთელების ნდობა მუდამ შეიძლება, რადგან მათ გუნდის ღალატი არ შეუძლიათ. მონტოლივოს ახლანდელი თავკაცი **ჩეზარე პრანდელი** კი მას მილანელ **ანდრეა პირლოს** ადარებს.

ინგლისის ლიგის თასი

# რამოსის დებიუტი ორი გოლით

## ლემპარდის ჰეთ თრიკი და თრილერი ლესტერთან...

"ტოტენჰემის" ახალი თავკაცი **ხუანდე რამოსი** შეგირდებისაგან ყველა რგოლში თამაშის გაუმჯობესებას ითხოვს. ოთხშაბათს "მამლებმა" ინგლისის ლიგის თასის მეოთხედფინალში გააღწიეს. მათ "ბლექპულს" 2:0 მოუგეს. ეს რამოსის სადებიუტო მატჩი გახლდათ. ლონდონელთა მეტოქე საკმაოდ მოკრძალებული კოლექტივი იყო. ამის მიუხედავად, აშკარა გახლდათ "ტოტენჰემის" დაცვის სისუსტე. თამაშის წინ რამოსმა სათადარიგოთა სკამზე კუთვნილი ადგილი დაიკავა. მას გარს შემოერტყა ფოტოკორესპონდენტების მთელი არმია. მატჩი დაიწყო და ესპანელმა სპეციალისტმა სიმშვიდე დაკარგა. ის ხშირად წამოდგებოდა ხოლმე ფეხზე და ფეხბურთელებს ემოციურად რაღაცას ანიშნებდა. სენიორ ხუანდეს ყველაზე მეტად ის აშფოთებდა, რომ ლონდონელები უპატიებლად ბევრჯერ კარგავდნენ ბურთს. *"გუნდმა უნდა მოუმატოს. არცერთი რგოლით კმაყოფილი არ ვარ. სუსტი იყო შეტევა და დაცვა. "ტოტენჰემი" შესანიშნავი პროფესიონალების გუნდია. ამიტომ იმედი მაქვს, რომ პროგრესი სწრაფად მოხდება. ინგლისში ბევრი კონკურენტი გვყავს. მათი სიმრავლე კი იმას ნიშნავს, რომ ამბიციური მიზნების მიღწევა სულაც არ იქნება იოლი. დღევანდელ მატჩზე რა შემიძლია, მოგახსენოთ? "ბლექპულმა" მოსალოდნელზე მეტი მომენტი შექმნა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენ სხვადასხვა დივიზიონში ვთამაშობთ, მეტოქისთვის ამდენის უფლება არ უნდა მიგვეცა,"* - ასე შეაფასა რამოსმა მატჩი მისი დასრულების შემდეგ.

თუმცა მწვრთნელს მხოლოდ პრობლემებზე არ გაუმახვილებია ყურადღება. მის განცხადებაში ოპტიმისტური ნოტებიც ჟღერდა: *"ყველაზე მთავარია შედეგი. საერთო ჯამში, გუნდმა დამაკმაყოფილებლად ითამაშა. ვნახეთ მონდომება და თავდადება. კმაყოფილი ვარ ფეხბურთელთა ფიზიკური მონაცემებითაც. არ დაგვავიწყდეს, რომ მათ უკანასკნელი მატჩი სამი დღის წინათ ჩაატარეს. დღევანდელ გამარჯვებას დიდ მნიშვნელობას მივანიჭებდი. ეს თამაში ბოლოდროინდელი პრობლემების გადაჭრაში დაგვეხმარება."*

იმის გამო, რომ "ტოტენჰემი" პრემიერლიგაში სავალალოდ ასპარეზობს, ევროპულ სარბიელზე მოხვედრის ერთადერთი შანსი ლიგის თასიდან აქვს. ის უეფას თასზე ითამაშებს, თუკი ჯილდოს დაეუფლება. რამოსის გუნდი რვა საუკეთესოს შორის უკვე არის. სავსებით შესაძლებელია, ახალმა მწვრთნელმა აქცენტი ამ ტურნირზე გააკეთოს. როგორ აფასებს რამოსი თავის გუნდის შანსებს? მწვრთნელმა ამ კითხვასაც უპასუხა: *"ბევრი რამ კენჭისყრაზეა დამოკიდებული. აგრეთვე იმაზე, შინ ვითამაშებთ, თუ სტუმრად. იმედია, ჩვენი წინსვლა მეოთხედფინალში არ შეჩერდება."* "ტოტენჰემის" დამრიგებლის ყველაზე დიდი პრობლემა ენის უცოდინრობაა. სენიორ ხუანდეს პრესკონფერენციაზე თარჯიმანი ახლდა. მწვრთნელი ვითარების დრამატიზებას ზედმეტად მიიჩნევს. მისი სიტყვებით, ყველა საკვანძო სიტყვას, რომელიც მუშაობის პროცესში სჭირდება, უპრობლემოდ წარმოთქვამს ინგლისურად. სხვა დანარჩენისთვის კი თარჯიმანი ემსახურება.

აქვე ორიოდე სიტყვით შევეხებით "ჩელსის" მატჩს. "არისტოკრატებმა" "ლესტერთან" ნამდვილი ომი გადაიხადეს, 4:3. **ფრენკ ლემპარდმა** ჰეთ თრიკი მიითვალა. მან გამარჯვების გოლი მსაჯისაგან დამატებულ დროში შეაგდო. მეოთხე ბურთი **ანდრეი შევჩენკომ** გაიტანა. უკრაინელმა ბოლო ორ შეხვედრაში მეორედ შეაგდო. შეგახსენებთ, რომ მან გასულ უქმეებზე "მანჩესტერ სიტისთან" თამაშშიც გამოიჩინა თავი.



ხუანდე რამოსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

ქართველები NBA-ში

# ფაჩულია სეზონის გახსნას გამოტოვებს



ფაჩულია სეზონისწინა ფოტოსესიაზე



დღეს NBA-ს მორიგი სეზონი იწყება. **ზაზა ფაჩულიას** "ატლანტა" "დალას მავერიქსს" დაუპირისპირდება. სათაურიდანაც მიხვდებოდით, რომ ეს შეხვედრა ქართველი ცენტრის გარეშე ჩაივლის. ამის მიზეზი ფაჩულიას ტრავმაა. მან მუხლი ორი კვირის წინათ "შარლოტ ბობქეთსთან" საგამოფენო მატჩისას დაიზიანა და დღემდე მკურნალობს.

ჯორჯიული გაზეთის "ატლანტა კონსტიტუშენის" ჟურნალისტის **სეკუ სმიტის** მტკიცებით, ზაზას ტრავმა ისევ აწუხებს და ექიმებს გუნდთან ერთად ვარჯიშის უფლება ჯერ არ მიუციათ. ჟურნალისტი იქვე დასძენს, რომ მისი ინფორმაციით, ზაზა საწვრთნელ პროცესში მომავალი კვირიდან ჩაებმება და მოედანზე როდის ვიხილავთ, მწვრთნელი **მაიკ ვუდსონი** გადაწყვეტს.

ჩვენი მხრივ შეგახსენებთ, რომ ქართველის დაშავების შემდეგ ძირითად შემადგენლობაში მისი ადგილი დრაფტზე მე-3 ნომრად აყვანილმა **ელ ჰარფორდმა** დაიკავა. "დალასთან" სასტარტო მატჩში "ატლანტას" ფარქვეშეთს სწორედ იგი გაამაგრებს.

ახალი სეზონის წინ "ატლანტა ჰოქსის" მესვეურებმა "პეპსი არენაზე" ჟურნალისტებსა და ფოტოგრაფებს უხმეს და ღია ვარჯიშს ფოტოსესია მიაყოლეს. სხვა ჰოქსელების გვერდით მოედანზე ტრავმირებული **ზაზა ფაჩულიაც** გავიდა და თავად შეგიძლიათ დარწმუნდეთ, რამდენად საინტერესოდ წარიმართა ფოტოსესია.

**ვაჟა სიმონიშვილი**



ვლადიმერ ბოისა

# ბოისა მეოთხედფინალშია

ვლადიმერ ბოისას "სპარტაკ-პრიმორიემ" რუსეთის ჩემპიონატში წარუმატებელი გამოსვლა საკუთარ ქომაგს თასის გათამაშებაში ეფექტური გამარჯვებით დროებით დაავიწყა. პრიმორიელებმა თასის მერვედფინალში ციმბირიდან ვლადივოსტოკში ჩასულ "ირკუტსკს" უმასპინძლეს და 98:53 დაამარცხეს.

აქვე ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ "ირკუტსკი" ქვედა ლიგის გუნდია და მერვედფინალში გასვლა მისთვის უკვე დიდი წარმატება იყო. სტუმართა მწვრთნელი წინასწარ ამბობდა "სპარტაკ-პრიმორიესთან". მატჩი ჩვენთვის სერიოზული გაკვეთილი უნდა იყოსო.

ამ შეხვედრაში წუთებისა და დადებითი მონაგარის შეფარდებით საუკეთესო **ვლადიმერ ბოისა** იყო. მან მოედანზე 8 წუთი გაატარა, 2-დან 1 ორქულიანი, 5-დან 4 საჯარიმო და ერთი სამქულიანი ჩააგდო. თუმცა მხოლოდ 9 ქულა არ იკმარა და მას 4 მოხსნა, 1 ჩაჭრა და 2 პასი მიამატა.

რუსეთის თასის მეოთხედფინალში გუნდები მხოლოდ ერთი მატჩის შედეგის მიხედვით გადიან. ბოისას "პრიმორიეც" მეოთხედფინალშია და მომავალ მეტოქეს ელის. მანამდე, კი ჩემპიონატში "ენისეის" უმასპინძლებს და სატურნირო მდგომარეობის გამოსწორებას შეეცდება. მატჩი ხვალ გაიმართება.

**ვახტანგ ტყეშელაშვილი**

ლეგიონერი. ინტერვიუ ლაშა ფარლალავასთან

# სწავლა და კალათბურთი ამერიკასა და საქართველოში

ამერიკის იუნიორთა კოლეჯების ლიგაში ლაშა ფარლალავა და დავით ერქვანია გასულ სეზონში სხვადასხვა კლუბებში ასპარეზობდნენ. დათო სამხრეთ-აღმოსავლეთის კოლეჯში თამაშობდა, ლაშა - "პენსაკოლაში". ერთ-ერთი ინტერვიუსას ფარლალავამ მითხრა, წინა ხაზში სუსტები ვართ, გაძლიერება გვჭირდებაო. ჰოდა, სეზონის დასრულების შემდეგ მან თავის მწვრთნელს მეგობრის, ერქვანიას აყვანა შესთავაზა (ისინი ერთად სსუ-ში თამაშობდნენ). "პენსაკოლას" დამრიგებელს შეგირდის რჩევა ჭკუაში დაუჯდა და იუნიორთა კოლეჯების კარსმომდგარ ჩემპიონატში დათო ერქვანია ლაშა ფარლალავას გვერდით ითამაშებს.

ინტერნეტსაიტ "ევრობასკეტზე" გამოქვეყნდა ლაშას ინტერვიუ, რომელშიც იგი საინტერესოდ საუბრობს ამერიკული კოლეჯების სპეციფიკასა და საკუთარ მომავალზე.

**-თავდაპირველად, ის გვითხარი, როგორ მოხვდი "პენსაკოლაში"?**

- ამერიკაში 2003 წელს ჩამოვედი და ფლორიდის "ავიააკადემიაში" ჩავირიცხე. თავიდან ცოტა გამიჭირდა, რადგან პრობლემები მქონდა ენასთან დაკავშირებით და რთული იყო საკალათბურთო ცხოვრების სწავლასთან შეთავსება. მაგრამ, ნელ-ნელა ყველაფერს შევეგუე და საკალათბურთო სტილიც შევიცვალე - აქ თითოეული მოთამაშე ფიზიკურ მომზადებას დიდ ყურადღებას აქცევს. ევროპასთან შედარებით დიდი დატვირთვებია.

**- ფიქრობ, რომ ამერიკის სკოლა ის ადგილია, სადაც შეიძლება ევროპელი მაღალი კლასის პროფესიონალად იქცეს?**

- ჩემი აზრით, აქაური სკოლები შესანიშნავი ადგილია არა მხოლოდ კალათბურთელად ჩამოსაყალიბებლად, არამედ განათლების მისაღებად. როცა კარიერას დაასრულებ, დგება ახალი პროფესიის არჩევის დრო. თუკი, განათლება ამერიკაში გაქვს მიღებული, შენი პროფესიით სამუშაოს პოვნაც არ გაგიჭირდება.

**- რა სხვაობაა ამერიკულ და ქართულ საკალათბურთო სკოლებს შორის?**

- მთავარი სხვაობა ისაა, რომ ამერიკის სასწავლებლებში კალათბურთსა და სწავლას ერთმანეთს იდეალურად უთავსებ. თუ კარგად არ სწავლობ, კოლეჯის გუნდში არავინ აგიყვანს. საქართველოში კი, სამწუხაროდ, არჩევანის წინაშე დგახარ: კალათბურთი ითამაშო, თუ - ისწავლო. ორივესთვის დრო არ გრჩება.



ლაშა ფარლალავა (მარჯვნივ)

**- კოლეჯების ლიგის შემდეგ სად აპირებ თამაშს?**

- ალბათ, ევროპაში დავბრუნდები და რომელიმე ნორმალურ კლუბში მოვსინჯავ ძალას. როგორც წესი, კოლეჯებში გამოწვრთნილ კალათბურთელებს ევროპულ გუნდებში ფეხის მოკიდება არ უჭირთ. კარიერის დასრულების შემდეგ კალათბურთიდან წასვლას არ ვაპირებ, ან მწვრთნელად ვიმუშავებ, ან - აგენტად. ბოლოს, მინდა მადლიერებით მოვიხსენიო ჩემი მწვრთნელები, ომარ ლებანიძე და ვაჟა კვარაცხელია, რომელთა დამსახურებითაც მე დღეს ამერიკაში ვიმყოფები.

**ვახტანგ ტყეშელაშვილი**

## ჩოგბურთი



**ალექსანდრე მეტრეველი.** დაიბადა 02.11.1944, თბილისი. ჩოგბურთი, უიმბლდონის სამგზის ფინალისტი ერთეულთა თანრიგში (1973) და შერეულ წყვილებში (1968, 70 - ოლგა მოროზოვასთან ერთად). ევროპის 16-გზის ჩემპიონი (აქედან 1970-71, 73, 75, 77-78 წლებში - ერთეულა თანრიგში), სსრკ 29-გზის ჩემპიონი (აქედან 1966-67, 69-76, 78, 80 წლებში - ერთეულთა თანრიგში). სსრკ ხალხთა სპარტაკიადის აბსოლუტური ჩემპიონი (1975). ათეულობით სხვა საბჭოთა და საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული. ერთადერთი საბჭოთა ჩოგბურთელი კაცი, რომელიც მსოფლიოს საუკეთესო ათეულში მოხვდა (1974-ში - მე-9 ნომრად). 18 წელინადს შედიოდა სსრკ საუკეთესო ჩოგბურთელ კაცთა ათეულში, აქედან 12-ჯერ - პირველ ნომრად (1966-67, 69-78). მონაწილეობდა გრანდ სლემის 23 ტურნირში (74 შეხვედრიდან 52 მოიგო). სსრკ ნაკრების შემადგენლობაში ითამაშა დევისის თასის 38 მატჩში (105 შეხვედრიდან 80 მოიგო). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. ღირსების ორდენის კავალერი. იყო საქართველოს სსრ სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, სსრკ ჩოგბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, უზბეკეთის ნაკრების კონსულტანტი, რუსეთის ტელეკომპანია HTB-ს სპორტული კომენტატორი.

**ივანე (კაკო) მარი.** დაიბადა 02.11.1902, დაბლაციხე, ჩოხატაური - 17.09.1990, თბილისი. ალპინიზმი. მთამსვლელობის ორგანიზატორი. ალიოშა ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპური კლუბის ერთ-ერთი დამაარსებელი (1936) და თავმჯდომარე (1940-43), საქართველოს სამთო-სამაშველო სამსახურის უფროსი, მთამსვლელობის უფროსი ინსტრუქტორი, საკვალიფიკაციო კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, სსრკ გეოგრაფიული საზოგადოების საპატიო წევრი (1985), სამხედრო ალპინიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი. მისი ხელმძღვანელობით განხორციელდა ასვლა მყინვარწვერზე ახალი, სამხრეთ-აღმოსავლეთი გზით (1932), ნამყვამ-წურუნგალა-აილამისა (1947) და შხელდა-უშბის (1950) ტრავერსები, სასიმაღლო-სპორტული ასვლები პამირში (1962) და სხვ. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქართული სპორტის პრობლემები

# წინ, სიახლეთა გზით

ადრე საუბრებში მითქვამს, ახლა კი საჯაროდ ვამბობ, რომ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ახალგაზრდა ხელმძღვანელები მართლაც გამოირჩევიან თავაზიანობით და თავმდაბლობით. სპორტული სამყარო სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი ადამიანების სამყაროა და, ტრადიციულად, აქ მუდამ გაწონასწორებულია ურთიერთობები.

დეპარტამენტის სპორტის სამმართველოს ახალგაზრდა ხელმძღვანელმა ირაკლი სამყურაშვილმა, ინტერვიუ რომ ვთხოვე, მყისვე გამაფრთხილა - ვილაპარაკებ მხოლოდ დეპარტამენტის სახელით, ინტერვიუში სურათის დართვაზე კი წინააღმდეგი ვარო. შევთანხმდით. აქვე ვიტყვი, ჟურნალისტიკაში დიდი სტაჟის მიუხედავად, ასეთი შემთხვევა არ მახსენდება. პირდაპირ დიალოგზე გადავედით.



**- ინურება 2007 წელი, შეიძლება თამამად ითქვას, წარმატებული წელიწადი ქართული სპორტისთვის. თუმცა ჯერ წინ კიდევ ორი თვეა და ამიტომ წლის შედეგების შეჯამება მერმისისთვის გადავდოთ. და მაინც, მოკლედ როგორ შეაფასებდით გაწეულ საქმიანობას?**

- მოდით, მთავარი ყურადღება გადავიტანოთ მოტივაციაზე. მაღალი სპორტული მიღწევები, ცხადია, საამაყოა, მაგრამ სპორტს აკისრია სხვა ფუნქციაც.

**- რას გულისხმობთ?**

- სხვადასხვა დონის სპორტულ ასპარეზობაში მონაწილეობით საქართველო მუდამ უნდა იყოს ეპიცენტრში. სპორტული ფედერაციების მოვალეობაა ეს აღიაროს პრიორიტეტად. სპორტმა ხელი უნდა შეუწყოს დემოკრატიული განვითარების გზაზე მდგარი ჩვენი ქვეყნის წარმოჩენას მსოფლიოში. ამასთან, უნდა შევძლოთ მაღალი რანგის საერთაშორისო ასპარეზობებს თავადაც ვუმასპინძლოთ.

**- ვინ უნდა იმუშაოს ამ კუთხით?**

- ფედერაციებმა. ისინი უნდა იყვნენ ორგანიზატორები. სახელმწიფო კი თავისი მექანიზმებით გვერდით დაუდგება. ჩვენი დეპარტამენტი ფედერაციების ნებისმიერ ასეთ ინიციატივას მხოლოდ მიესალმება.

**- რაში გამოიხატება თანადგომა?**

- ყველა ხედავს, ჩვენი ქვეყანა როგორ ზრუნავს სპორტში თანამედროვე ინფრასტრუქტურის შესაქმნელად. მაღალ დონეზე საერთაშორისო შეჯიბრებების მასპინძლობა უამისოდ შეუძლებელია. პარალელურად ტურიზმსაც სტიმულს აძლევს ასეთი სპორტული ღონისძიებების მასპინძლობა.

ჩვენი სპორტული და ეროვნული ტრადიციები, ხელსაყრელი ინფრასტრუქტურა სასტუმროების ჩათვლით, შექმნის წინაპირობას, საქართველო უამრავი საერთაშორისო სპორტული ასპარეზობის ერთ-ერთ ყველაზე სასურველ მასპინძლად იქცეს. თავისთავად იგულისხმება, რომ ქვეყანაში ეს პროცესი სპორტის პროპაგანდის დონეც ამაღლდება, სახელმწიფოს მისცემს ახალ სტიმულს დიდი მიზნებისა და გეგმების განხორციელებისათვის.

**- კმაყოფილია დეპარტამენტი სპორტულ ფედერაციებთან ურთიერთობებით?**

- ბოლო 3-4 წლის განმავლობაში დეპარტამენტი მიზანმიმართულად ხელს უწყობს ეროვნული სპორტული ფედერაციების თავის სტატუსში განვითარება-გაძლიერებას. უპირველესად იგულისხმება მენეჯმენტის სრულყოფა სიახლეების დანერგვით. ფეხს იკიდებს დაფინანსების გამჭვირვალეობა, სუბსიდირების გამარტივებული ფორმები, ანგარიშგების (ტექნიკური, სპორტული, ფინანსური) გამკაცრებული რეჟიმი. ყოველწლიურმა ჩარჩო ხელშეკრულებებმა, ეროვნულ ფედერაციებს საშუალება მისცა, სრულიად განახორციელონ, როგორც მარკეტინგული, ისე მათ ხელთ არსებული ყველა საშუალებით სახელმწიფოს მიერ მათზე დელიგირებული უფლებები და მოვალეობები, რომელშიც, ცხადია, შედის სახელმწიფო დაკვეთის შესრულება. სამი წლის წინათ, არც ერთი ფედერაცია არ იყო მზად საამისოდ. რა თქმა უნდა, არის ნაკლოვანებები, რომელთა დაძლევა ჩვენს ურთიერთობებში 2008 წელს მთავარი ამოცანა იქნება.

**- რა ნაკლოვანებებს გულისხმობთ?**

- პირველი, ესაა, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატებისა და პირველობების დონის ამაღლება; მეორე - ასაკობრივ ჯგუფებში ქვეყნის პირველობების მაღალ დონეზე ჩატარება; მესამე - საქართველოს რეგიონების აქტიურად ჩართვა, როგორც ქვეყნის სპორტულ ცხოვრებაში, ისე ასპარეზობების მასპინძლობის პროცესში; მეოთხე - სპორტის სახეობების მიხედვით საკლუბო სექტორის დანერგვა-განვითარება, რაც სტიმულს მისცემს გულშემატკივართა გააქტიურებას, ანუ შეჯიბრებებზე მათ სისტემატურ დასწრებას; მეხუთე - სპორტული გუნდის და გულშემატკივრის იდენტიფიკაცია ფართო გაგებით. "ამერის" ფეხბურთელთა და გლდანელთა ურთერთობაა ამის კარგი მაგალითი. განა მოსაწონია, როცა კალათბურთი ვერის ბაღში იწყება და იქვე მთავრდება? გულშემატკივრიც უწყობს ხელს სპორტის განვითარებას - ეს ნუ დაგვავიწყდება. ქომაგი და გუნდი ერთმანეთზე უნდა იყოს მიბმული. გუნდის პასუხისმგებლობა მაყურებლის წინაშე წესად უნდა იქცეს. ნახეთ, რა ხდება საზღვარგარეთ.

**- ეროვნული ფედერაციების საერთაშორისო სპორტულ სტრუქტურებთან ურთიერთობაზე რას იტყვით?**

- ეს ჩვენი ერთობლივი საქმიანობის ერთი უმთავრესი მიმართულებაა.

**- კერძოდ...**

- ესაა საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში საქართველოს წარმომადგენლების ლობირება, ამ გზით ხსენებულ სტრუქტურებში ჩვენი პოზიციების გამყარება. ამასთან, უნდა შეიქმნას მსაჯთა კორპუსი, მათი რიგებიდან მომზადდნენ საერთაშორისო დონის არბიტრები. ეს ძალზე მნიშვნელოვანია. გაისად სემინარებს ჩავატარებთ სპორტის ყველა იმ სახეობაში, რომელი ფედერაციებიც საამისოდ იქნებიან მზად. სემინარებზე განზოგადდება საერთაშორისო მიღწევები, სიახლეები, დემონსტრირებული იქნება ტექნიკური საშუალებები. იგივე პროცესი შეეხება მწვრთნელთა მომზადებასაც.

**- რა ბედი ელის სპორტში მეცნიერულ კვლევებს?**

- საფრთხე გამორიცხულია. მეცნიერების გარეშე სპორტი წინ ვერ წავა, ეს ყველას ძალიან კარგად გვესმის. სრულიად ახლებურად გაღრმავდება, ახალი წლიდან, დეპარტამენტის, ფედერაციების, – სპორტის აკადემიის მემკვიდრის, ჭავჭავაძის უნივერსიტეტის სპორტული ცენტრის, სამედიცინო უნივერსიტეტის ურთიერთობა. მეცნიერების უახლესი მიღწევებით წარიმართება კვალიფიციურ მწვრთნელთა მომზადება...

**ესაუბრა თენგიზ თომაშვილი**

წიგნის თარო

## ლელოს რუბრიკა წიგნად იქცა

თამამად შეიძლება ითქვას, რომ წიგნი "მემკვიდრეობა", რომლის ავტორია თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი და ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი, საქართველოს და სსრკ დამსახურებული მწვრთნელი, ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის კავალერი, თბილისის საპატიო მოქალაქე **გურამ სალარაძე**, "ლელოს" პირმშოა. აი, რას წერს თავად ავტორი ამის შესახებ წიგნში: *"ერთ საღამოს ვერაზე გავისეირნე. ზაფხულის დასაწყისი - მარტის თვე იყო. ჩემდა სასიხარულოდ, გზაზე შემომხვდა გაზეთ "ლელოს" მთავარი რედაქტორი. მიკითხვა-მოკითხვის შემდეგ მან მთხოვა, უახლოეს დღეებში რედაქციაში შემევლო. მეორე დღესვე ვესტუმრე. "გურამ, ერთი კარგი ჩანაფიქრი მაქვს, ნახე, მოსინჯე, იქნებ გამოგივიდეს, მე დარწმუნებული ვარ, რომ გამოგივა. დაიწყე ჭიდაობის ირგვლივ წერა, წარსულიდან დაწყებული გამოყევი დღემდე. მასალა უამრავი დაგიგროვდება, ისეთი დიდი ისტორია აქვს ჭიდაობას". ცოტა ხნის შემდეგ მივიღე ეს შემოთავაზება, თუმცა, დაძაბულიც ვიყავი, ვაითუ ვერ გამომივიდეს-მეთქი. კიდევ ერთხელ გამამხნევა რედაქტორმა, რომ იტყვიან, შემიძახა და მეც გავბედე. რუბრიკა თვითონვე გამომინახა - "მემკვიდრეობა".*

*აი, ასე შეიქმნა ეს გამოცემა. ასე იქცა რუბრიკა წიგნად. არაერთი ავტორის კალამი შეხებია ჩვენში ჭიდაობის თემას, მაგრამ სულ სხვაა, როცა თვით ამ თემის ერთ-ერთი ყველაზე ღირსეული წარმომადგენელი და ტიტულოვანი სპორტსმენი, თავად ფალავანთა თაობების აღმზრდელი, პროფესიული მიდგომით ღრმად გვახედებს სპორტის იმ სახეობის სამყაროში, რომელიც ჩვენი ერის ბუნების, მისი რაინდული სულის გამომხატველია და ამიტომაც სწორედ ჭიდაობაში გვაქვს ყველაზე თვალსაჩინო წარმატებები საერთაშორისო სარბიელზე, ოლიმპიური თამაშების ჩათვლით.*

ვინც ეცნობოდა "ლელოს" ფურცლებზე რუბრიკის წერილების ციკლს, დაგვეთანხმება, რომ ეს იყო საქმის ღრმა ცოდნით და, რაც მთავარია, დიდი სიყვარულით დაწერილი პუბლიკაციები. სწორედ სიყვარული და სხვათა ამაგის დაფასება გასდევს წიგნს ლაიტმოტივად. ავტორი იგონებს ჩვენს შესანიშნავ ფალავნებს, მათი ჭიდაობის ეპიზოდებს, დიდი სპორტსმენების ზნეობრივ მაგალითებს. წარმატებათა თავანკარა წყაროდ კი ქართულ ჭიდაობას მიიჩნევს.

"ჩემი მოგონებები მივუძღვენი ჭაბუკ და ახალგაზრდა მოჭიდავეებს, ჩვენს შესანიშნავ მომავალ თაობებს, რომელთაც არ დავიწყნიათ წინაპართა სიყვარული და პატივისცემა. მათ უნდა იცოდნენ ვისი გორისანი არიან და საიდან მოდიან. ეს წიგნი, ვფიქრობ, მათ ამაში კარგ სამსახურს გაუწევს" - წერს ავტორი.




წიგნში საქართველოს ყველა კუთხის ყველა თაობის ფალავნებზე და ქართულ სპორტში მათ ღვაწლზე ცალკე თავებშია მოთხრობილი. ასევე ცალკეა ნაამბობი უბნების მიხედვით თბილისელ სპორტსმენებზე. წიგნში შესულია აგრეთვე ქართველ მოჭიდავეთა სპორტული შედეგები ოლიმპიურ თამაშებზე, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე 1952 წლიდან 2006 წლის ჩათვლით.

წიგნი უხვადაა ილუსტრირებული და ტექნიკურად მაღალ დონეზეა დასტამბული.

ძიუდო

## პეკინში არ დაგვპატიჟეს

17-18 ნოემბერს, პეკინი ძიუდოში მსოფლიოს გუნდურ პირველობას უმასპინძლებს, თუმცა მასში საქართველოს ნაკრები არ მონაწილეობს. ვიდრე ამის მიზეზს გეტყოდეთ, მანამ - თავად ტურნირის სტატუსზე, თუმცა ეს ჩვენც გაგვიჭირდება. მოგეხსენებათ, საერთაშორისო ფედერაცია ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ატარებს პლანეტის გუნდურ პირველობას, სადაც ადრე მონაწილეებს მსოფლიოს პირად პირველობაზე ნაჩვენები შედეგებით იწვევდნენ, შარშან მონაწილენი რეგიონალური პრინციპით შეარჩიეს, მონაწილეთა რაოდენობაც გაზარდეს და მართლაც ბევრად სოლიდური შეჯიბრება ჩაატარეს. ალბათ, შეხსენებაც არ გჭირდებათ, პარიზში გამართული ის ტურნირი ჩვენების ტრიუმფული გამარჯვებით დასრულდა და მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ჩვენი საკუთრებაა.

მაგრამ ამ ოთხწლიანი ციკლის პარალელურად, თავად მსოფლიო ჩემპიონატების მერეც ეწყობა გუნდური პირველობა და შეგახსენებთ, რომ 2005-ში ჩვენებმა კაიროში ბრინჯაო მოიპოვეს.

წლეულს, ბრაზილიაში, მსოფლიო ჩემპიონატზე ასეთი ტურნირი არ გამართულა, მაგრამ **მარიუს ვიზერმა**, რომელიც ბრაზილიაშივე აირჩიეს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტად, მისი ჩატარება მაინც განიზრახა და მასპინძლად პეკინი შეარჩია. ტურნირში თავდაპირველად ჩვენები არ მიუწვევიათ. მოწვევა მხოლოდ მას შემდეგ გამოგვიგზავნეს, რაც რუსებმა იუარეს მონაწილეობა, ასე გვიანი მიპატიჟება კი ჩვენებმა იუკადრისეს და არ დათანხმდნენ. ვერც გაამტყუნებ, ვინაიდან საქართველოს ნაკრები მსოფლიოსა და ევროპის მოქმედი ჩემპიონია და თუ ვინმე უნდა მიეწვიათ, უპირველესად - ის! ამ ტურნირში გამოუსვლელობა ბევრს არც არაფერს დაგვაკლებს, რადგან იგი ოფიციალური მაინც არაა - საერთაშორისო ფედერაცია იმას ცნობს, რომელიც ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდება და რომლის ჩემპიონის ტიტულიც ჩვენს ხელთაა.

**ირაკლი თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

BTA Silk Road Bank
ქვარციტი QUARTZITE
LOYAL CAPITAL group

ინტერვიუ
ვიქტორ დიდებულიძესთან

# ახალგაზრდებო, გაფრთხილდით პორტუგალიასთან!

**საქართველოს ნაკრების მორაგბე ვიქტორ დიდებულიძე საფრანგეთის მსოფლიო თასის გათამაშებაში ერთ-ერთი ყველაზე ხანდაზმული მოთამაშე იყო. ქართული რაგბის მოქმედი ვეტერანი დიდი ხანია, საფრანგეთში ასპარეზობს და როგორც მასთან საუბარში გაირკვა, ამ სეზონის დასრულების შემდეგ იქვე დარჩენასა და სამწვრთნელო საქმიანობის დაწყებას აპირებს.**

- რაგბიდან წასვლა მსოფლიო თასის დასრულებისთანავე მქონდა გადაწყვეტილი. მაგრამ „მასის" ხელმძღვანელებმა მთხოვეს, საჭირო ხარ და თუ შეძლებ, კიდევ დაგვეხმარეო. ერთი სეზონი ისევ ვითამაშებ. მერე კი აქვე, „მასიში" სავარაუდოდ შერკინების მწვრთნელად დავიწყებ მუშაობას. ან სულაც სხვა უფრო ხელსაყრელი შემოთავაზებაც გამოჩნდეს. სამწვრთნელო ლიცენზია აღებული მაქვს, მაგრამ მუშაობის პარალელურად მინდა სწავლა გავაგრძელო და ელიტური დივიზიონის გუნდებში საქმიანობის უფლება მოვიპოვო.

**- თქვენმა გუნდმა, ბოლო ორო სეზონისგან განსხვავებით, წლეულს საკმაოდ ცუდად აიღო სტარტი. რა არის ამის მიზეზი?**

- ასე იმიტომ მოხდა, რომ 14 ტრავმირებული მოთამაშე გვყავს. დანარჩენები კი ვერაფრით ავეწყეთ, ვერ დავლაგდით. სამი შეხვედრიდან ორი წავაგეთ და ორივე გასვლაზე. ვფიქრობ ასეთი შემადგენლობით ლოგიკური იყო.

**- განვლილ შეხვედრებში რატომ არ ითამაშა დავით დადუნაშვილმა?**

- დავით დადუნაშვილმა მენისკის ოპერაცია გაიკეთა და ორი კვირის მერე დაიწყებს ვარჯიშს. სამაგიეროდ, ძალიან კარგ ფორმაშია გიორგი ჩხაიძე. "ზინგომ" მსოფლიოს თასზეც კარგად ითამაშა და „მასის" შემადგენლობაშიც განვლილ თამაშებში საუკეთესო იყო.

**-"მასის" ვებგვერდზე გამოქვეყნდა თქვენი და გიორგი ჩხაიძის ფოტოკოლაჟი თქვენივე კომენტარებით. თემა მსოფლიო თასზე საქართველოს ნაკრების ასპარეზობაა. თუ შესაძლებელია მოკლედ გვიამბეთ, კონკრეტულად რაზეა საუბარი?**

- ნამიბიასთან მატჩზე ლანსში 50-60 კაცი ჩამოვიდა მასიდან ჩვენს საქომაგოდ. დიდი პლაკატი ეჭირათ ხელში წარწერით, ვიქტორ და გიორგი, თქვენთანა მთელი მასი. ვებგვერდზე მოცემულ კოლაჟზე კომენტარები გვთხოვეს, როგორი განცდა იყო მსოფლიო თასზე და კონკრეტულად საფრანგეთის ნაკრების წინააღმდეგ თამაშიო. როგორც იყო, ისე ვუთხარი - საფრანგეთთან თამაშამდე რაც გასაკეთებელი იყო, უკვე გაკეთებული გვქონდა. ჩვენი მსოფლიო თასი ჩვენ უკვე მოგებული გვქონდა-მეთქი.



ვიქტორ დიდებულიძე ნამიბიასთან მატჩში

რაც შეეხება ფრანგებთან დიდი ანგარიშით მარცხს, ასე ავუხსენი - დასასვენებლად, ძალების აღსადგენად მხოლოდ სამი დღე გვქონდა და ეს ასეთი დონის გუნდთან, როგორიც საფრანგეთის ნაკრებია, საკმარისი არ არის.

**- როგორც ჩვენთვის ცნობილია საქართველოს ნაკრებში თამაშს აღარ აპირებთ. რატომ?**

- აღარ არის დრო ადგილი ახალგაზრდებს დავუთმო? 36 წლისა ვარ, საქართველოს ნაკრებში პირველად 1991 წელს ვითამაშე...

**- ალბათ გაიგებდით, რომ რაგბის კავშირმა სახელმწიფოსთან ერთად რაგბის განვითარების პროგრამა შეიმუშავა.**

- დიახ, ვიცი ამის შესახებ. რამდენიმე დღის წინ ნაკრების ყოფილ კაპიტანს ილია ზედგინიძეს ვესაუბრე ტელეფონით და ის დეტალურად მომიყვა ყველაფერს. ძალიან მიხარია, ყველაფერი თუ ისე გაკეთდა როგორც ეს პროგრამაშია, იქნება უდიდესი წინსვლა. ძალიან კარგი თაობა მოდის, თავდადებული, მონდომებულნი. ამათ მხარდაჭერა, გვერდში დგომა სჭირდებათ.

**- ერთ კვირაში ერთა თასის ეგიდით პორტუგალიასთან თამაში გვაქვს. სხვადასხვა მიზეზის გამო თითქმის ნახევარი გუნდი დაგვაკლდება.**

- ეს ამბავიც ახლახან შევიტყვე. ცხადია, ძალიან ცუდია, თუმცა მინდა გითხრათ, რომ მათ ნაცვლად გამოძახებული მორაგბეები საკმაოდ სერიოზულ ძალას წარმოადგენენ. ახალგაზრდები და რაც მთავარია ამბიციურები არიან. ორი დღის წინ ირაკლი აბუსერიძეს ვესაუბრე ტელეფონით. რამდენადაც ვიცი, ის იქნება კაპიტანი პორტუგალიასთან შეხვედრაში. ვუთხარი, რომ ამ თამაშს სერიოზულად მიუდგნენ. განსაკუთრებით ახალგაზრდებს სჭირდებათ გამხნევება. პორტუგალია კარგი, მებრძოლი გუნდია, არაფერს დაგვითმობენ.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ჭადრაკი

ევროპის გუნდური ჩემპიონატი

# ქალთა ნაკრები საჩემპიონო ბრძოლაში ჩაება!

| მეხუთე ტური | |
|---|---|
| ქალები: საქართველო-საბერძნეთი | 3:1 |
| ვაჟები: საქართველო-ბელგია | 4:0 |

მეხუთე ტურში კვლავ გაიმარჯვა საქართველოს ქალთა ნაკრებმა - საბერძნეთის პირველი ნაკრები 3:1 დაამარცხა და ლიდერთა შორის გაერია. სიმართლე ითქვას, ბერძნების დამარცხების ნამდვილად გვეიმედებოდა, ხოლო ის, რომ მეხუთე ტურში მათ შევხვდით, იღბლის წყალობა იყო - შეიძლებოდა ბევრად ძლიერ გუნდსაც გადავყროდით.

უცნაურია, მაგრამ პირველ ტურში ლიტველებთან სენსაციურმა მარცხმა გარკვეულწილად გვარგო: მომდევნო ტურებში სუსტი გუნდები შეგვახვედრა და მათი დამარცხების ხარჯზე დავაგროვეთ ქულები. მართალია, სუსტ გუნდად სერბეთის ნაკრებს ვერ ჩავთვლით, მაგრამ ამათზე ძლიერებიც საკმაოდ არიან ჩემპიონატზე და ამიტომ დღეისთვის, ლიდერებში ყოფნა დიდ წარმატებად ვერ ჩაითვლება.

დღეს ჩემპიონატში შესვენებაა და მეექვსე ტურიდან უკვე მთავარი ბრძოლები დაიწყება. რაც მთავარია, საჩემპიონო ბრძოლაში ჩვენც ვმონაწილეობთ.

ბერძნების დამარცხება ქართველებმა ამ შემადგენლობით შეძლეს: **მაია ჩიბურდანიძე, ნინო ხურციძე, ნანა ძაგნიძე, მაია ლომინეიშვილი.** ჩიბურდანიძემ ჩვეულ სტილში დაამარცხა **ელენა დემბო** - თეთრი ფერი ჰქონდა და თავიდანვე რომ აიღო ინიციატივა ხელში, ბოლომდე არ გაუშვია.

მეორე დაფაზე ნინო ხურციძემ შავი ფერით **ანა-მარია ბოცარისთან** შავებით მთავარი პრობლემა გადაჭრა, სადებიუტო სიძნელეები გაუვნებლა, პოზიცია გაათანაბრა და მეოცე სვლაზე ყაიმი დააფიქსირა.

მესამე დაფაზე ძაგნიძემ თეთრებით **ეკატერინე მაკროპულო** დაამარცხა. შეხვედრა საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა. ქართველმა მოგებისთვის გვარიანი ოფლი ღვარა, მაგრამ თამაშის სადავეები ერთი წუთითაც არ გაუშვია ხელიდან და გამარჯვებას მიაღწია.

ალბათ უკეთ შეეძლო თამაში მეოთხე დაფაზე მაია ლომინეიშვილს, რომლის მეტოქეც ქუთაისში დაბადებულ-გაზრდილი და ისტორიულ სამშობლოში 90-იან წლებში გადასახლებული **ეკატერინა ფახიროვა** იყო, რომელიც დღეისთვის ეკატერინი ფახირიდუს სახელით თამაშობს. მაიამ მოპოვებული უპირატესობის გამოყენებისგან ალბათ გუნდს ინტერესებიდან გამომდინარე, თავი შეიკავა და საყაიმო ვარიანტი აირჩია. საქართველოს ნაკრებმა 3:1 გაიმარჯვა.

როგორც იქნა, გაიმარჯვა ქართველ ვაჟთა კრებულმა, თანაც დიდი ანგარიშით - 4:0, მაგრამ უსუსური ბელგიის დამარცხება დიდად სახარბიელო ვერ იქნება - ბელგიელები 40 გუნდში 35-ე ადგილზე არიან რეიტინგით.

ქართველთა შემადგენლობა ასეთი იყო: **ბაადურ ჯობავა, თამაზ გელაშვილი, დავით არუთინიანი, მერაბ გაგუნაშვილი.** მეტოქე შემდეგი შემადგენლობით დაგვიპირისპირდა: **ლუკ ვინანტსი** (2504), **რიჩარდ პოლაჩეკი** (2425), **ბრუნო ლორენი** (2359), **სემილ გულბასი** (2365).

**ქალთა ტურნირზე 9 ქულით პოლონეთის ნაკრები ლიდერობს. ქართველებს, რუსებსა და სლოვენიელებს 8-8 ქულა აქვთ. მეექვსე ტურში, შაბათს, ჩვენი მეტოქე სწორედ პოლონეთის ნაკრებია.**

ჩვენი ვაჟთა ნაკრები მე-17 ადგილზეა 5 ქულით და მომდევნო ტურში შვედებს შეხვდება. აქ ერთპიროვნულად რუსეთის ნაკრები ლიდერობა (10 ქულა) და უახლოეს მდევრებს 2 ქულით უსწრებს.

**ზვიად შათირიშვილი**

ბატუტზე ხტომა

მსოფლიო ჩემპიონატი

# წლის მთავარი შეჯიბრება დაიწყო

კანადის ქალაქ კვებეკში, დღეს, გამთენიისას დაიწყო პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო მსოფლიო ჩემპიონატი ბატუტზე ხტომაში. აღნიშნული შეჯიბრება ერთადერთია, რომელიც პეკინის საგზურებს იძლევა.

კვებეკში ექვსი ქართველი ბატუტისტი გაემგზავრა - **ლუბა გოლოვინა, თენგიზ კოშკაძე, ზურაბ ჭყონია, სოფო გულიაშვილი, ოლეგ კოლოსოვი** და **გიორგი მარქარიანი**. ნაკრების მწვრთნელები არიან **ზაურ სულაშვილი** და **ვლადიმერ გოლოვინი**, ხოლო საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი **რუსუდან ხოფერია**, მსოფლიო ჩემპიონატზე მსაჯის სტატუსით წარდგება.

მწვრთნელები ყველაზე დიდ იმედებს უკავშირებენ ახალგაზრდებში ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონ ლუბა გოლოვინას. იგი უფროსებში წლეულს გადმოვიდა და სეზონის დასაწყისში, მსოფლიო თასის ეტაპზე მეხუთე ადგილი დაიკავა. აღსანიშნავია, რომ ის ეტაპი სწორედ იმ კვებეკში გაიმართა, სადაც ახლა მსოფლიო ჩემპიონატი იწყება. თუკი ლუბა მსოფლიო თასის ეტაპზე მიღწეულ წარმატებას ახლაც გაიმეორებს, პეკინის ოლიმპიადის საგზურს ულაპარაკოდ გაინაღდებს. ლიცენზიების მოპოვების კანდიდატებად ითვლებიან კოშკაძე და გულიაშვილიც...

რაც შეეხება ოლიმპიადის საგზურის განაწილების წესს, იგი შემდეგში მდგომარეობს: ვაჟებშიც და ქალებშიც, მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშდება 16-16 ლიცენზია. ფინალში (ანუ რვა საუკეთესოში) გასვლა ავტომატურად ნიშნავს პეკინში მოხვედრას. ამასთან, არ შეიძლება, რომ ერთ ქვეყანას ფინალში და შესაბამისად, ოლიმპიადაზე, ერთზე მეტი წარმომადგენელი ჰყავდეს.

ამას გარდა, თუკი მოხდა ისე, რომ რომელიმე ქვეყანას ერთი ბატუტისტი ფინალში ეყოლება, მეორე კი მეცხრე, მეათე, მეთერთმეტე და ასე შემდეგ ადგილებზე, რვა საუკეთესოში ვერმოხვედრილს არ ეძლევა ოლიმპიური ლიცენზია – იგი გადაეცემა მის უკან მდგომ პირველივე ისეთი ქვეყნის წარმომადგენელს, რომელსაც არცერთი თანაგუნდელი არ ჰყავს ფინალში. ანუ შესაძლოა, მოვლენები ისე განვითარდეს, რომ გახვიდე სადღაც მეთვრამეტე-მეოცე ადგილზე და პეკინის საგზური მოიპოვო...

დღეს, ქალთა შორის საკვალიფიკაციო ეტაპი გაიმართება და ფინალისტების ვინაობა გაირკვევა. ხვალ კაცები იბრძოლებენ საუკეთესო რვეულში მოსახვედრად. ხვალვე გაიმართება სინქრონული ხტომები. ზეგ კი ფინალებია.

დასასრულ, სტატისტიკის მოყვარულებს ვთავაზობთ საინტერესო ფაქტებს ისტორიიდან, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

ბატუტზე ხტომაში მსოფლიო ჩემპიონატი პირველად ჩატარდა 1964 წელს, ლონდონში. პირველი მსოფლიო ჩემპიონები იყვნენ ამერიკელები – **დანი მილმანი** და **ჯუდი უილისი**. ბატუტზე ხტომას ოლიმპიურ თამაშებზე დებიუტი ჰქონდა 2000 წელს, სიდნეიში.

ყველაზე მეტჯერ, პირად და გუნდურ ჩათვლაში, მსოფლიო ჩემპიონები იყვნენ რუსები – ირინა კარავაევა (10-ჯერ) და ალექსანდრ მოსკალენკო (15-ჯერ). მსოფლიო ჩემპიონატებზე ყველაზე მეტი ჩემპიონები ჰყავდათ შემდეგ ქვეყნებს: სსრკ და რუსეთი (70), აშშ (53), გერმანია (16), საფრანგეთი (15), ავსტრალია (11) და დიდი ბრიტანეთი (11).

**კობა ხატისაშვილი**

ველოტბურთი

მსოფლიო ტური

# ახალი სეზონი მაისში დაიწყება

ტაილანდის ქალაქ ფუკეტში, პლაჟბურთელ ქალთა წლევანდელი მსოფლიო ტურის ბოლო ეტაპი დაიწყო. ქართული წყვილი საქა-რთველო ტურნირზე პირდაპირ ძირითად ბადეში იყო დაშვებული. სამწუხაროდ, ჩვენმა ფრენბურთელებმა პირველივე დღეს ორივე შეხვედრა წააგეს და შეჯიბრებას გამოეთიშნენ.

საქა-რთველოს პირველი მეტოქე ტურნირზე მე-10 ნომრად განთესილი მასპინძელთა დუეტი სანოკი და ტენპაკსეე იყვნენ. ჩვენმა ფრენბურთელებმა მოწინააღმდეგეს მედგარი წინააღმდეგობა კი გაუწიეს, მაგრამ მაინც ორ სეტში დამარცხდნენ - 16:21, 19:21.

მომდევნო დამამაშვიდებელ მატჩში საქა-რთველო კიდევ უფრო ძლიერ წყვილს, მე-7 ნომრად განთესილ ჩინელებს ჭანკს და ძუოს დაუპირისპირდა. ამათთან ღირსეულად ასპარეზობა ჩვენმა ფრენბურთელებმა ველარ შეძლეს და ასევე მშრალად დამარცხდნენ 9:21, 15:21.

ამრიგად, წლის ბოლო ეტაპზე საქართველომ 25-ე ადგილი დაიკავა, რეიტინგში 60 ქულა მიითვალა და 2000 ამერიკული დოლარი პრემიალური თანხაც მიიღო.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიო კლასიფიკაციაში ტაილანდის ეტაპამდე საქართველოს 1 572 ქულა ჰქონდა და 31-ე ადგილზე იყო. ვაჟთა შორის კი **გეორ-გია** 3 490 ქულით მე-13 ადგილზეა. მომავალი წლის მსოფლიო ტური მაისში დაიწყება. ლიცენზიანტების ვინაობა კი 20 ივლისს, პარიზის ეტაპის შემდეგ გაცხადდება.

**ბესიკ ჯანგავაძე**

საქართველოს რაგბის კავშირი და საქართველოს ვეტერან მორაგბეთა კავშირი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ვეტერანი მორაგბე, საქართველოს ნაკრების წევრის თემურ სოხაძის მამა

**ლევან სოხაძე**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი და ფარიკაობის ფედერაცია მწუხარებით იუწყებიან, რომ 80 წლისა გარდაიცვალა მოფარიკავეთა თაობების აღმზრდელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, ღირსების ორდენოსანი

**სიმონ მამულაშვილი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.
პანაშვილი: 2, 3 XI, 16 სთ. დაკრძალვა 4. XI, 14 სთ.
მისამართი: ვ. ფშაველას I კვ. V კორპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# სასწრაფოდ ვარეჟაო!

მეორე დღის მთავარი შეხვედრა კლივლენდში გაიმართა, რომელშიც აღმოსავლეთის მოქმედმა და ბევრის აზრით, უკვე წარმავალმა ჩემპიონმა "კავალიერსმა" "დალას მავერიქსს" უმასპინძლა.

მატჩის დაწყებამდე, დარბაზში კონფერენციის საჩემპიონო ბანერი აღმართეს და რაღა დაგიმალოთ, ეს მასპინძლებისთვის, მეტადრე კი **ლებრონ ჯეიმსისთვის** ამ დღის ერთადერთი პოზიტიური მოვლენა იყო.

თუ **საშა პავლოვიჩი** ბოლოს მაინც მოურიგდა ბოსებს და თუმც ნაკლები თანხის საფასურად, მაგრამ მაინც დარჩა "კავალიერსში", გუშინდელმა შეხვედრამ ერთხელაც დაგვანახა, რომ "კლივლენდს" ბრაზილიელი ფორვარდის **ანდერსონ ვარეჟაოს** გარეშე სამწამიანში დიდი პრობლემები აქვს.

ვარეჟაო ჯერაც უკლუბოდაა, მაგრამ გუნდი აღნიშნულ ვითარებაში მოთამაშეზე მომგებიან სიტუაციაშია. ის, რომ "კლივლენდმა" ბრაზილიელს კონტრაქტი არ გაუფორმა, მის საბაზრო ფასს ნებისმიერ შემთხვევაში დაბლა სწევს, ხოლო "კავალიერსს" კი სხვა გუნდის მიერ შეთავაზებული თანხის გასაზრდელად ერთი კვირა მაინც რჩება და ისე გამოდის, რომ ანდერსონის ბედს მაინც მისი ყოფილი გუნდი განაგებს.

ლებრონისთვის კი ბოლო სუპერფინალის კოშმარი გრძელდება, ოღონდ, ამჯერად ჩემპიონი "სპურსის" ნაცვლად, ახალგაზრდა ვარსკვლავს გადაულახავი ბარიერი მეორე ტეხასურმა გუნდმა, "მავერიქსმა" შეუქმნა.

მთელი პირველი ნახევარი ჯეიმსი უშედეგოდ ცდილობდა სალი კლდესავით აღმართულ დაცვაში ნაპრალის პოვნას, მაგრამ ამაოდ - "მავერიქსი" მის წინააღმდეგ იმდენად ფრთხილად და უშეცდომოდ თამაშობდა, რომ ჯეიმსს ერთი ქულაც არ დაუგროვებია.

ჩვეულად ვერც **დირკ ნოვიცკიმ** იბობოქრა, თუმცა გერმანელმა, ლებრონისგან განსხვავებით, ის მაინც მოახერხა, რომ ორმაგ მეურვეობაში მოხვედრილმა, ბლომად პასები არიგა და ოდნავ მეტი რომ ეთამაშა, იქნებ სამმაგი დუბლიც გაეკეთებინა.

"მავერიქსი" სეზონს უაღრესად მოტივირებული შეხვდა. გუნდს ჯერაც იარებად რჩება ორი წლის წინ, "მაიამისთან" თითქმის მოგებული სუპერსერიისა და შარშანდელ პლეიოფში, პირველივე წრეში "გოლდენ სტეიტთან" მარცხი.

**ეივერი ჯონსონმა** სასტარტო ხუთეულში დააყენა **ჯერი სტექჰაუზი**, რომელმაც **ჯეისონ ტერისთან** ერთად ააწიოკა "კავალიერსის" დაცვა და გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა.

"მავერიქსი" პირველი მეოთხედის მერე 14 ქულას იგებდა, დიდი შესვენებისთვის სხვაობა 20 ქულა გახდა, მესამე მეოთხედში კი ჰანდიკაპი კიდევ ხუთი ქულით გაიზარდა. ბოლოს, როდესაც "მავერიქსმა" მოედანზე სათადარიგოები შეყარა, ლებრონმაც ცოტათი ამოისუნთქა და საბოლოოდ, სტუმრებმა "ოდენ" 18 ქულით იმარჯვეს.

ის, რომ "კავალიერსს" პრობლემები ჰქონდა, მათმა საგამოფენო შეხვედრებმაც დაადასტურა, როდესაც გუნდმა 7 მატჩიდან 6 წააგო. ჯეიმსმა შეხვედრა 11-დან 9 არაზუსტი სროლით ჩაამთავრა და ამასთან ერთად, 5 შეცდომაც დაუშვა. უფრო სავალალო მდგომარეობაა **ლარი ჰიუზის** სტატისტიკაში, რომელმაც 7 ქულას ამდენივე ჩაჭრა კი დაურთო, მაგრამ 13 "ცოცხალი" ტყორცნიდან 11 გააფუჭა.

*"დალასი" არაჩვეულებრივი გუნდია, რომელსაც აქვს ყველაფერი, რათა საჩემპიონოდ იბრძოლოს. ჩვენ კი კონცენტრაცია დავკარგეთ, თუმცა ოდნავ უკეთ რომ მეთამაშა, მოვიგებდით. დღევანდელი წაგება 90 პროცენტით ჩემმა პასიურობამ და არაზუსტმა თამაშმა განაპირობა"*, - ლებრონი, როგორც ყოველთვის, თვითკრიტიკული კი იყო, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ცვლის.



ლებრონი პასიური იყო

**მემფისი-სან ანტონიო 101:104**

26:23, 26:29, 30:27, 19:25

**მემფისი:** გასოლი (22 ქ. 3 მ), დ. სტაუდმაიერი (18 ქ. 4 პ), გეი (16 ქ. 5 მ), მ. მილერი (11 ქ. 10 მ. 5 პ).

**სან ანტონიო:** ჯინობილი (30 ქ. 7 პ. 5 მ. 2 ჩ), დანკანი (17 ქ. 9 მ. 3 დ), ტ. პარკერი (17 ქ. 7 პ. 4 მ), ბონერი (11 ქ. 5 მ), ელსონი (4 ქ. 11 მ).

**ტორონტო-ფილადელფია 106:97**

24:22, 34:28, 23:17, 25:30

**ტორონტო:** ბარნიანი (20 ქ. 5 მ. 2 დ), ბოში (16 ქ. 2 დ), ტი. ჯეი. ფორდი (14 ქ. 12 პ. 2 ჩ), ე. პარკერი (13 ქ), კალდერონი (13 ქ).

**ფილადელფია:** იგუოდალა (23 ქ. 8 მ), კორვერი (20 ქ. 4 პ), ა. მილერი (15 ქ. 6 პ), უ. გრინი (12 ქ), დალემბერი (6 ქ. 15 მ).

**დენვერი-სიეტლი 120:103**

35:31, 24:27, 27:23, 34:22

**დენვერი:** ენტონი (32 ქ. 5 მ. 5 პ), აივერსონი (25 ქ. 14 პ. 7 ჩ. 5 მ), კლეიზა (18 ქ. 6 მ), ნახერა (14 ქ), დიარა (12 ქ), კემბი (4 ქ. 15 მ. 5 დ).

**სიეტლი:** უილკინსი (21 ქ. 8 მ), დელონტე უესტი (19 ქ. 5 პ), დიურანი (18 ქ. 5 მ), უილკოქსი (14 ქ. 8 მ. 4 პ), კოლისონი (8 ქ. 11 მ. 3 პ).

**ნ. ორლეანი-საკრამენტო 104:90**

29:24, 28:18, 30:19, 17:29

**ნიუ ორლეანი:** დევიდ უესტი (17 ქ. 7 მ. 4 პ. 2 დ), პოლი (15 ქ. 11 პ. 5 მ. 3 ჩ), ჩენდლერი (15 ქ. 12 მ. 4 დ. 2 ჩ), სტოიაკოვიჩი (14 ქ), პიტერსონი (10 ქ).

**საკრამენტო:** სალმონსი (19 ქ. 8 პ. 3 ჩ), კევინ მარტინი (17 ქ), ბ. მილერი (12 ქ. 5 მ. 2 დ).

**კლივლენდი-დალასი 74:92**

15:29, 19:25, 25:24, 15:14

**კლივლენდი:** ილგაუსკასი (17 ქ. 18 მ), გუდენი (12 ქ. 10 მ), ლ. ჯეიმსი (10 ქ. 5 მ. 4 პ).

**დალასი:** ტერი (24 ქ. 5 პ), სტექჰაუზი (17 ქ. 4 პ), ნოვიცკი (15 ქ. 8 მ. 6 პ. 2 ჩ), დ. ჰარისი (13 ქ. 5 პ. 3 ჩ), დიოპი (8 ქ. 11 მ. 4 დ).

**ნიუ ჯერსი-ჩიკაგო 112:103 (ო)**

25:21, 31:20, 18:32, 22:23, 16:7

**ნიუ ჯერსი:** რ. ჯეფერსონი (29 ქ. 10 მ. 2 დ), ვ. კარტერი (24 ქ. 9 მ. 6 პ. 2 ჩ. 2 დ), ა. რაიტი (21 ქ), ნახბარი (10 ქ), კრსტიჩი (10 ქ), კიდი (7 ქ. 13 პ. 8 მ. 5 ჩ).

**ჩიკაგო:** გორდონი (27 ქ. 8 მ. 4 პ), დენგი (22 ქ. 11 მ. 4 ჩ), ჰაინრიხი (14 ქ. 3 მ. 3 პ), ნოჩიონი (10 ქ).

**ინდიანა-ვაშინგტონი 119:110 (ო)**

28:23, 20:22, 22:25, 33:33, 16:7

**ინდიანა:** მ. დანლივი-უმცროსი (25 ქ. 11 მ. 2 ჩ), დ. გრეინჯერი (20 ქ. 13 მ. 2 ჩ), ტინსლი (20 ქ. 9 მ. 8 პ. 3 ჩ), დიოგუ (13 ქ), დ. ჰარისონი (13 ქ. 5 მ. 4 ჩ. 3 დ).

**ვაშინგტონი:** არენასი (34 ქ. 8 მ. 3 პ), ჯეიმისონი (27 ქ. 16 მ. 3 პ), კ. ბატლერი (19 ქ. 11 მ. 3 ჩ), ჰეივუდი (10 ქ. 13 მ).

**ორლანდო-მილუოკი 102:83**

24:24, 24:22, 35:16, 19:21

**ორლანდო:** რ. ლიუისი (26 ქ. 6 მ), თურქოღლუ (24 ქ. 4 მ), დ. ჰოვარდი (16 ქ. 12 მ. 7 დ), ნელსონი (10 ქ. 7 პ).

**მილუოკი:** რედი (25 ქ. 5 მ), სიმონსი (18 ქ), ბოგუტი (4 ქ. 11 მ. 4 პ).

## ჰოკეი

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ნიუ ჯერსი-ტამპა ბეი 6:1**

0:0, 2:1, 4:0

**გოლები:** 1:0 მადენი-5 (ზუბრუსი-5, პანდოლფო-3), 2:0 პანდოლფო-4 (მადენი-3, ზუბრუსი-6), 2:1 ლეკავალიე-7 (სენტ ლუისი-10, ბ. რიჩარდსი-8), 3:1 ეშემი-3 (ელიაში-5), 4:1 პანდოლფო-5 (მადენი-4, მარტინი-7), 5:1 პარიზე-3 (ჯონტა-3, ზაიაცი-4), 6:1 პანდოლფო-6 (ვიშნევსკი-1, მადენი-5).

**ფლორიდა-კაროლინა 4:2**

0:0, 0:1, 4:1

**გოლები:** 0:1 რეი უიტნი-8 (ე. კოული-7, კულენი-10), 1:1 ო. იოკინენი-7 (უეისი-8, ჰორტონი-5), 1:2 ე. კოული-3 (ე. სტაალი-7, სტილმანი-10), 2:1 ბოუმისტერი-1 (ო. იოკინენი-5), 3:2 ზედნიკი-3 (ო. იოკინენი-6, შტუმპელი-3), 4:2 ჰორტონი-5 (პელტონენი-2).

**დალასი-ჩიკაგო 4:5**

1:1, 0:2, 3:2

**გოლები:** 1:0 რიბეირო-5 (ბუშე-7, ი. ლეპტინენი-6), 1:1 ტოევზი-5 (ტ. რუუტუ-4, კეინი-11), 1:2 ვიშნიევსკი-3 (ლანგი-6, ბოლანდი-1), 1:3 კეინი-5 (ტ. რუუტუ-5, ვიშნიევსკი-2), 2:3 ბუშე-1 (მოროუ-8, ზუბოვი-4), 3:3 ჰაგმანი-7 (ზუბოვი-5, ბარნსი-5), 4:3 ზუბოვი-3 (რიბეირო-8), 4:4 ჯეისონ უილიამსი-5 (ლანგი-7), 4:5 ჯეისონ უილიამსი-6 (ვიშნიევსკი-3).




პანდოლფო ჰეთ-ტრიკს ასრულებს

**ლოს ანჯელესი-კოლამბუსი 1:4**

0:1, 1:2, 0:1

**გოლები:** 0:1 ჩიმერა-2 (მალორტა-4), 0:2 ბრული-1 (ფიოდოროვი-2, რასელი-2), 0:3 ჩიმერა-3 (ნეში-6), 1:3 კალდერი-3 (ნადი-7, ბ. სტიუარტი-3), 1:4 ნეში-9 (პეკა-5).

**ტურის მოვლენები**

- **ჯეი პანდოლფოს** კარიერაში პირველი ჰეთ-თრიკის წყალობით, "ნიუ ჯერსიმ" შეწყვიტა ოთხმატჩიანი წაგებათა სერია.

- წინა ოთხ წაგებულ შეხვედრაში, "დევილზმა" მხოლოდ ოთხი შაიბის გატანა შეძლო.

- "ნიუ ჯერსის" მეკარემ **მარტინ ბროდომ** კარიერაში მე-900 შეხვედრა ჩაატარა. იმ საღამოს ლეგენდარულმა გოლკიპერმა 21 დარტყმა მოიგერია.

- "ტამპა ბეიმ" ამ სეზონში ხუთივე გასვლითი შეხვედრა წააგო.

- "ნიუ ჯერსიმ" მეორე შეხვედრა ჩაატარა ახალ, "პრუდენშელ ცენტრის" არენაზე და პირველ გამარჯვებას მიაღწია.

■ ■ ■

- მესამე პერიოდში "ფლორიდამ" ოთხი შაიბა გაიტანა, აქედან სამჯერ, მასპინძლებმა 5 წუთის ინტერვალში გამოიჩინეს თავი.

- ამ მატჩამდე, "ფლორიდას" კაროლინას მოედანზე ზედიზედ შვიდი მატჩი ჰქონდა წაგებული.

- ბოლო 20-წუთეულში, "კაროლინამ" შვიდჯერ მისცა მეტოქეს რიცხობრივი უპირატესობის გამოყენების შანსი.

- "ფლორიდას" დამრიგებელმა **ჟაკ მარტინმა**, მწვრთნელის რანგში კარიერაში 1028 მატჩი ჩაატარა და გაუთანაბრდა ყველა დროის სიაში მერვე ადგილზე მყოფ **ბრაიან სატერს**.

■ ■ ■

- **ჯეისონ უილიამსმა** გამარჯვების გოლი ძირითადი დროის დასრულებამდე 20 წამით ადრე გაიტანა.

- ამ მოგებით "ჩიკაგომ" შეწყვიტა დალასში 9-მატჩიანი წაგებათა სერია. უკანასკნელად,"ბლეკჰოქსს" "სტარზის" მოედანზე 2001 წელს ჰქონდა მოგებული.

- გუშინდელ მატჩამდე, "ჩიკაგოს" ზედიზედ სამმატჩიანი წაგებათა სერია ჰქონდა.

■ ■ ■

- "კოლამბუსმა" ზედიზედ მეოთხე მატჩი მოიგო.

- შეწყდა "ლოს ანჯელესის" ოთხმატჩიანი მოგებათა სერია.

- "კოლამბუსის" მეკარემ **პასკალ ლეკლერმა** 33 დარტყმა მოიგერია. ამ გოლკიპერს ლიგაში ყველაზე მეტი - 4 "შათაუტი" აქვს შესრულებული. ლეკლერმა ბოლო 191 წუთში მხოლოდ 2 შაიბა გაუშვა.

- "ბლუ ჯეკეტს" შვიდმატჩიანი მოუგებელი სერია ჰქონდა "ლოს ანჯელესის" არენაზე.

კალათბურთი

### რეიესი რეალში დარჩება

მადრიდის "რეალმა" 2010 წლის ბოლომდე გაუგრძელა კონტრაქტი მძიმე ფორვარდ **ფელიპე რეიესს**.

ეს კალათბურთელი "სამეფო კლუბში" 2004 წლიდან თამაშობს. ამ პერიოდში, მან ორჯერ მოიგო ესპანეთის ჩემპიონის ტიტული და ერთხელ ULEB-ის თასის მფლობელიც გახდა. რეიესი ესპანეთის ნაკრების წევრიცაა და ამ გუნდთან ერთად ბევრი ტიტული აქვს მოგებული. მათგან ყველაზე ღირსშესანიშნავი 2006 წელს, მსოფლიო ჩემპიონატზე მოპოვებული ოქროს მედალი ითვლება.

### ჰიუსტონმა ჰედი დაიტოვა

"ჰიუსტონ როკეტსმა" მცველ **ლუთერ ჰედთან** კონტრაქტის გაგრძელება გადაწყვიტა. ეს კალათბურთელი ტეხასელთა რიგებში 2009 წლის ბოლომდე დარჩება.

"როკეტსმა" ჰედი 2005 წლის დრაფტში 24-ე ნომრად აირჩია. სხვათა შორის, ეს კალათბურთელი საკლუბო რეკორდის მფლობელია - ჰედი ზედიზედ 37 მატჩის განმავლობაში მინიმუმ ერთ ზუსტ სამქულიანს ასრულებდა.

### ლიგაში მოთამაშეების პლიუსებს დაითვლიან

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის მორიგი რეგულარული ჩემპიონატის მატჩების ოქმებში ახალი სტატისტიკური გრაფა გაჩნდა - ეს არის "პლიუს/მინუსის" მაჩვენებელი.

ამგვარი კოეფიციენტი უკვე დიდი ხანია არსებობს ჰოკეიში. მისი მეშვეობით აფასებენ მოთამაშის ნაყოფიერების დონეს. ჰოკეისტს დადებითი ქულები იმ შემთხვევაში ეწერება, როცა მისი მოედანზე ყოფნის დროს, გუნდმა გოლის გატანა შეძლო. მინუსი ქულები კი, მაშინ აღირიცხება, როცა ამ მოთამაშის გუნდის კარში გადის გოლი.

ახლა მსგავსი დათვლები NBA-მაც დაიწყო. პირველი სათამაშო დღის ლიდერი გახდა "იუტას" გამთამაშებელი **დერონ უილიამსი**, რომელმაც "გოლდენ სტეიტთან" შეხვედრა +24-ით დაასრულა.

### ჰოვარდი დალასში ჩაირიცხა

როგორც უკვე ვიტყობინებოდით, "მინესოტა ტიმბერვულვზმა" კონტრაქტი არ გაუფორმა და თავისი რიგებიდან დაითხოვა ვეტერანი ფორვარდი **ჯუვან ჰოვარდი**. ამის მიზეზი გახდა ის, რომ თავად კალათბურთელმა არ მოისურვა "მგლების" შემადგენლობაში თამაში.

გუშინ გაირკვა, რომ ჰოვარდმა ყოფილ კლუბში, "დალას მავერიქსში" ამჯობინა დაბრუნება, სადაც 2000-02 წლებში გამოდიოდა. მხარეებმა უკვე შეათანხმეს ახალი კონტრაქტის პირობები.

### ფილი ლეიკერსში დარჩება

სავარაუდოდ, უახლოეს ხანში "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" მთავარი მწვრთნელი **ფილ ჯექსონი**, კლუბთან კონტრაქტის გახანგრძლივებაზე განაცხადებს თანხმობას.

The Los Angeles Times-ის ინფორმაციით, ლეგენდარული სპეციალისტის საბოლოო პასუხი მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე იქნება დამოკიდებული. არადა მანამდე, ჯექსონის კლუბში დარჩენის საკითხი, თითქოს "ლეიკერსის" ლიდერის **კობი ბრაიანტის** გადაწყვეტილებაზე უნდა ყოფილიყო დამოკიდებული. როგორც ცნობილია, კობი დღემდე ითხოვს სხვა გუნდში გაშვებას.

ფორმულა 1

## ავსტრალია წაგებაში დარჩა

ავსტრალიის გრან-პრის ორგანიზატორებმა გამოაცხადეს, რომ ამ სეზონში მათ 20.4 მილიონი ევროს ოდენობის ზარალი ნახეს. ასეთია ვიქტორიას პროვინციის პარლამენტის მიერ ჩატარებული ფინანსური კვლევის შედეგი.

შარშან, ავსტრალიის გრან-პრის შემოსავალი 28.1 მილიონს უტოლდებოდა, წლეულს კი, ეს რიცხვი 25.6 მილიონამდე დავიდა. როგორც ამბობენ, ფინანსური დანაკარგი ბილეთების რეალიზაციის პროცენტის დაცემამ და სპონსორების მხრიდან ნაკლებმა დაინტერესებამ გამოიწვია.

## ზაუბერი ძველი ბიუჯეტით გააგრძელებს

"BMW-ზაუბერის" შეფმა **მარიო ტიისენმა** განაცხადა, რომ ამ სეზონში მისმა გუნდმა გაცილებით ნაკლები თანხა დახარჯა, ვიდრე ერთი წლის წინათ, "უილიამსთან" თანამშრომლობის დროს.

*"ჩვენი ბიუჯეტი არ გაიზრდება, - გამოაცხადა გერმანელმა სპეციალისტმა. - 2006 წელთან შედარებით, ამ სეზონში გაცილებით ნაკლები თანხა დავხარჯეთ. გარდა ამისა, რეგლამენტის მიხედვით გათვალისწინებულმა ტესტების შემცირებამაც მოგვცა ფულის ეკონომიის საშუალება".*

მიუხედავად ასეთი ხელმომჭირნეობისა, წლეულს "BMW-ზაუბერი" კონსტრუქტორთა თასზე მეორე ადგილზე გავიდა და ჩემპიონატის ალმოჩენად მოინათლა.

## ფეტელი და შუმი დაწყვილდნენ

ფორმულა 1-ის ამომავალი ვარსკვლავი **სებასტიან ფეტელი** ჩემპიონთა რბოლაში გერმანიის ნაკრების ღირსებას დაიცავს.

შეჯიბრი დეკემბერში, ლონდონის "უემბლის" სტადიონზე გაიმართება. გერმანიის ნაკრებში "ტორო როსოს" ახალგაზრდა პილოტის მეწყვილე მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი, ლეგენდარული **მიხაელ შუმახერი** იქნება.

*"ჩემპიონთა რბოლას ყოველთვის ვადევნებდი თვალს ტელევიზორში და ვოცნებობდი, რომ ოდესმე ამ ტურნირში მიმეღო მონაწილეობა. როგორც ხედავთ, ოცნება ამიხდა", -* განუცხადა Eurosport-ს ფეტელმა.

ჰოკეი

## დომინატორის დაბრუნება გადაიდო

კვლავინდებურად გაურკვეველია, თუ როდის დაუბრუნდება მოედანს "დეტროიტ რედ უინგზის" ჩეხი მეკარე **დომინიკ ჰაშეკი**. "დომინატორი" ბარძაყის ტრავმის გამო, ჯერ ვერ ახერხებს ვარჯიშების განახლებას. ლეგენდარულ გოლკიპერს იმედი აქვს, მალე შეუერთდება საწვრთნელ პროცესს, თუმცა ამ ეტაპზე მისი ოფიციალურ მატჩებში მონაწილეობის საკითხი არც კი განიხილება.

ჯერჯერობით კი, "დეტროიტს" არ დასტყობია ძირითადი მეკარის არყოფნა. ორი დღის წინათ, "ედმონტონ ოილერზთან" მატჩში (2:1), ჰაშეკის დუბლიორმა **კრის ოსგუდმა** "რედ უინგზს" ზედიზედ მეექვსე მატჩი მოაგებინა.

კრივი

ზესაშუალო წონა

# ბრძოლა პირველ წაგებამდე



კალძაგე და კესლერი ხვალ ერთმანეთს დასცხებენ

ხვალ, კარდიფის (უელსი) "მილენიუმ სტედიუმი" ამ სეზონის ერთ-ერთ გამორჩეულ საკრივო სანახაობას უმასპინძლებს. 65 000 მაყურებლის თვალწინ, ერთმანეთს ზესაშუალო წონის ორი ჩემპიონი, WBO-ს ქამრის უელსელი მფლობელი, ჯერაც დაუმარცხებელი **ჯო კალძაგე** (43-0, 32 ნოკაუტი) და ასევე დაუმარცხებელი, WBC-სა და WBA-ის ქამრების მფლობელი, დანიელი **მიკელ კესლერი** (39-0, 29 ნოკაუტი) დაუპირისპირდება.

წაგებული პროფესიულ კარიერაში პირველ მარცხს იწვნევს, მოგებულს კი ზესაშუალო წონის მეფის სტატუსი ერგება. ერთადერთი პრესტიჟული ტიტული, რასაც მილენიუმზე არ გამოიტანენ, IBF-ის ქამარია, რომელიც კანადაში მცხოვრებ რუმინელ **ლუსიან ბუტეს** ეკუთვნის.

ცოტა ხნის წინათ, IBF-ის ჩემპიონიც კალძაგე იყო, რომელმაც შარშან **ჯეფ ლეისის** სასტიკი მარცხი აწვნია. თუმცა, შემდეგ ამ ტიტულის ნებაყოფლობით დათმობა მოუწია, რადგან სავალდებულო პრეტენდენტს არ შეხვდა. WBO-ის ტიტული კი მას 1997 წლიდან ეკუთვნის, მას შემდეგ, რაც შეფილდში ქულებით **კრის ეუბანკს** მოუგო.

თუ კალძაგე კესლერის დამარცხებას შეძლებს, ეს მისთვის WBO-ის ტიტულის ზედიზედ 25-ე დაცვა იქნება, რითაც ის ლეგენდარული **ჯო ლუისის** მიღწევას გაიმეორებს. თუმცა, წარმოშობით იტალიელი მოკრივე, ვინც კესლერთან ბრძოლისთვის ნიუბრიჯის საკრივო კლუბში (მამამისს, **ენცო კალძაგეს** ეკუთვნის) ემზადება, ამბობს, რომ მისი მთავარი მიზანი ლუისის რეკორდის გამეორება კი არა, კესლერის დამარცხებაა.

*"ბრძოლისთვის კარგად მოვემზადე. ჩემპიონის ტიტულს წლების განმავლობაში ვატარებ, მაგრამ ტიტულების გაერთიანების შანსი მეორედ მეძლევა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამჯერად, ტიტულის დაცვის გარდა, ჩემი მიზანი სხვა ტიტულის მოპოვებაცაა. ბევრი თვლის, რომ კარიერის პიკი უკვე გავლილი მაქვს, მაგრამ გარწმუნებთ, ისევე კარგად ვარ მომზადებული, როგორც წინა ბრძოლებისთვის. მჯერა, კრივში ბევრი რამის მიღწევა კვლავაც შემიძლია", -* ამბობს კალძაგე.

უელსელი დარწმუნებულია, რომ მისი მეტოქე პროგნოზირებადი მოკრივეა, თუმცა არც იმას გამორიცხავს, რომ დანიელის დასამარცხებლად ისეთივე გარჯა მართებს, როგორც ლეისისთან ბრძოლაში. კალძაგესთვის, ვინც ერთი წლის შემდეგ თავისი პროფესიული კარიერის დასრულებას აპირებს, ეს ბრძოლა კარიერის პიკი იყო.

კესლერს, ვისაც თავისი აგრესიული საბრძოლო მანერის გამო, მეტსახელად "მებრძოლი ვიკინგი" შეარქვეს, კალძაგეს გარდა, მეტოქედ უელსელი მაყურებელიც ეყოლება. ის შემტევი სტილით გამოირჩევა და მეტოქეებს ხშირად მრავალდარტყმიანი კომბინაციებით ცელავს. დანიელს ფეხებიც უფრო სწრაფი აქვს. თუმცა, მის სისწრაფეზე ალბათ უარყოფითად იმოქმედებს კარდიფის ადრეული დილის სუსხი - იმისთვის, რომ ბრძოლის ტელეეკრანზე ხილვა კრივის ამერიკელმა მოყვარულებმაც შეძლონ, ის დილაუთენია ჩატარდება.

*"ხომ არ ვნერვიულობ? არა. რა თქმა უნდა, ბრძოლის მოახლოებას ვგრძნობ და განწყობაც შესაბამისი მაქვს, მაგრამ რინგზე პირველად ხომ არ ავდივარ. საუკეთესო ფორმაში ვიმყოფები. კალძაგეს მიღწევები პატივისცემას იმსახურებს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ამჯერად ის რინგს წაგებული დატოვებს", -* ამბობს კესლერი.



ლუის ჰემილტონი

ავტოსპორტი

ფორმულა 1. ახალი ვარსკვლავი

# ახალი შუმახერი მოსლის არ სჭირდება

საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის (FIA - ფედერასიონ ინტერნასიონალ ლ'აუტომობილ) პრეზიდენტი **მაქს მოსლი** აცხადებს, რომ დიდი პრიზების არენაზე ბრიტანელი **ლუის ჰემილტონის** სახით ახალი ვარსკვლავის გამოჩენა ჩვეულებრივი მოვლენაა და დასძინა, რომ ალბათ, "მაკლარენის" აპელაცია უშედეგო იქნება და რომ ჰემილტონი ამ გზით მსოფლიოს ჩემპიონი ვერ გახდება.

ჰემილტონისთვის, ვინც სამეფო რბოლების პირველი შავკანიანი პილოტია, გასული სეზონი სადებიუტო იყო ფორმულა ერთში. ამ სეზონში მან ოთხი გამარჯვებითა და ცხრა საპოდიუმე ფინიშით გამოიჩინა თავი და სანუკვარ მიზნამდე - მსოფლიო ჩემპიონობამდე ერთადერთი ქულა არ ეყო.

*"როცა ერთი სუპერვარსკვლავი მიდის, მის ადგილს ყოველთვის ვიღაც იკავებს. და თუ ამ სეზონში ეს ვიღაც ჰემილტონი არ იქნებოდა, მის ნაცვლად ჩვენ როსბერგზე, ან კუბიცაზე, ან კიდევ სხვაზე ვილაპარაკებდით. ვფიქრობ, ბევრი ჰემილტონის შესაძლებლობებს აზვიადებს. მას ჯერაც ბევრი რამ ექნება დასამტკიცებელი", -* ამბობს მოსლი.

პრეზიდენტის თქმით, ამ პილოტისადმი განსაკუთრებული ინტერესი იმ ფაქტმაც განაპირობა, რომ ის მდიდარი ოჯახიდან არაა. და თუ ლუისი სწრაფად პროგრესირებას გააგრძელებს, მაშინ ეს ფორმულა ერთისთვის უარყოფით შედეგებს მოიტანს.

*"თუ ლუისი მომავალ სეზონშიც ისეთივე სწრაფი იქნება, როგორც გასულ სეზონში, ეს ფორმულა ერთზე დიდ გავლენას იქონიებს. ყოველივეს იგივე ეფექტი ექნება, რაც შუმახერის შემთხვევაში ჰქონდა ადგილი. ხალხი მწერდა, რამე ილონეთ და ეს კაცი შეაჩერეთო. ახლაც იგივე მოხდება", -* დასძენს მოსლი.

რაც შეეხება "მაკლარენის" აპელაციას, მისი მეშვეობით, ინგლისური გუნდი გასული სეზონის ბოლო ეტაპის, შედეგს ასაჩივრებს. შეგახსენებთ, რომ მეშვიდე ადგილზე გასული ჰემილტონის წინ გასული სამი პილოტის ბოლიდი არ აკმაყოფილებდა ტექნიკურ რეგლამენტს. ამ სამიდან ორის დისკვალიფიკაციის შემთხვევაში, ჰემილტონი ორი საფეხურით წინ წაიწევს, რაც ჩემპიონობისთვის საკმარისი იქნება.

## TV სპორტი

**2 ნოემბერი. პარასკევი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 უიქენდის მატჩების ანონსი.
13:25 ესპანეთის ჩემპიონატი.
15:15 გასული კვირის ჰიტ-ალღუმი.
17:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:20 ტოქ-შოუ - 2:1.
18:05 პირდაპირი ხაზი.
19:10 ჩვენი ფეხბურთი.
20:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:30 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:30 საფეხბურთო კლუბი.
22:25 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
22:55 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
23:25 გერმანიის ჩემპიონატი. კოტბუსი-შალკე (LIVE).
01:20 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
01:35 რუსეთის ჩემპიონატი.
02:35 საფეხბურთო კლუბი.
03:25 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.

**SPORT 1 (უკრაინა)**

09:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:00 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
10:31 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-ჩიკაგო.
12:02 სპორტდოსიე. დელტაპლანერიზმი.
12:30 ცურვა. მსოფლიო თასი. ფინალები. სიდნეი. ავსტრალია (LIVE).
14:32 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
15:30 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
16:00 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
16:31 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ბარსელონა-ფენერბაჰჩე.
18:35 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:04 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:57 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
20:25 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:00 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
21:11 რეტრო-ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. 1980 წელი. ინგლისი-არგენტინა.
22:52 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
23:04 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის წინ.
23:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. კოტბუსი-შალკე (LIVE).
01:25 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
01:36 კრივი. რინგ-საიდი.
02:37 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
03:08 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ვაშინგტონი-ფილადელფია (LIVE).
05:40 სპორტდოსიე. დელტაპლანერიზმი.
06:06 ფეხბურთი. Barca TV.
06:15 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. არხენტინოს ... პლეიტი-დეფენსორი.

**EUROSPORT**

11:30 ექსტრემალური სპორტი.
12:00 მულტისპორტი.
12:30 ბატუტზე ხტომა. მსოფლიო ჩემპიონატი. კანადა.
14:30 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. მალაიზიის გრან პრი.
15:30 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ვალენსიას გრან პრი. პრაქტიკა (LIVE).
19:00 სნუკერი.
20:00 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ჯგუფური ეტაპი. აშშ-ესპანეთი. ბრაზილია (LIVE).
21:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
21:30 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. მსოფლიო თასი. ლონდონი. ბრიტანეთი.
22:00 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. პოლონეთის გრან-პრი.
23:00 ტიმბერსპორტი. ევროპის ჩემპიონატი. გერმანია.
23:30 ბატუტზე ხტომა. მსოფლიო ჩემპიონატი. კანადა (LIVE).
02:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
02:30 ექსტრემალური სპორტი.
03:00 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. უნგრეთის გრან-პრი.
04:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 გოლფი. ევროპის ჩემპიონატი. ამსტერდამი. ჰოლანდია.
14:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
15:00 ახალი ამბები.
15:30 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ჯგუფური ეტაპი. რუსეთი-მექსიკა. ბრაზილია.
16:30 ახალი ამბები.
17:00 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ჯგუფური ეტაპი. ბრაზილია-სოლომონის კუნძულები. ბრაზილია.
18:00 რალი. IRC-ს სერია. შვეიცარია.
18:30 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ჯგუფური ეტაპი. პორტუგალია-ირანი. ბრაზილია.
19:30 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ვალენსიას გრან პრი. პრაქტიკა.
21:00 ახალი ამბები.
21:30 ექსტრემალური სპორტი.
22:00 მულტისპორტი.
22:30 ახალი ამბები.
23:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ვალენსიას გრან პრი. პრაქტიკა.
01:00 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ჯგუფური ეტაპი. აშშ-ესპანეთი. ბრაზილია.
02:00 ახალი ამბები.
02:15 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ჯგუფური ეტაპი. ბრაზილია-სოლომონის კუნძულები. ბრაზილია.
03:15 ახალი ამბები.
03:30 რესტლინგი. ახალი იაპონური ლიგა.
03:30 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| **კონფერენსი** | |
| რაშდენი-ოქსფორდი | 5:0 |
| **იტალია** | |
| **სერია C1/A** | |
| კავეზე-მონცა | 0:0 |
| ჩიტადელა-მანფრედონია | 6:0 |
| ფოჯა-კრემონეზე | 2:2 |
| პაგანეზე-ლენიანო | 1:0 |
| სასუოლო-პადოვა | 2:1 |
| ტერნანა-ლეკო | 2:1 |
| ვენეცია-ნოვარა | 1:0 |
| ვერონა-ფოლინიო | 1:1 |
| პრო პატრია-პრო სესტო | 2:1 |
| **სერია C1/B** | |
| არეცო-მარტინა | 2:0 |
| კროტონე-ანკონა | 2:1 |
| პესკარა-მასეზე | 0:0 |
| პისტოიეზე-სამბენედეტეზე | 1:0 |
| პოტენცა-ლუკეზე | 2:2 |
| სალერნიტანა-სანჯოვანეზე | 2:0 |
| სორენტო-ლანჩანო | 2:2 |
| ტარანტო-იუვე სტაბია | 0:0 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ოსნაბრიუკი-კიოლნი | 2:1 |
| **საფრანგეთის ლიგის თასი** | |
| **1/8 ფინალი** | |
| ნიორი-ლე მანი | 0:3 |
| **ჰოლანდიის თასი** | |
| დენ ჰააგი-ჰერენვეენი A | 1:3 |
| ფეიენოორდი-გრონინგენი | 3:1 |
| **დანიის თასი** | |
| ჰერფოლგე-ესბერგი | 0:0, დ.დ. 0:1 |
| **შვეიცარია** | |
| არაუ-ტუნი | 5:0 |
| იანგ ბოიზი-ქსამაქსი | 3:2 |
| **თურქეთის თასი** | |
| გალათასარაი-დენიზლი | 2:1 |
| **საბერძნეთის თასი** | |
| ეთნიკოსი (პ)-ოფი | 1:1 |
| ფოსტირასი-აეკ | 0:2 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **ევროლიგა** | |
| ლეტუვოს რიტასი-მაკაბი | 92:74 |
| რეალი-რომა | 89:83 |
| ლე მანი-არისი | 66:69 |
| ტაუგრესი-ვირტუსი | 98:71 |
| ბარსელონა-ულქერი | 82:67 |
| ოლიმპია-ოლიმპიაკოსი | 87:78 |
| **ჰოკეი** | |
| **ფინეთი** | |
| იოკერიტი-პელიკანსი | 2:6 |
| კაიპა-კერპეტი | 2:4 |
| კიეკო-ჰიფკ | 2:6 |
| საიპა-ილვესი | 1:2 |
| ტაპარა-ტპს | 4:5 |
| ჰპკ-ლუკო | 3:3 |
| ესეტი-იუვიასკიულა | 3:2 |
| **ჩეხეთი** | |
| კარლოვი ვარი-ლიბერეცი | 3:3 |
| **შვეიცარია** | |
| ჟენევა-კლოტენი | 2:1 |
| **შვედეთი** | |
| ბრიუნასი-აიკ | 3:3 |
| ლინჩოპინგი-ფერიესტადი | 1:1 |
| ლულეა-ჰვ 71 | 2:2 |
| სიოდერტალიე-მოდო | 0:4 |
| ტიმრე-იურგორდენი | 1:1 |
| ფრიოლუნდა-მორა | 2:3 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. პარიზი** | |
| დავიდენკო-ბაგდატისი | 2:6, 2:6 |
| კანიასი-რობრედო | 5:7, 5:7 |
| მარეი-სანტორო | 6:4, 6:2 |
| ნადალი-ვავრინკა | 6:4, 6:3 |
| ბერდიხი-ფერერი | 4:6, 2:6 |
| გასკე-ბლეიკი | 6:4, 6:4 |
| ფედერერი-ნალბანდიანი | 4:6, 6:7 |
| **WTA. კვებეკი** | |
| ანი-დიტი | 3:6, 3:6 |
| ვორაკოვა-კინგი | 2:6, 6:4, 4:6 |
| პუტჩკოვა-კრეიბასი | 6:2, 6:3 |



ჩოგბურთი

## სამპრასი მადაზე მოვიდა

ლეგენდარული ამერიკელი ჩოგბურთელი **პიტ სამპრასი** სულ უფრო აქტიურად ერთვება თანამედროვე საჩოგბურთო ცხოვრებაში. მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს თებერვალში საჩვენებელი მატჩის გამართვა აქვს განზრახული. სამპრასს სურს, რომ მისი მეტოქე რომელიმე მოქმედი ჩოგბურთელი იყოს.

პიტი აქტიური სპორტიდან 2002 წელს, ამერიკის ღია პირველობის მოგების შემდეგ წავიდა და კარგა ხანი კორტს არ გაკარებია. თუმცა შემდეგ დაბრუნდა და ვეტერანთა რამდენიმე ტურნირში მიიღო მონაწილეობა. ახლა კი, მას უფრო მეტი უნდა და ATP-ის ლიდერებთან აპირებს მატჩების სერიის გამართვას. შეგახსენებთ, რომ ამერიკელი დეკემბერში, მალაიზიაში ჩაატარებს საჩვენებელ შეხვედრას მსოფლიოს პირველ ჩოგანთან, შვეიცარიელ **როჯერ ფედერერთან**.

## ჩაწყობილ მატჩებს ავსტრალიაც ებრძვის

ჩოგბურთში ჩაწყობილი მატჩების გარშემო აგორებულ ბოლოდროინდელ სკანდალებს "დიდი სლემის" პირველი ჩემპიონატის - ავსტრალიის ღია პირველობის ორგანიზატორებიც გამოეხმაურნენ. კერძოდ, მათ დაიქირავეს უსაფრთხოებასთან ბრძოლის საკონსულტაციო ფირმის აგენტები.

ავსტრალიის ღია პირველობის აღმასრულებელი დირექტორი **სტივ ვუდსი** სააგენტო "როიტერთან" საუბარში აცხადებს, რომ ამ ფირმის დახმარებით შეიქმნება მუშა ჯგუფი, რომელიც პოლიციასთან ერთად მიადევნებს თვალს იმას, რომ ყველა შეხვედრა პატიოსან ბრძოლაში ჩატარდეს.

## ვენუსი და მარია ჰონგ კონგში იწყებენ

WTA-ს ტურის ორი ვარსკვლავი, ამერიკელი **ვენუს უილიამსი** და რუსი **მარია შარაპოვა** 2008 წლის სეზონს ჰონგ კონგის საჩვენებელ ტურნირში გამოსვლით დაიწყებენ.

ამ ტურნირის სახელწოდებაა Watsons Water Champions Challenge, რომლის ორგანიზატორები პოპულარიზაციის მიზნით, ყოველწლიურად ცვლიან ჩატარების ფორმატს. ამჯერად, სიახლე ის იქნება, რომ პირველი პრიზისთვის 10 ჩოგბურთელი იბრძოლებს. ორი მათგანი უკვე დაგისახელეთ, ხოლო დანარჩენი მონაწილეების ვინაობა ჯერ არ არის ცნობილი.

## პროფესიულ ტურს სამი ჩოგბურთელი ტოვებს

მიმდინარე სათამაშო კვირის დასრულების შემდეგ, ერთბაშად სამი მამაკაცი ჩოგბურთელი აპირებს აქტიურ სპორტთან გამოთხოვებას.

პირველმა ამის შესახებ ამერიკელმა **ჯასტინ გიმელსტობმა** გამოაცხადა, რომლისთვისაც კარიერის ბოლო მატჩი სანკტ პეტერბურგის ღია პირველობაზე, რუს **მიხაილ იუჟნისთან** პირველი წრის შეხვედრა გამოდგა. ამერიკელმა ის თამაში წააგო და ჩოგბურთიდან წასვლა გადაწყვიტა.

■ ■ ■

მუხლის ქრონიკული ტრავმის გამო თამაშს თავს ანებებს 28 წლის შვეიცარიელი **მიხელ კრატოხვილი**. ამ ჩოგბურთელის წარმატებები ATP-ის სერიის ტურნირებში ნათამაშები ორი ფინალით შემოიფარგლება.

კრატოხვილმა ლოგიკური გადაწყვეტილება მიიღო, რადგან ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, მუხლზე ექვსი (!) ოპერაცია გადაიტანა.

■ ■ ■

ჩოგბურთს ეთხოვება 32 წლის გერმანელი **ტომას ბერენდიც**. მისი უკანასკნელი ტურნირი ამ კვირას, გერმანიის ქალაქ აახენში მიმდინარე "ჩელენჯერი" იქნება.

ბერენდის კარიერის მწვერვალად 2005 წელი ითვლება, როცა მან ATP-ის რეიტინგში მისთვის უმაღლეს საფეხურს - 74-ე ადგილს მიაღწია.

რაგბი

## უაიტმა სამხრეთ აფრიკა დატოვა

როგორც მოსალოდნელი იყო, მსოფლიო თასის ტრიუმფატორი სამხრეთ აფრიკის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტს ტოვებს **ჯეიკ უაიტი**. ამის შესახებ თავად მწვრთნელმა სპეციალურად მოწვეულ პრესკონფერენციაზე გამოაცხადა.

43 წლის სპეციალისტის მოქმედ კონტრაქტს 31 დეკემბერს გასდის ვადა და უაიტი არ აპირებს ხელშეკრულების გახანგრძლივებას. ბოლო მატჩი, რომელშიც ის სამხრეთ აფრიკას უხელმძღვანელებს, 1 დეკემბერს, ბრიტანულ კლუბ "ბარბაროსების" წინააღმდეგ გაიმართება.

უაიტის ნაკრებიდან წასვლის შესახებ ჯერ კიდევ მსოფლიო თასის მსვლელობისას საუბრობდნენ. თავად მწვრთნელსაც ერთხელ წამოცდა, რომ მისი ოცნება ინგლისის ნაკრებში მუშაობაა, თუმცა ამ ქვეყნიდან უაიტს ჯერ შეთავაზება არ მიუღია.

მძლეოსნობა

## 9 მილიონი სიანის ფეხებში

110 მეტრზე თარჯრბენში მსოფლიოსა და ოლიმპიადის ჩემპიონმა, ჩინელმა **ლიუ სიანმა** საკუთარი ფეხები 9 მილიონ ევროდ დააზღვია. ეს ჩინური სპორტისთვის სარეკორდო თანხა გახლავთ. მსოფლიო რეკორდსმენი ამით არ შემოიფარგლა და ნაკრებში თავისი თანაგუნდელები 93-ათასიანი ევროთი დააზღვია.

ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ სადაზღვევო კომპანიამ უარი თქვა ლიუ სიანისგან კუთვნილი თანხის მიღებაზე და მძლეოსანს ერთგვარი საჩუქარი გაუკეთა.

ჩოგბურთი

ტურნირები

# მარეი შანხაის უმიზნებს

პარიზისბერსის სპორტულ კომპლექსში გრძელდება მასტერსის სერიის ბოლო ტურნირი, პარიზული მასტერსი, რომლის შედეგებმაც უნდა გამოავლინოს იმ ორი ჩოგბურთელის სია, რომლებიც სეზონის დამაგვირგვინებელი ტურნირის, მასტერსის თასის (რომელიც შანხაიში ჩატარდება) დარჩენილ ორ საგზურს დაისაკუთრებენ.

შანხაიში თამაშის შანსს კვლავაც ინარჩუნებს ბრიტანელი **ენდი მარეი**, ვინც მესამე წრეში იოლად გაუსწორდა ფრანგ **ფაბრის სანტოროს** და მეოთხედფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. 20 წლის მიურეის, ვისაც პარიზული მასტერსის დაწყებამდე, ატპ-ს ჩემპიონთა ცხრილში მე-11 ადგილი ეკავა, სანტოროს დასამარცხებლად საათზე ოდნავ მეტი დასჭირდა, რითაც ვირტუალურად უკვე შეაღწია ჩემპიონთა ცხრილის მოწინავე რვაში. თუმცა, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ის შანხაიში წავა.

ბრიტანელისთვის, მასტერსის თასისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი იქნება, თუ ის მეოთხედფინალშიც გაიმარჯვებს. ამ ეტაპზე კი მისი მეტოქე ფრანგი **რიშარ გასკე** იქნება, რომელმაც ასევე ორი სეტი იმყოფინა ამერიკელი **ჯეიმს ბლეიკის** დასამარცხებლად.

*"მეოთხედფინალი აუცილებლად უნდა გავიარო იმისთვის, რომ შანხაიში თამაშის უფლება მივიღო. რა თქმა უნდა, ამის გამო, მე შეიძლება ზედმეტად ვინერვიულო კიდეც. მაგრამ თამაშს რომ დავიწყებ, ნერვიულობაც მალე გამივლის. მით უმეტეს, რომ კარგ ფორმაში ვიმყოფები"*, - განაცხადა მარეიმ.

შოტლანდიელის თქმით, მას ძალიან მოსწონს სანტოროს თამაშის ყურება, მაგრამ მასთან შეხვედრისას საკმაო პრობლემებს წააწყდა. მომცრო ტანის ფრანგმა თავისი მონოდებით თურმე ბევრი პრობლემა შეუქმნა მარეის, მაგრამ შემდეგ ამან ალლო აუღო და მეორე სეტის მოგება აღარ გასჭირვებია.



ენდი მარეი

მარეის გამარჯვებამდე, ტურნირის დატოვება მოუხდა მის აწ უკვე ყოფილ ჩემპიონს, რუს **ნიკოლაი დავიდენკოს**, რითაც ის შანხაიში წასვლის იმედსაც გამოეთხოვა. ბალდატისმა თითქმის უშეცდომოდ ითამაშა. თანაც, მეტოქის შეცდომებითაც კარგად იხეირა და მეოთხედფინალში თამაშის უფლებაც მოიპოვა, სადაც მისი მეტოქე ესპანელი **ტომი რობრედო** იქნება. ამან ასევე ორი სეტი იმყოფინა არგენტინელი **გილერმო კანიასის** დასამარცხებლად.

აღსანიშნავია, რომ დავიდენკო მსაჯმა პარიზშიც გააფრთხილა იმის გამო, რომ ის ყოველგვარი მონდომების გარეშე თამაშობს. ამის გამო, რუსმა ერთხელ მასთან კამათიც გააბა, მაგრამ შემდეგ დამშვიდდა და თამაში განაგრძო. შეგახსენებთ, რომ ანალოგიური გაფრთხილების გამო, დავიდენკო სანკტ პეტერბურგის ტურნირზე წაგების შემდეგ 2 000 დოლარით დააჯარიმეს.

შანხაიში გამგზავრების შანსი კი მესამე წრეში, **როჯერ ფედერერთან** სათამაშოდ გასვლამდე, კორტზე გამოუსვლელად დაკარგა არგენტინელმა **დავიდ ნალბანდიანმა**, ვისაც მასტერსის თასი ორი წლის წინათ აქვს მოგებული. ამის მიზეზი კი ის გახდა, რომ მისი მთავარი მეტოქეები (მათ შორის მარეიც), პარიზის ტურნირს აგრძელებენ.

**ATP**

**BNP პარიბასის მასტერსი**

პარიზი (საფრანგეთი). ჭერქვეშა ხალიჩა

**საპრიზო ფონდი: 2 082 500 ევრო**

**მეორე წრე**

**როჯერ ფედერერი (შვეი, 1)**-ივო კარლოვიჩი (ხორვ) 6:3, 4:6, 6:3; **რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-ფილიპო ვოლანდრი (იტა) 6:3, 6:1; **ფაბრის სანტორო (საფ)**-ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბ, 3) 6:3, 6:2; **ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 4)**-ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ) 7:6(3), 6:1; **ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 6)**-ნიკოლას მაიუ (საფ) 6:7(3), 7:6(4), 6:1; **რიშარ გასკე (საფ, 10)**-ჟო-ვილფრედ ცონგა (საფ) 7:5, 7:6(3); **მარკოს ბაღდატისი (კვიპ)**-ივან ლიუბიჩიჩი (ხორვ, 13) 6:4, 7:6(4); **დავიდ ნალბანდიანი (არგ)**-კარლოს მოია (ესპ, 14) 6:4, 6:4; **ენდრიუ მარეი (ბრიტ, 15)**-იარკო ნიემინენი (ფინ) 7:6(5), 6:3; **სტანისლას ვავრინკა (შვეი)**-ხუან იგნასიო ჩელა (არგ, 16) 6:3, 6:1

**მესამე წრე**

**ტომი რობრედო (ესპ, 8)**-გილერმო კანიასი (არგ, 11) 7:5 7:5; **ენდრიუ მარეი (ბრიტ, 15)**-ფაბრის სანტორო (საფ) 6:4 6:2; **მარკოს ბაღდატისი (კვიპ)**-ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 4) 6:2 6:2; **რიშარ გასკე (საფ, 10)**-ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 6) 6:4, 6:4; **დავიდ ფერერი (ესპ, 5)**-ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 12) 6:4, 6:2

ვარსკვლავი

# ჰინგისი კოკაინზე ჩავარდა და წავიდა

გუშინ, ციურიხში გამართულ პრესკონფერენციაზე, მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა, შვეიცარიელმა **მარტინა ჰინგისმა** გამოაცხადა, რომ უიმბლდონის დროს მისგან აღებულ სინჯში კოკაინის კვალია აღმოჩენილი. იმავე პრესკონფერენციაზე, 27 წლის ჩოგბურთელმა, ვისაც დიდი სლემის ხუთი ტურნირი აქვს მოგებული, დამსწრე საზოგადოებას თავისი კარიერის დასრულებაც ამცნო.

*"ტესტმა დადებითი შედეგი აჩვენა, მაგრამ შემიძლია მთელი პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ აკრძალული არასოდეს არაფერი გამომიყენებია. იმის მიზეზი, რის გამოც ეს განცხადება გავაკეთე, ის არის, რომ არ მსურს დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტოსთან საქმის დაჭერა. მათ მაინც ვერაფერს დავუმტკიცებ. გარდა ამისა, სპორტიდან კიდევ ერთხელ წასვლის გადაწყვეტილება ხშირმა ტრავმებმაც მიმაღებინა"*, - განაცხადა ჰინგისმა, ვინც ორი წლით ადრე, ზუსტად იმავე სასტუმროს დარბაზში, სპორტულ სამყაროს ჩოგბურთში თავისი დაბრუნება ამცნო.

უნდა ითქვას, რომ პრესკონფერენციამდე ეჭვიც არავის აულია ჰინგისის დოპინგზე ჩავარდნაზე. ყველა მის ხშირ ტრავმებზე ლაპარაკობდა. ამასთან, ჟურნალისტები წინასწარ ელოდნენ იმას, რომ ჩოგბურთელი მათ თავისი სპორტული კარიერის დასრულებას ამცნობდა, რის მიზეზადაც ტრავმები დასახელდებოდა.

შეგახსენებთ, რომ ჩეხოსლოვაკიაში დაბადებულმა ჰინგისმა სპორტი პირველად 2003 წელს დატოვა, რისი მიზეზიც ფეხის ტერფების ტრავმები იყო. ჩოგბურთში დაბრუნების შემდეგ, მან სკეპტიკოსებს ვარაუდები გაუმტყუნა - სამი ტურნირი მოიგო და შარშანდელი სეზონი რეიტინგის მეექვსე საფეხურზე დაასრულა, ახლა კი, მიუხედავად იმისა, რომ ტრავმების გამო, ბევრი ტურნირის გაცდენა მოუხდა, რეიტინგში მე-19 ადგილზეა.



მარტინა ჰინგისი


სპორტული გაზეთი

განახლებულია ბადრი პატარკაციშვილის ინიციატივითა და ხელშეწყობით

მთავარი რედაქტორი
**თენგიზ გაჩეჩილაძე**

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

**სპორტი**

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართი
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, აწ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ტელეფონი: 46 30 98, 46 30 56, 46 32 62,
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
53-39-11
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
ინდექსი 66435 INDEX

**გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა**